



ისტორიული გეგმვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2015 წ. იანვარი, №1 (53), ფასი 3 ლარი

გილოსავთ შობა-ახალ წელს!

ილია ჭავჭავაძე:

მხნე იყავ და გაქლიერდი!



მიდიან დღენი, მიდიან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელხსარილნი, როგორც ვყოფილვართ, და ვიქანით: სად წავიდეთ, ვინ შევჩვილეთ, ვინ ვუთხრათ, ვინ განვვიღებ დასულ ქარებს ბედისას? ბედის ქარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ქეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშიერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით იწუბება, რომ პარასკევიანო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურების ქარის დასურვას და შიგნიდან ჩაქატანს მაინც ვღირსებოდით. **4**

7 დავით
ბაგრატიონი

20 შალვა
დადიანი
— 140

სამართვალის
ეკონომიკური
უსაფრთხოების
უსრუველ-

22 ყოფის
ბარანტიანი

აზერბაი-
ჯანელები

25 საქარ-
თვალეთი

არქეოლო-
34 გიური და
ანტიროპო-
ლოგიური
მონაშთები
თბილისის
მოსახლეობაზე

ფიროსმანი
მხატვრების
41 თვალით

მისთვის საქართველო ყოველთვის «წმინდა ივერია» იყო **13**




„ძალზე
ჰყვარებია
მამა ვიტალის
ქართული
ღვთის-
მსახურება,
გალობა,
დიდად
აფასებდა
თურგმე
ქართველ
წმინდანებს.
დიდი სიწოდები
ჰქონია და
ყოველ წიკვას
ქართველების
მოსახიებით
იწყებდა,
რუსებს კი ამის
გერება
მოიხსანიებდა
სოლგე.“

რეზო ჩხეიძე — 88 «ჯარისკაცის მამა» — 50



17
სამართვალისა და
პატრიარქის წინაშე
ქედმოსრილი კაცნი

რაზრ ჩხეიძეს კულტურისა და კეზლთა
დეზვის სემინატრის სემინატრის პრეზი –
«სემინატრის ქუჩის» გეგმას



სარჩევი

ილიას გაკვეთილები	
■ ილია ჭავჭავაძე: მხნე იყავ და გაკლიერდი!	4
მამულიშვილი	
■ დავით გაბრატონი	7
რელიგია	
■ მისთვის საქართველო ყოველთვის «მინდა იყარია» იყო	13
იუბილე	
■ რაჭო ჩხეიძე — 88, «ჯარისკაცის მამა» — 50	17
■ შალვა დადიანი — 140	20
ეკონომიკა	
■ საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიები	22
დემოგრაფია	
■ აზერბაიჯანელები საქართველოში	25
თბილისის ისტორია	
■ არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემები თბილისის მოსახლეობაზე	34
სპორტი	
■ ჩეხიონი და პრიზიორი	39
ხელთვნება	
■ ფიროსმანი მხატვრების თვალთ	41
ხელთვნება საქართველოში	
■ თბილისელი ოქრომჭედლების შემოქმედება	43
ეს საინტერესოა	
■ ყველაფერი უმეანურის შესახებ	48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უბკ) 050 (479.22)

0-892



ყველა მოვიანებით წარსული წლის შეცოდებანი და ახალ წელს მივებავოთ ახალი ძალითა და მხნეობით. გულწრფელად და ღრმად ჩავიჭადოთ გულში ეს მცნება: სადაც ვცხოვრობთ და რომელი ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პური, ღვინო, წყლითა და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარბოთ რამე. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის ვიქნებით კარგნი და ჩვენ საკუთარ შინაურ საქმესაც წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით.



ილია ჭავჭავაძე:

მხნე იყავ და გაკლიერდი!

საახალწლოდ

ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარია იესო ქრისტეს შობის დღე. გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველ-წლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარასათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამორგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მონყალეებისა და ყოვლად მსხნელის სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშინისმცემელი უძ-

ლურისა და უღონოსი, დავრდომილთა აღმადგენელი, სწეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან აღამალლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შემინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა. **„ვით მამა ზეცის, იყავ შენცა სრულიო“, — უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არს აღსვლად ღვთაების სისრულემდე.** რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვსს სიტყვა-

ში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოქმულში... იღვანე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიახნიო. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა ადამიანს არ გაეგონა და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველ-წლივ იესო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითოეულის გული მონყალეებისათვის და მადლისათვის სძგერს.

ხოლო არ გვესმის, რა მიზეზით ამასთანავე, თუ არ მეტის, სიხარულით ვეგებებით ხოლმე პირველ დღეს ახალი წლისას. აი, ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით, რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგვიცვნია. წასვლა ძველისა თავის-თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლეელი უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვეული ჭირი იყო და შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ღვინსა სჯობია. მეხოროე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითოეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას სამოცდახუ-

ჩვენს სიხოსხლეს ეს ამოღანა ხანი მოაკლდა და ერთის ბენვის ოღანახ-ქი არა შეგვაგბნია რა. უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდან ქი, რომ ესა უგაეურად, ურგებად ღღენი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვანს და სამკიბარს, ვიდრე მხიარულებასა და მილოცვ-მოლოცვას.



თი დღე და სამას სამოცდა ხუთი დღით ახლო მიუყვებით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო... ხუმრობაა, მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტი საათიანივე ღამე... ნავიდა და დაიღუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია. დროთა ბრუნვამ რომ ეს ამოდენა ღალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესინა, რა მოგვამკვივნა, რა დაგვამუნათა? რომ გვეთქმოდეს — ბევრი არაფერიო, ცოტა მაინც საგულვებელი გვექნებოდა. საქმე ის არის, რომ სულ არაფერი მოუცია, და ეს რა ნუგეშია. მიღიან დღენი, მიღიან წაღნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხალცარიელნი, როგორც ვყოფილვართ, და ვიძახით: საღ წავიდეთ, ვის შევიჩვილოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დასხულ კარებს ბედისას?

ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ძახვია ჩვენთვის, რომელსაც მშობარი კატა ვარ შენვდა და თავი იმით ინუბეშა, რომ პარასკევიამო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნი-


ერება იქნებოდა, რომ უბედურების კარის დასურვას და შიგნიდან ჩაკეტას მაინც ვღირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობებინა ძველს წელიწადს, კიდევ ღმერთს მადლობას ვეტყოდით და არ დავინანებდით ამისთვის იმ ძვირფას საფასურის გაცემას, რომელსაც დღენი სიცოცხლისანი ჰქვიათ, და რომელიც მით უფრო ძნელი გასამეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიდის და აღარ ბრუნდება უკან. სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსული დღენი-კი აღარა. ვაი ფუჭად განვლილს სამასს სამოცდა ხუთს დღეს და ღამეს. ჩვენს სიცოცხლეს ეს ამოდენა ხანი მოაკლდა და ერთის ბენვის ოდენაც-კი არა შეგვამტნია რა. უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდეს კი, რომ ესე უგემურად, ურგებად დღენი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვას და სამძიმარს, ვიდრე მხიარულებასა და მილოცვამოლოცვას.

სინანულიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩავგაგდო და ნამუსი და სინდისი თავისის უტყუარის სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად. განკითხვა თავისის თავისა ბევრს მი-

ზეზს დაგვანახებდა ჩვენის უბედურებისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასვლისას და ახალის მოსვლისას ქარსავე გაატანდა, მაგრამ სად არის. სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“, მაშინ, დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს.

რალა საკვირველია, რომ ჩვენ, ძველის წელიწადისაგან გულგატეხილნი და ასე უნუგეშოდ დარჩენილნი, ახალ წელიწადს რალაც იმედით ვებლაუჭებით, რალაც სიხარულით შევნატრით. მეტი რა გზაა, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ჩვენც ასე მოგვდის. ხოლო საკითხი ეს არის: ეს კარზე მოსული ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი წესვია და რა საბუთია, რომ შევხარით. ქრისტეს აქეთ სრული ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი წელიწადი გასთენებია ადამიანს საერთოდ და ჩვენ, ქართველებს, ცალკე და ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტეჯერ სიხარულით და მილოცვით მივგეგებივართ და ამდენჯერვე მოვტყუებულვართ, იმედი და სიხარული გაგვცრუებია და ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტე წელიწადისაგან რალას უნდა მოველოდეთ ჩვენ, ქართველები, მაინც.

მართალია, დღევანდელის დღის გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ სვალე შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა. რაკი ასეა, მაშ, დედა ვუნახოთ, მამა ვუნახოთ და შვილი ისე გამოვნახოთ, ქართულის ანდაზისამებრ, და მაშინ დავინახავთ, — რა წითელი კოჭი უნდა ბრძანდებოდეს ჩვენთვის ეს ახლად შობილი ახალი წელიწადი, რომლის მზე და მთვარე, წითელი და ბნელი პირველ შეხედვით თვალთ არა სჩანს, აბა, ერთი გვიბრ-





**ვიმხნეოთ ერთად — ერთის გულით,
ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით.
ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ, «მხნე იყავ
და განძლიერდი» — აი, ჩვენი საახალწლო
მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.**

**ქანეთ, — რა მოვუხანით, რა
მოვუთხანით, რომ რა მოგვაგა-
კვეინოს.**

„ყოველი მსგავსი მსგავსსა
ჰშობსო“, — ნათქვამია, და უხეი-
რო, უსაქმურ წელიწადისაგან ნა-
შობი რა ხეირს მოგვიტანს. განა
ამისთანა წელიწადი ერთი და
ორია!.. ეს რამდენი დრო და ჟამია,
რაც ჩვენ ვიძახით: „ნახდნენ ყო-
ველნი ჩვენთვისა, რაიც გვქონდა
ქონებანიო“. ვინ არის ამის მიზე-
ზი? არავინ, ჩვენს მეტი, და ამის
მაგიერ, რომ ყოველმა ახალმა წე-
ლიწადმა ჩვენს თავზე მიგვახე-
დოს, დაგვიჟინია „შემოდგით
ფეხი და გწყალობდეთ ღმერთიო“
და გვგონია, რომ რაკი ეს ვთქვით,
ციდან მანანა ჩამოვა და პირში
ჩაგვივარდება. ის კი აღარ გვახ-
სოვს, რომ ღმერთი მარტო გამრ-
ჯელის მწყალობელია და უხეი-
როს, უქმს, უსაქმურს პირს არი-
დება. **დღენი დღესა სცვლიან, წე-
ლიწადნი — წელიწადს და ჩვენი
თავი კი ისევ ისე წყალს მიაქვს,
ანდაზისა არ იყოს, — ურია
წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყო-
ვო. გაურჯელს კაცს წყალი
წაიღებს. მაშ რა მოუვა. ამას დი-**



დი ლარი და ხაზი არ უნდა.
„ღმერთმა ტკბილად დაგაბე-
როსო“, ერთმანეთისათვის ვნატ-
რულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი
წელიწადი კარს დაგვირაკუნებს.
რა დიდად სანატრელი რამ არის
ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი
ფეხის გადადგმაღა სიკვდილამ-
დე. და რაკი ამაზე მიდგება საქმე,
მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან
თვითონ სიბერე თავის-თავად
მწარეზე უმწარესი არ არის განა?
თუ ესეა, აბა, ეხლა თარგმნეთ,
რას ნიშნავს ტკბილად დაბერება?
აშკარაა, ტკბილად დამწარებას
და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატ-
რელი აღარა გაგვაჩნია-რა. ამაზე
უკეთესი სანატრელი ველარა გვი-
პოვია-რა. ნატვრის უნარიც კი
დაგვეკარგვია, მოდი და წყალი ნუ
წაგიღებს ამისთანას. სხვა რა
გზაა?
სხვა გზა ის არის, რომ ერთმა-
ნეთს ერთმანეთით გული გაგუ-
გულადოთ და ამისთვის ღონე
ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს
მივცეთ, ერთმანეთის სიყვარუ-
ლი ვამოციქულოთ და ამ წინდე-
ბულს ახალს წელიწადს იმას ვაქ-
მნევიანებთ, რაც ჩვენ გვინდა და
არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმ-
ხნეოთ ერთად — ერთის გულით,
ერთის სულით, ერთმანეთის
ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიე-
რია. მაშ, „მხნე იყავ და განძლ-
იერდი“ — აი, ჩვენი საახალწლო
მოლოცვა, ჩვენი საახალწლო
ნატვრა.

31 დეკემბერი, 1898 წ.

**მიღიან დღენი, მიღიან წელნი და ჩვენ ისევ ისა
პირღაღებულნი ვართ, ისევ ისა ხელსაჩილნი, როგორც
ვყოფილვართ, და ვიძახით: საღ ნავიღეთ, ვის
უავჩივლოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახუულ
კარებს ბედისას? ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის
კახვია ჩვენთვის, რომელსაც მშობიარი კატა ვერ უხსნვდა
და თავი იმით იწუბებდა, რომ პარასკევიანო. ჩვენთვის ისიც
დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურების კარის
დახურვას და შიგნიდან ჩაქატანს მაინც ვღირსებოდით.**



დავით ბაგრატიონი

(1767-1819)

უახლოეს წარსულთან კავშირით, მსოფლმხედველობით, ფილოსოფიურ-ესთეტიკური და მხატვრული სიახლეებით დავით ბაგრატიონი ახალი ქართული ლიტერატურის ბუნებრივი დასაწყისია. ამ პირველი ქართველი „ვოლტერიანელის“ ცხოვრება და შემოქმედება გვეხმარება, გავერკვეთ მაშინდელ ისტორიულ ვითარებაში, ვეზიაროთ ეპოქის სულისკვეთებას, ვიგრძნოთ ტრადიციის ცხოველმყოფელობა, ჩავწვდეთ ტენდენციებს.

ცხოვრება

ქართლ-კახეთის მეფის — გიორგი XII-ს ძე, ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი დავითი დაიბადა 1767 წელს.

მეფე-დედოფალი, სასახლის კარი თავს არ ზოგავდნენ, რათა უფლისწულს დროის შესაფერი აღზრდა-განათლება მიეღო, რუსული, ევროპული კულტურა შეეთვისებინა.

ამ საქმეს ხელმძღვანელობა დაევალა ცნობილ მეცნიერს, პედაგოგსა და პოეტს **დავით რექტორს (მესხიშვილს)**, რომლის მრავალდამსახურებათაგან აქ საგანგებოდ უნდა გავიხსენოთ, რომ 1821-1823 წლებში მან შეადგინა ორტომიანი ხელნაწერი ანთოლოგია, რომელშიც თავმოყრილია „გარდამავალი ხანის“ ქართული ლიტერატურის ნიმუშები.

სწავლაში დავითმა დიდი ნიჭი და გულმოდგინება გამოიჩინა. ბრწყინვალედ შეითვისა რუსული, სპარსული, ფრანგული, გერმანული ენები. ოცნებობდა, ცოდნის გასაღრმავებლად რუსეთში წასულიყო, მეცნიერებანი შეესწავლა, ევროპის ცხოვრების წესს ზიარებოდა. რუსეთის მთავრობის მოხელეს, უნგრეთში აღზრდილ გერმანელ სწავლულსა და დიპლომატს — იაკობ რეინეგსს სწერდა: **„მიშველე რამე, ჩინი მიშოვე, ეგების მაგ მეცნიერის ადგილის ხილვა მეღირსოს, რომ ეგების ჩემმა გონებამ უმეცრების ბინდი განიძარცვოს“**.

დავითი გრძნობდა, რა პასუხისმგებლობას დააკისრებდა მას საქართველოს მეფობა და ყოველმ-

ხრივ ემზადებოდა ამისთვის.

1796 წელს პაპამ, მეფე ერეკლემ, დავითი იმპერატორ პავლე პირველის კურთხევის მისალოცავად გაგზავნა პეტერბურგში. ზრდილი, განათლებული უფლისწული განსაკუთრებული პატივით მიუღიათ სასახლის კარზე. იმპერატორის რჩევით, პაპისა და მამის ნებართვით, რუსეთის სამხედრო სამსახურში შესულა. ერთ კერძო წერილში კმაყოფილებით აღნიშნავს: **„ხელმწიფე მწყალობს. ღვარდიში პრეობრაჟენსკის პოლკში, რომელშიც ხელმწიფე პოლკოვნიკია, პოლკოვნიკად მიმიღეს და ის როტაა ჩემი, რომელსაც თვით იმისი დიდებულის სახელი ჰქვია და იმისი არს, და, ნოემბერს კი ღენერალ-მაიორობა მიბოძეს და (ხელმწიფე) თავს ჩემს ოსტატს ეძახის და ვარ კარგად. აქაური დიდებულები მწყალობენ და პეტრე დიდის სურათს ამსგავსებენ ჩემს სურათს. წამოსვლა მინდა, მაგრამ სული და ხორცი გაეყრება კაცს აქაურობის მნახავსა“**.

დავითმა ნაყოფიერად გამოიყენა პატიარზობის ყოფნის წლები (1796-1798), დაეუფლა ევროპის სამხედრო ხელოვნებას, მიცნირებისა და სოციალური აზროვნების მონაპოვრებს.

მამამ ტახტი დაუმტკიცა დავითს, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისიდანვე გამოირჩეოდა გამჭრიახობით, ცოდნითა და სიმამაცით; მონაწილეობდა ლეკთა თარეშების მოგერიებაში, საზღვრების გამაგრებაში.



1795 წელს დავითმა თავი ისახელა ალამაჰმადხანთან მძიმე ბრძოლებში, ტაბახმელასა და შინდის ხევში მისი მხედრობა სასწრაფოდ მიეშველა განსაცდელში ჩავარდნილ ქართველ არტილერისტებს და ხელჩართულ შეტაკებაში დაამარცხა ყაჯრის ლაშქრის შემტევი ნაწილები.

1800 წლის 7 ნოემბერს, რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარის შემადგენლობაში, დავითის რაზმებმა მდინარე იორზე, სოფელ კაკაბეთთან, ნიახურას ომში, გაანადგურეს ომარ-ხან ავარიელის მრავალრიცხოვანი არმია.

საუკუნის ბოლო წლებში დავითის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. ერეკლეს გარდაცვალებისა და მისი უფროსი შვილის, გიორგის, გამეფებით დაიწყო ტახტის პრეტენდენტთა შორის გაუთავებელი ინტრიგები და შეჯახებანი, რომლითაც მოხერხებულად ისარგებლეს „რუსეთთან მეგობრობითი ხელშეკრულების“ (ტრაქტატის) იმ მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ დამოუკიდებლობის გაუქმებას.



მეფე გიორგი განუწყვეტლივ ავადმყოფობდა, ერეკლეს მომდევნო შვილები ტახტის მემკვიდრედ დავითის გამოცხადებას უკანონოდ თვლიდნენ, ერეკლეს ანდერძის თანახმად, გიორგიდან მეფობა მის უმცროს ძმაზე, იულონზე, უნდა გადასულიყო (დარეჯან დედოფლისგან ჰყავდა). ბატონიშვილთა უფროს (ერეკლეს ნაშიერთა) და უმცროს (გიორგის ნაშიერთა) შტოებს შორის ურთიერთობა სულ უფრო მძაფრ ხასიათს იღებდა; პირველნი მოითხოვდნენ იულონის გამეფებას, მეორენი — დავითისას.

იმპერატორმა პავლემ შეიწყნარა მეფე გიორგის თხოვნა და 1799 წელს ტახტის მემკვიდრედ დავითი გამოაცხადა.

ამ გარემოებამ ძმებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა და 1800-1801 წლები უღმობელი მეტოქეობისა და ანარქიის ბურუსში გაჰხვია. **სასახლის წრეების დიდი ნაწილი დავითის გამეფებას სამართლიანად თვლიდა და მხარს უჭერდა, ამ თვალსაზრისს იცავდა რუსეთის სამეფო კარიც.** წერილში ელჩ გარსევან ჭავჭავაძისადმი დავითი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ დაპირებას შეუსრულებდნენ. „დრო ეს არის, რომ აღმოთქვეს მეფისა კავალერი და ნიშნები და, აგრეთვე, ნასლედნიკისთვის წყალობა“.

სოლომონ ლეონიძის სიტყვით, გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ: „იქით სარდლები იწვევენ, აქეთ — მეფის ძენი. მელიქი და (მისნი მომხრენი) ... გველურად

იქცევიან, ... დავითისა მემკვიდრისა მტერობისათვის... რათ უნდა შეექმნათ მტერი ქვეყანასა?“

ერეკლეს ძენი: იულონი, ფარნაოზი, ვახტანგი თავიანთ განზრახვაზე ხელს არ იღებდნენ, შლიდნენ დავითის მომხრეთა განზრახვას, ხალხი მის ერთგულებაზე დაეფიცებინათ. რა მწვავე ხასიათს იღებდა ეს შუღლი, მკაფიოდ ჩანს დავითის წერილიდან უმცროსი ძმის, ბაგრატიისადმი, რომელიც ეკითხება, როგორ მოვიქცე, თუ ბიძები (იგულისხმებიან იულონი და მისი ძმები) „გადმოვიდნენ, თოფი ვესროლო თუ არაო?“. დავითი მეფური მრისხანებით აღსავსე განკარგულებას აძლევს: „როგორც ლეკს, ისე თოფი ესროლე, არ დათმო!“.

სხვა საბუთი რომ არ გვექონდეს, ამ წერილიდანაც ცხადია, რა რთული ვითარება შექმნილა.

ეს ვითარება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს „ტრაქტატის“ გაუქმებისათვის მებრძოლმა წრეებმა, როგორც იმპერატორის სასახლის კარზე, ისე ადგილობრივ. მათ იცოდნენ, რომ ორივე მხარე — დავითიცა და იულონიც, „ტრაქტატის“ შენარჩუნებას საგარეო ურთიერთობის უპირველეს პირობად მიიჩნევდნენ. **რეაქციულ წრეებს ხელს არ აძლევდა განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე, ნიჭიერი და მამაცი დავითის გამეფება. 1801 წელს იმპერატორ ალექსანდრეს ნებით იგი მმართველობიდან გადააყენეს, მემკვიდრეობა ჩამოართვეს. ამავე დროს თბილისში გენერალ ლაზარევის სარდლობით რუსე-**

თის ჯარის ახალი კონტინგენტი შემოვიდა და მისივე (ლაზარევის) მეთაურობით „დროებითი მმართველობა“ შეიქმნა, რომელმაც ერთ წელს იარსება.


ამ ღონისძიებების განსახორციელებლად 1801 წლის მარტში საქართველოში გამოგზავნილი იყო გენერალი კნორინგი.

დავითმა მწარედ განიცადა ეს მოვლენები, რომლებიც არა მარტო პირად, არამედ მთელი ერის, ქვეყნის შეურაცხყოფად და თვითნებობად ჩათვალა.

„აქ მყოფმა ნაჩაღნიკმა ლაზარევმა ყოველს ჩემს მოქმედებასა და მმართველობაზე ხელი ამაღებინა და ოთხი კაცი გამოარჩია, რომელთანაც თვით მჯდომი მმართველობენ, და რაც აქ ამბავები და ან საქმეები დაენყო, ყოველივე სანატრელის მამის ჩემი თხოვისა და ღრავ როსტოფჩინისაგან მეორედ კითხულისა და გიორგისა და ელიაზარისაგან მოტანილისა ყოვლითურთ უცხო და სხვა არის... ვთქვათ, რომ უბედურება სოფლისაგან, დიდი ხანია, ჩვეულებად შემოსულა და ვითომ მეც ერთი გაუბედურდი, მაგრამ ამ მრთელმა ქვეყანამ თავისს შორის დამკვიდრებულის ერთ რა დაამავეს და ან რას შესცოდენ, რომ ამისთანა უკანონოს და უნესოს უბედურებაში მიანიეს, რომ ოთხთ უნიგნოთა, უწვრთელთა და უისტორიოთ გვამთაგან ეს მრთელი სამეფო იტანჯებოდეს და ასე მოუვლელოდ და მწუხარედ რჩებოდეს?“

ქვეყანაში მორჩილების უზრუნველსაყოფად ხელისუფლება საჭიროდ თვლიდა საგანგებო ზომების განხორციელებას. საბაბიც გამოჩნდა — 1803 წელს მარიამ დედოფალმა ხანჯლით მოკლა გენერალი ლაზარევი. იმავე წელს დავითი რუსეთს გადაასახლეს.

მთავრობამ ყველაფერი იღონა გადასახლებულ ბატონიშვილთა გულის მოსაგებად. დავითს ებოძა სოფელი სტრემლიანი და შემოგარენი. „დობტური მყავს ხელმწიფისაგან მოჩენილი, პირველი ექიმი, სტაცკი სოვეტნიკი და კავალერი მილერი... ღვთის მოწყალება, დოვლათი, ეს წყალობა, ეს





პატივი მამას არ უნახავს და პაპასა, ეს კარი და ეს სახლი, მამაჩემს ფარდაგი არ ეგო და რვაასი თუმნის მარტო მებელი ერთიანი ვიყიდე მე... ჩემს სოფელში თურაჯი, გნოლი და შავი ხოხობი და კურდღელი ბევრია... აქ უფრო ბევრი თურაჯია, რიაფჩიკს ეძახიან. შვიდასი ხოხობი, ექვსასი გნოლი და რვაასი თურაჯი, ხარჯს გარდა აძევს ჩემს ყმებს, ხუმრობა არ გეგონოს, ურმებით მომივა ხოლმე“.

მაგრამ იმავე წერილებიდან ჩანს, რომ ეს იდილიური სურათები მოგონილია თავისთავის დასამშვიდებლად და კიდევ უფრო მეტად, იმ მტერ-მოყვარეთა გასაგონად, რომლებიც დასცინოდნენ თურმე გადასახლებულ ბატონიშვილებს, ან, ზოგიერთს გული შესტკიოდათ მათთვის.

„ავი ვიყავ თუ კარგი, ექვსი თვე თქვენი ბატონი ხომ ვიყავი. ვინც ჩემზე იცინის, ან ჩემზე წუხს... (უთხარით) ვმადლობ ღმერთსა, რომ საყვედურს მოვრჩი“, აქედან ხომ მაინც ვეღარ გადამასახლებენო.

დავითის გულში არასოდეს განელებულა ტკივილი, მწუხარება, მოლოდინი და იმედი. ერთი მხრივ, მთავრობას მოაგონებდა, რომ ქვეყნის ბედნიერებისთვის სასარგებლო იქნებოდა „ტრაქტატის“, უკიდურეს შემთხვევაში, 1801 წლის მანიფესტის აღდგენა.

დავითმა, მისმა ძმებმა, ბიძებმა, ბიძაშვილებმა და თანმხლებებმა მამულის სამსახურის ახალი გზა გამონახეს, მთელი ენერგია ქართული კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერების წინსვლას მოახმარეს, მდიდარი საგანძური დაგვიტოვეს.

ამ იდეით არის გამსჭვალული წერილები დავით რექტორის, ფარნაოზ, იოანე ბატონიშვილებისადმი.

„ჩემო სასურველო და სატროფოო ძმაო იოანე!

ბედნიერად ჩემდა ვრაცხ ესეთსა თანამდებობასა, რომელიცა თანამდებ მყავ შრომითა და უმეტეს ამით, ვინაითგან ვჰხედავ შენ შორის სურვილსა ესე ვითარ-

სა, რომლისა დასასრული მოიზიდავს ერთა ბედნიერებასა. სანატრელ არს ესევეთარი კაცი, რომელსა აქვს სურვილი ერთა ზრუნვისა. მაგრამ რაი, უკეთუ მხოლოდ შენ გექნების საუნჯე დაფარული ხელქვეშთაგანცა შენთა, რომელთა არა რაიმე უწყიან! და უკეთუ აღძრავ მათცა ხელოვნებისადმი და თანამდებობისა მათისა შემეცნებად, მაშინ იქმნების საქმე ესე პატიოსან და ღირსსხოვარ მამულისაგან და საზოგადოებისა“.

ეს მოღვაწეობა ასაზრდოებდა მის განუწყვეტელ, ნაყოფიერ თანამშრომლობას საამაყო აღმზრდელსა და მეგობართან — დავით რექტორთან.

„ჩემო საყვარელო და მეგობარო და ლალავ, უფალო რექტორო დავით! არა რა არს ესოდენ ძვირფას კაცთათვის, რაოდენ ხსოვნა შრომათა და ღვაწლთა მათ, რომლითაცა იგინი სხვათაგან ვალდებულ არიან... ჩემის შრომისადმი მარადის განმადღვიძებდა მე უმაღლესი იგი დატვიფრულობა, რომელიც არაოდეს წარიშლები გულისაგან ჩემისა“.

პირუთვნელი შენიშვნების და რჩევისათვის თავის აღმზრდელს უგზავნიდა თარგმანებსა თუ ორიგინალურ ნაწარმოებებს.

მათი თანამშრომლობის ნაყოფია ქართული ლექსიკონი, ანსილონისა და მონტესკიეს თარგმანები და სხვ.

სოციალურ-პოლიტიკური უხედეულებანი

დავითი მოღვაწეობდა მეცნიერების, განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობის ეპოქაში.

ინერგებოდა ევროპული აღზრდა-განათლება, არსებობდა სკოლები, პანსიონები, მკვიდრებოდა ევროპული ლიტერატურული გემოვნება, რომელიც ნაკლებ შემრიგებლობას იჩენდა აღმოსავლური მწერლობის მიმართ. ევროპული ლიტერატურის ძეგლ-

თა ინტენსიური თარგმნა, ევროპის პროგრესულ მოაზროვნეთა შეხედულებების გავრცელება, დიდი ევროპელი განმანათლებლების — ვოლტერის, მონტესკიეს, რუსოს და სხვათა „ეპოქის ამალელებელი იდეების“ შემოჭრა, „ევროპეიზმის“ შინაარსის გაფართოება კვალს აჩნევდა სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს.

დ. ბაგრატიონი განმანათლებლური იდეების გავრცელების, „აღმოსავლური“ გავლენის აღმოფხვრასა და ევროპეიზმის დამკვიდრებაში ერთგულად ემსახურება იმავე საქმეს, რისთვისაც ანტონი იღწვოდა, მაგრამ, იმავდროულად, როგორც ახალი, ევროპასა და რუსეთში გაბატონებული ლიტერატურული გემოვნების წარმომადგენელი, ენისა და ლიტერატურული სტილის საკითხებში პრინციპულად უპირისპირდება ანტონსა და მის სკოლას.

საერთო კულტურულ-ლიტერატურულ ფონს გვიხასიათებს ვახტ. ბაგრატიონისა და იაგორ ჭილაშვილის თხზულებები. ვახტანგის „ეპისტოლენი“ განათლებული აზნოლუტიზმის რაობაზე, „ბუნებრივ ადამიანზე“, რომ, ადამიანი უნდა ფასდებოდეს არა გვარიშვილობით, არამედ პირადი ღირსებით, მარტო ქართული საზოგადოებრივი კულტურის ფართო ევროპულ დიაპაზონზე კი არ მიგვითითებს, არამედ იმდროინდელი ქართული მწერლობის მამოძრავებელ იდეებსაც შუქს ჰყვანს.

დ. ბაგრატიონის მიცნირულ ნაშრომთაგან მნიშვნელოვანია „საქართველოს შემოკლებული ისტორია“ (1795:), „საქართველოს მოკლე ისტორია“, გამოცემული პეტერბურგში, რუსულად (1805 წ.), „საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა“, „სპარსული წერილები“ (მონტესკიეთი).

1786 წელს უთარგმნია რუდოლფ ოსტრატის „ევროპის მეგზური“, ჟან-ჟაკ რუსოს კრებული და სხვ.

1812 წელს გამოცემული ი. ჭილაშვილის „ბუნებითი სამართ-



ლის მონახაზი“, რომელშიც მხოლოდ „შრომით მოპოვებულს მიიჩნევს სამართლიანად“, პროგრესულ-რევოლუციური სიტყვა იყო თვით რუსეთისთვისაც, დიდ ღირსებას ჰმატებს ჩვენი აზროვნების ისტორიას და, სხვათა შორის, კიდევ ერთი დადასტურებაა, რა ნიადაგზე ამოიზარდა 1832 წლის მოძრაობა, რომლის ყველა სულისჩამდგმელი დღემდე არაა ცნობილი.

დავითის შეხედულებები იმდენად რადიკალურ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ გენერალ ლაზარევს კნორინგისთვის უცნობებია: საფრანგეთის რევოლუციის, ნაპოლეონის მადიდებელიაო.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავითის გატაცება საფრანგეთის რევოლუციით მისი მსოფლმხედველობის გამოხატულება კი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ ძლიერი პიროვნების, ომებში წარმატებების მიმართ სიმპათიის ნაყოფი. დოკუმენტები, ნაწარმოებები მხარს უჭერს პირველ ვარაუდს. არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ იგი იცნობდა და თანაუგრძნობდა ვოლტერს, რის გამოც მამის რისხვაც გამოუწვევია.

მონტესკიეს ნაშრომის თარგმანის შეფასებაში ნათქვამია: „არსცა ერთიცა... უმჯობესთა წერილთაგანი ყოველსა ევროპასა შინა“, განმანათლებელთადმი იდეურ თანაზიარობას გამოხატავს.

გამოთქმულია მოსაზრება (გ. ლეონიძე, ტრ. რუხაძე, გ. მიქაძე), რომ ამ მიმართულებით დავითის მსოფლმხედველობის განვითარებას ხელი შეუწყეს საქართველოში მყოფმა უცხოელებმა. 1799

წელს სომეხთა არქოეპისკოპოს იოსებ არლუთოვს სწერდა: ფრანგმა გენერალმა ბონაპარტემ მამაჩემს შიკრიკი გამოუგზავნა, რომელიც ახალციხეში დაიჭირეს და ჩამოახრჩეს, ხოლო წერილი დანვესო. ნაპოლეონს მიზნად ჰქონია ქართველ მეფესთან დიპლომატიური კავშირის დამყარება. წერილებში გამჟღავნებულია ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი თანაგრძნობა:

მოგვიანებით, როცა ფრანგები რუსეთში შემოვიდნენ და მოსკოვი აიღეს, დავითი მტრულადაა განწყობილი მათ მიმართ, „თავლაფიან ძალებს“ უწოდებს; არსებობს ცნობა, რომ 1812 წლის ომშიც მონაწილეობდა.

იცვლება ნაპოლეონის როლი საზოგადოებრივ ასპარეზზე, შესაბამისად, იცვლება დავით ბატონიშვილის დამოკიდებულება მისდამი.

ლიტერატურულ-მსტიტიკური უხედავება

დ. ბაგრატიონი ყმანვილობიდანვე გატაცებული ყოფილა ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიული საკითხებით. რუსეთში ყოფნისას ეს ინტერესი გაძლიერებულია.

„ერთი მწერალი მიმოვე უბრალო, რომ დარჩეს ჩემთან. ანსილიონ ვთარგმნე და მონტესკუ და გადამწერი არა მყავს, ანსილიონ უცხო რამ არის“, — სწერდა დავით რექტორს.


1815 წლისათვის უკვე თარგმნილია „ანსილიონ და მონტესკუ“, მეორე ტომს სულ მალე გამოვუგზავნი“. დამაჯერებლად ასაბუთებს, რატომ აირჩია სათარგმნელად ანსილიონის „ესთეტიკური განსჯანი“. „იგი (ნაშრომი) არს უხვი წყარო პოეზიისა და მშვენიერ სიტყვაობისა, სადიდცა ქართველნი ამიკნი შაირობათნი, შეემეცნებიან პოეზიას, და პოემას ამა უმაღლესსა გადმოცემასა ყოველთა სხოლათა შინა ევროპიისათა, შემდგომად მოსმენისა ფილოსოფიისა და მშვენიერსიტყვაობასა შეამეცნებენ მონაფეთა“.

პოეზია

1879 წელს ი. ჭავჭავაძემ „ივერიაში“ დასტამბა მშვენიერი სატირული ლექსი სათაურით „ბატონიშვილის დავით გიორგის ძისაგან თქმული მუხამბაზი“.

რა იქნება,
ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან
თუ არის ორატორი,
ქრისტეფორე ტფილისის
დირექტორი,
თავადი გიორგი
რელისტრატორი,
პეტრე მისი მამი-პაპისა
სწორი!
...დასეირნობს სერთუკით
და ჟაბოთი,
პაკენბარდი ყბას
მიუკრავს ნებოთი.

ამ ლექსს საუკუნის ბოლომდე არ დაუკარგავს იდეური აქტუალობა. საერთოდ, დავით ბაგრატიონის სატირული პოეზია ანალოგიას პოულობს რაბლესთან, სერვანტესთან, ვოლტერთან, სვიფტთან, გოეთეს „რაინიკე მელასთან“. გვიჩვენებს აღნიშნულ ლექსებში სოციალურ მანკიერებათა, ფეოდალური არისტოკრატის მოუქნელობის, სიჩლუნგის, გაუმადლობის მხილების საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მნიშვნელობას და, საერთოდ, ზრდის დავით ბაგრატიონის როლს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ ნაწარმოებთა ენა და სტილი ისე მოულოდნელად ახლოსაა აკა-



კის სატირულ ლექსებთან, რომ თავისებურ აქცენტს იძენს. ხალხური კილო და სისადავე ევროპეიზმის ერთ-ერთი ნიშანია.

დავით ბატონიშვილი უაღრესად განათლებული პიროვნება იყო. მან ღრმა, საფუძვლიანი განათლება მიიღო საქართველოში ანტონ პირველისა და დავით რექტორისაგან. დავით რექტორი იყო მისი ლალა და მასწავლებელი. დავით ბატონიშვილი იყო შესანიშნავი მხედართმთავარი, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი-ვოლტერიანელი და კარგი ისტორიკოსი, რომელიც უთუოდ კარგად ერკვეოდა საქართველოს წარსულსა და რუსეთთან შეერთების დროინდელ ვითარებაში. იგი კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპის განმანათლებელთა მოღვაწეობას და მათ ნაშრომებს, XVIII საუკუნის ფრანგი ენციკლოპედისტების შეხედულებებს. ღრმა და საფუძვლიანმა განათლებამ განაპირობა მისი შედეგიანი მოღვაწეობა მეცნიერებასა და მწერლობაში. ამ სფეროში მოღვაწეობას იგი საქართველოშიც ეწეოდა რუსეთში გადასახლებაში და პეტერბურგში დასახლების შემდეგაც. მან დაწერა და თავისი მმართველობის დროს, 1800 წელს, გამოაქვეყნა „ნარკვევი“, სადაც მისი მმართველობის დროინდელი საქართველოს მდგომარეობის შესახებ უამრავი ფაქტობრივი მასალაა მოცემული. მანვე დაწერა და 1805 წელს გამოაქვეყნა, რუსულ ენაზე, „საქართველოს მოკლე ისტორია“. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა მთარგმნელობით სფეროში. მან ფრანგულიდან თარგმნა ფრ. ვოლტერის „შობისათვის“, რუსულიდან — შ. მონტესკიეს „კანონთა არსის შესახებ“ და ანსილიონის „განსჯანი ესტეტიკები“, „სამკურნალო რეცეპტები“. დავით ბატონიშვილს აქვს ორიგინალური ნაშრომები მეცნიერების სხვადასხვა დარგში: ფიზიკაში, ისტორიაში, ენათმეცნიერებაში, სამართალში და სხვ. ის წერდა ლექსებსაც (მისი ლექსები დაცულია ხელნაწერებში). 1812 წელს დაწერილ ლექსს „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“ დიდი

პოპულარობა ხვდა და მღეროდნენ კიდევ. ეს ლექსი 1901 წელს №2 „მოგზაურში“ დაიბეჭდა.

დავით ბატონიშვილის ნაშრომებს სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს ტრ. რუხაძემ, ლ. ასათიანმა და სხვ. ა. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით 1959 წელს დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის 1813 წელს დამთავრებული საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა. საინტერესოა მისი 1812 წლის წერილი „О лучшем устройстве Грузии“. ვინაიდან კავკასიის მთავარმართებელთათვის არავითარი ინსტრუქცია არ არსებობდა სამოქალაქო მმართველობის დარგში, ამიტომ დავით ბატონიშვილის ამ წერილს დიდი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა, მაგრამ ზერელედ იქნა განხილული, რის გამოც არქივს ჩაბარდა. **1817 წელს დავით ბატონიშვილმა დაწერა თხოვნა მისი საიმპერატორო უდიდებულესობის სახელზე. თხოვნაში იგი საქართველოს ძველ ისტორიას მიმოიხილავდა და ცდილობდა როგორმე დაემტკიცებინა ხელმწიფე-იმპერატორისათვის, რომ თუ საქართველოს სამეფო აღდგებოდა, რუსეთს დიდ სარგებლობას მოუტანდა და ხალხიც დამშვიდდებოდა.** „...განსვენებული მამა ჩემის მეფე გიორგის 16 მუხლისაგან შემდგარი თხოვნის ძალით, თუ თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის კეთილი ნებით საქართველოს უწინდელი სახე დაუბრუნდება... მადლობის ნიშნად ყოველწლიურად გადაუხდის რუსეთის ხაზინას ერთ მილიონ მანეთს ასიგნაციით და საზოგადოების საკეთილდღეოდ საქართველოში შეინახავს რუსეთის ქვეითი ჯარის 6 ათას მებრძოლს თავისი ხარჯით. საჭირო შემთხვევაში, ყოველთვის მზად იქნება იქაურ მხარეებში — თურქეთსა და სპარსეთში რუსეთის ჯართან ერთად გაგზავნოს თავისი ლაშქარი, თავისივე ხარჯით. ჩვენ ყოველად ქვემეზრდომულ ფიცს დავდებთ თქვენი უდიდებულესობის უმაღლესი ტახტის წინაშე და ბატონიშვილ-

ბისა და ჩვენ ცნობილ ქართველ დიდებულთაგან მძევლებს მოგცემთ და მამაჩემის 16-მუხლიანი თხოვნის მეხუთე მუხლის ძალით, ყველა, იქ არსებული ციხესიმაგრეები რუსეთის მამაც მებრძოლთა სრულ განკარგულებაში იქნება“. დავით ბატონიშვილი მზად იყო ყოველივე ეს შეესრულებინა, ოღონდ კი ხელმწიფე-იმპერატორს ქართლ-კახეცის სამეფო აღედგინა და ტახტზე რომელიმე ბატონიშვილი ასულიყო.

დავით ბატონიშვილის ამ დაპირებებს ალექსანდრე პირველი ყურად არ იღებდა, ვინაიდან საქართველოს შემოსავალი უკვე მეფის რუსეთის მთავრობის განკარგულებაში იყო, ჯარიც საქართველოში იყო დაბანაკებული და ციხესიმაგრეებიც მათ ხელში იყო. დავით ბატონიშვილმა იცოდა ყოველივე ეს; იცოდა, რომ ხელმწიფე-იმპერატორი საქართველოს სამეფოს აღარ აღადგენდა და ამიტომაც დასძენდა: „თუ არ იქნება თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის ნება (სამეფოს აღსადგენად), მაშინ უქვემეზრდომესად ვთხოვ თქვენს საიმპერატორო უდიდებულესობას დამიბრუნოთ თქვენი უდიდებულესობის 1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესი მანიფესტით დამტკიცებული ჩემი მამული საქართველოში და ის პენსია, რომელიც გენერალ კნორრინლის უმაღლესი ბრძანებით განმესაზღვრა მე. ანდა შემინახოთ, სანამ აქ ვიქნები, ისე როგორც საშუალო რუსი დიდებულები ცხოვრობენ. თუ არ დაუბრუნდება ჩვენს საქართველოს სამეფო სახლს მისი კანონიერი უფლება, მაშინ თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობაც, კეთილ ინებეთ და ჩვენი სამემკვიდრეო მამულების სამაგიეროდ, მე და ჩემი ძმები შესაბამისად დაგვასაჩუქრეთ, რათა რითაც შეგვიძლება ჩვენ და ჩვენ შთამომავლობას, ჩვენი ღირსებისა და ნოდების საკადრისად შეგვენახა თავი რუსეთში ყოველგვარი გაჭირვების გარეშე. რამდენადაც ცნობილია თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობისათვის, ამჟამად სურსათსანოვავის სიძვირისა და მასზე



კვლავ ფასის ამალღების გამო, ძლივს შეგვიძლია გაჭირვებით თავის შენახვა, ჩვენი აწინდელი შემოსავლით“. ბოლოს, შიშობს დავით ბატონიშვილი, ამგვარი შინაარსის წერილით იმპერატორი ალექსანდრე არ გალიზიანდესო და სთხოვს ხელმწიფეს, გულწრფელი წერილი თავხედობაში არ ჩამითვალოთო: „ნუ ჩამეთვლება თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის ყოვლადმონყალე და კაცთმოყვარე ხელმწიფის, იმპერატორისა და უავგუსტოეს მონარქისაგან ამ ჩემი მოსაზრების გულწრფელი და გულახდილი გადმოცემა თავხედობად და ჩამეთვალოს ყოვლად უქვემევერდომეს ჩემ კეთილ განწყობილებად და თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობისადმი ერთგულება“.

როგორც ვხედავთ, ეს წერილი უფრო მეტად პირადად დავით ბატონიშვილსა და საქართველოს სამეფოს აღდგენის ცდებს ეხება. წერილი 1817 წლის 11 მარტითაა დათარიღებული. შვიდი დღის შემდეგ, იმავე წლის 20 მარტს წერილი მინისტრთა კომიტეტში მოისმინეს.

მინისტრმა საქართველოს გაუქმებული სამეფოსა და ბატონიშვილების რუსეთში მოწყობის შესახებ ცალ-ცალკე პუნქტებად ჩამოაყალიბა თავისი აზრი, რაც დავით ბატონიშვილის „მოთხოვნის“ ძირითად საკითხებს პასუხობდა: „1) საქართველოს სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთება მოხდა საქართველოს უკანასკნელი, გარდაცვლილი მე-

ფის გიორგის სურვილით; 2) ბატონიშვილ დავით გიორგის ძეს და სხვა დანარჩენ ბატონიშვილებს, ჯერ კიდევ 1804 წელს, უმაღლესი ბრძანებით გამოეცხადათ, რომ მათ არ შეუძლიათ საქართველოში დაბრუნება; 3) საერთოდ, საქართველოს ყოფილ სამეფო სახლს ხელმწიფის მიერ საგანგებო წყალობა ებოძათ; 4) მათთვის კაპიტალისა და პენსიების ბოძება დიდი საჩუქარია მათ კუთვნილ საქართველოს მამულებიდან შემოჩსავალთან შედარებით“. ამგვარი მოსაზრების შედეგად, შინაგან საქმეთა მინისტრმა დავით ბატონიშვილს უარი უთხრა თხოვნაზე. დავით ბატონიშვილმა ერთი წლის შემდეგ კვლავ შეახსენა თავისი თხოვნა მთავრობას. ამჯერად, კოზოდაველვის მეშვეობით, ყოვლისშემძლე გრაფმა არაკჩევემა მუქარით უპასუხა: „დავით ბატონიშვილს მოაქვს უსაფუძვლო მოთხოვნები და ამის შემდეგ, თუ იგი კვლავ არ იქნება მშვიდად, მაშინ ნაბრძანები იქნება მისი სამსახურიდან გადაყენება და პეტერბურგიდან გაძევება“.


მიუხედავად სამშობლოდან ძალით მოცილებისა და რუსეთში ამგვარი დამცირებისა, დავით ბატონიშვილს არ უღალატნია რუსული ორიენტაციისათვის. საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლას იგი მაინც რუსეთთან კარგ ურთიერთობას უკავშირებდა და, ალექსანდრე ბატონიშვილისაგან განსხვავებით, მუსლიმანურ ირანოსმალეთთან დაკავშირების სას-

ტიკი წინააღმდეგი იყო. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი აღარ ერეოდა საქართველოს საქმეებში და მხოლოდ მეგობრული მიწერ-მონერა ჰქონდა ახლობლებსა და ნათესავებთან საქართველოში: „დავით, ვითარცა ღენერალ-ლეიტენანტი და სენატორი, — წერს პლატონ იოსელიანი, — იყო მიწერ-მონერასა შინა მამაჩემთან და დავით რექტორთან. მცოდნე რუსულისა ენისა თარგმნიდა წიგნთა ქართულად და უგზავნიდა ამათ, ვითარცა კაცთა განსწავლულთა. საქართველოსა საქმეთა შინა არღა ერეოდა, იყო მორიდებული და მომდურავიცა ქართველთა.

1819 წელსა, იანვრისა 8 მოსწერა წერილი, და ესეცა იყო მისგან უკანასკნელი, მწიგნობრობისა და მწერლობისა მასწავლებელსა თვისსა დავით რექტორს. წერილსა ამას შინა სხვათა შორის იტყვის შემდეგსა: „ჩემო ლალავ! ყველას მოკითხვა უბრძანეთ, ვინც ჩემზედ იცინის და ვინც ჩემთვის სწუხს, იმათ ნაუკითხე ლუკას თავი კგ, კზ, ვიდრე ლბ-მდის. ვჰმადლობ ღმერთსა, სუყველას მოვრჩი“.

1819 წლის 8 იანვარს დავით რექტორისათვის მოწერილი წერილი უკანასკნელი იყო დავით ბატონიშვილისათვის. იმავე წლის 13 მაისს გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის პირმშო და მემკვიდრე დავით ბატონიშვილი. **„ამავე (1819) წელსა მაისის ცამეტსა დღესა სამშაბათსა ზატიკში მიიცვალა მეფის გიორგის-ძე, პირმშო და მემკვიდრე ქართლისა დავით წელისა ორმოცდაათისა, რომელიცა იყო რუსთა ღენერალ-ლეიტენანტი და სენატორი, ამას აქვდა ნიშანნი კავალერია ალექსანდრე ნევესკისა და ანასი, ესე გარდაიცვალა სანკთ პეტერბურღს შინა ვასილის ოსტროვში. ამას დავითს არა დაშთა შვილი არცა ვაჟი, არცა ქალი“.**

დავით ბატონიშვილი დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის მონასტერში, წმინდა ოქროპირის ეკლესიაში.





მისტვის საქართველო ყოველთვის «ნაინლა ივარია» იყო

„შეიყვარეთ მოყვასი! და თქვენ შეიყვარებთ ქრისტეს! შეიყვარეთ მაჭირვებელნი და მტერნი! და სიხარულის კარი განიხვებება თქვენთვის, აღმდგარი ქრისტე განწმენდს სიყვარულში აღმდგარ თქვენს სულს. სულ ეს არის! რა ცოტას ელის ჩვენგან უფალი! ამაშია ჩვენი სამოთხე! ეს ჩვენი აღდგომაა!

შეიყვარეთ სიყვარული და მარად იცოცხლებთ სიყვარულის ვნებებში აღმდგარი მაცხოვრის სიყვარულში!“ — სქამარაძიანდრეიტი ვიტალი (სიდორენკო).

1992 წელს, როცა საქართველოში ძმა ძმას ტყვიას ესროდა, როცა ცოდევა იყო გამრავლებული და მადლი — არ გარდამეტებული, თბილისში ერთმა სქემარაძიანდრეიტმა დიდი ღვაწლი აიღო: მთელ დღეებს მდუმარებასა და ლოცვაში ატარებდა, ისედაც მცირედი საკვების მიმღები პურსა და წყალზე გადავიდა, ხოლო როცა მოსალამოვდებოდა, ანთებდა უამრავ სანთელს, მუხლს მოიდრეკდა ცივ ქვაზე, რომელიც საგანგებოდ ლოცვისთვის შეეტანა სენაკში და უფალს ავედრებდა საქართველოს, შესთხოვდა, სიმშვიდის სული გარდამოეკლინა ქართველთა ზედა. **იგი არ ბახლდათ სორცნიელი ნათესავი ქართლოსიანთა, რუსი იყო, მამრამ ჭუმარაძედ დიდი მოყვასი ივარიისა.**

მამა ვიტალი (სიდორენკო) კრასნოდარის მხარეში დაიბადა 1928 წელს. როცა მისი დედა, ალექსანდრა (შემდგომში — მონაზონი ანდრონიკა), ორსულად იყო მასზე, უფალს ევედრებოდა: „ღმერთო, ისეთი შვილი მომეცი, შენც სათნო გეყოს და ხალხსაცო“. ერთხელ ძილში ორი მზე უხილავს და ხმაც გაუგია: „ერთი მზე შენს ნიაღშიაო“. დაიბადა ყრმა. მერვე დღეს, ტაძრად მიყვანისას, მოძღვარმა, წესისამებრ, საკურთხეველში შეიყვანა იგი. საოცარი მადლი გარდამოვიდა ჩვილისგან. შეშინებულმა მოძღვარმა ბავშვი წმიდა ტრაპეზზე დაანვინა, მერე კი, გონს რომ მოვიდა, მშობლებს დაუბრუნა და უთხრა, დიდი ადა-

მიანი გახდებო. გადმოგვცემენ, ნათლობისას ყრმა ემბაზში ფეხზე იდგა და ილიმებოდაო, ხორცის ჭამა სულ პატარას აღუკრძალავს, ხოლო ოთხშაბათ-პარასკევს რძესაც არ აკარებდა პირს. კითხვა რომ უსწავლია, მისი საყვარელი წიგნი წმინდა სახარება გამხდარა. ზარების რეკას რომ გაიგებდა, სამუშაოს მიატოვებდა და ტაძრისკენ გარბოდა.

16 წლის ვიტალიმ საბჭოთა პასპორტი დახია, რადგან მხოლოდ ზეცის მოქალაქეობა სურდა. ბერობის სურვილი მტკიცედ ჩანვინოდა სულში.

ერთხანს წმიდა სერგის ლავრაში ცხოვრობდა, ომის შემდეგ რომ გაიხსნა, მაგრამ იქ მისი უსაბუთოდ გაჩერება არ მოხერხდებოდა, ამიტომ მამებმა გლინის უდაბნოში წასვლა ურჩიეს. იმხანად იქ დიდი მამები: სერაფიმე რომანცევი, სერაფიმე ამელინი, ანდრონიკე ლუკაში და სხვანი მოღვაწეობდნენ. მათგან ისწავლა ვიტალიმ სიმდაბლე, მორჩილება, ღვთისა და მოყვასის სიყვარული. „რაში ჩანს სულიერი წარმატება? — სიმდაბლეში. ვინც რარიგად დამდაბლდება, ისევე წარმატება სულიერად“, — ასწავლიდა მამა ანდრონიკე და ვიტალიც საქმით აღასრულებდა. მერე და მერე მისი გლინის უდაბნოში დამალვაც გაჭირდა და მოძღვრის კურთხევით ტაგანროგში გადავიდა. იქ გარს შემოიკრიბა მორწმუნენი, რომლებიც მერე მისი სულიერი შვილები გახდნენ. მათთან ერთად ფეხით მოივლიდა და მოილოცავდა ხოლმე რუსეთის სინმინდე-



ებს. ხშირად იჭერდნენ, სცემდნენ, შეურაცხყოფნენ. ამ შეჭირვებაში ტუბერკულოზი დამართნია. საავადმყოფოში ლამლამობით წამოდგებოდა თურმე და მძიმე ავადმყოფებისთვის ლოცულობდა, მის გვერდით რომ იწვნენ.

მოხდა სასწაული — ვიტალი გადარჩა.

ხრუშჩოვის პერიოდი იდგა. ჩანდა, გლინის უდაბნოს მალე დახურავდნენ, ამიტომ მამებმა ვიტალი ბერად აღკვეცეს და აფხაზეთის მთებში გაუშვეს. იმხანად იქ მრავალი ბერი მოღვაწეობდა. ძალზე შეუყვარდათ ძმებს ვიტალი, „მაგრამო, — ამბობდნენ მასზე, — ერთი ნაკლი აქვს — ყველაფრის გაცემა უყვარსო“. ეს იყო ის „ნაკლი“, სიცოცხლის ბოლომდე რომ არ მოსცილებია.

ისეთ სიმდაბლეს მიაღწია, ყველაფრისთვის უღირსად მიიჩნევა და თავს, ამიტომ საჭმელს, სასმელს, სანოლს, სამოსს ყველაზე უბრალოსა და შეურაცხს ეტანებოდა.

დიდი იყო ძმათა მიმართ მისი სიყვარულიც. ერთხელ ერთ ძმას, ძალზე მოშორებით რომ ცხოვრობდა, პურის გამოცხოვა უთხოვია. მამა ვიტალის პური გამოუცხვია, მაგრამ ფეხსაცმელი ვერ



უპოვია — ძმებს ჩაეცვათ და სოფელში წასულიყვნენ საქმეზე. ფეხები ნავით დაუხელია და რამდენიმე კილომეტრი ქვიანი და თოვლიანი გზა ფეხით გაუვლია. მაგრამ ძმას უუკადრისებია მისი მიტანილი პური. მამა ვიტალი ხმამაღლა დაბრუნებულა უკან. თანამესენაკენი აღმფოთდნენ თურმე: „ალარ მიხვიდე მასთანო“. „ჩემს მამებს ასე არ უსწავლებიათო“, — მიუგია.

დადგა 1969 წელი. მთებში უკვე სახიფათო იყო დარჩენა — მილიციამ რამდენჯერმე დაარბია იქაურობა. ბერებმა აკურთხეს მამა ვიტალი და ისიც თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, სადაც იმხანად მიტროპოლიტი ზინობი მაჟუგა მოღვაწეობდა (მეუფე ზინობის აღკვეცილია ბერად უწმიდესი და უნეტარესი, პატრიარქი ილია II). ვიტალიმ ალექსანდრე ნეველის ტაძარში დაიწყო მსახურება. 1976 წელს მღვდლად აკურთხეს. თუმცა არ უნდოდა, მაგრამ მეუფე ზინობის კურთხევით მოიხსნა ჯაჭვები, რომელსაც ჩვიდმეტი წელი ფარულად ატარებდა და მოძღვრობის ჯვარი აღიღო.

გაძინებდა მისი უსაბუთოდ დაფარვა: „აირჩიე — ან ციხე, ან პასპორტი“. რა იყო მისთვის ციხე, მაგრამ მოყვასის სიყვარულმა სძლია...

დიდუბეში, ერთ პატარა ქოხში დასახლდა. მიტროპოლიტ ზინობის კურთხევით, შეეძლო, აქვე შეენირა უსისხლო მსხვერპლი ან მონაზვნები აღეკვეცა. მალე მისი სახლი მონასტრად იქცა.

საქართველოს სიყვარული მამა ვიტალის მეუფე ზინობისგან გადაედო — გარდაცვალების წინ უხმო და აკურთხა თურმე, უწმინდესის გვერდით ყოფილიყო და არასოდეს დაეტოვებინა საქართველო...

ძალზე ჰყვარებია მამა ვიტალის ქართული ღვთისმსახურება, გალობა, დიდად აფასებდა თურმე ქართველ წმინდანებს. დიდი სიწოდითი ჰქონია და ყოველ წირვას ქართველების მოხსენიებით იწყებდა, რუსებს კი ამის მერეღა მოიხსენიებდა ხოლმე. ძალზე უხაროდა საქართველოში რწმენის

აღორძინება, „რუსეთს კი სძინავსო“, — იტყოდა სინანულით. მისთვის საქართველო ყოველთვის „წმინდა ივერია“ იყო. ომი 30 წლით ადრე იწინასწარმეტყველა. მეტისმეტად განიცდიდა ამ ძმათამკვლელ ბაქანალიას, ნუხდა საშინლად ქართველთა შინაომის გამო. მონაზონთა თქმით, **თბილისს ყოველ საათს ოთხივ კუთხივ აკურთხებდა და უფალს მის დაცვას ევედრებოდა.** გახსოვთ ალბათ, მეტრო „დიდუბესთან“ იარალით დატვირთული ვაგონები რომ აფეთქდა. მამა ვიტალი ღვთისმშობლის ხატით ხელში ისეთ ადგილას დადგა, საიდანაც კარგად ჩანდა ეს საშინელება და ლოცვა დაიწყო. ხატი მალე აწეული ეკავა და გამოტყორცნილ ჭურვებს აკურთხებდა. არავინ დაღუპულა. ეს ცხადი სასწაული იყო...

სოხუმში ომი რომ დაიწყო, მაშინ აღიღო ის ღვანლი, წერილის დასაწყისში რომ ვახსენეთ. ჯერ კიდევ ომამდე რამდენიმე წლით ადრე აფრთხილებდა გარშემო მყოფთ: **„იქნება მინაზე საშინელი სისხლისღვრა, ძმათა კვლა, შიმშილი. ნუ გადაადგებით საქმელს, რადგან მაშინ ნარჩენებითაც კმაყოფილნი იქნებით. შეიცანით საკუთარი თავი და გაიგეთ, რომ, რაც სამყაროში ხდება, ჩვენი ბრალია, ჩვენი ცოდვებისა“.** საქართველოდან წასვლის კურთხევისთვის რომ მივიდოდნენ მასთან, უარს ეუბნებოდა: „არ არის ეს ღვთის ნება! თქვენს ადგილას უნდა იდგეთ და ღმერთი თვითონ მოვა თქვენთან“. ამბობენ, რომ ახლაც გამოსცხადებია სულიერ შვილებს და საქართველოს დატოვება აუკრძალავს.

„მთელი სამყარო ჩემი მამა და დედაა. უცხო არავინ მყავს — ყველანი ჩემი ახლობლები არიანო“, — იტყოდა ხოლმე. ძალზე განიცდიდა, თუ სადმე კატასტროფა მოხდებოდა, ანთებდა სანთლებს და იმდენ მეტანიას აკეთებდა, რამდენი ადამიანიც დაიღუპა, ყველას სათითაოდ ავედრებდა უფალს.

მთელი ქვეყნიდან მოდიოდნენ მასთან ნუგეშის მისაღებად.

მასთან შესვლისას „ღირს არსს“ ილოცებდი და მოძღვარს კურთხევას სთხოვდი, ის კი პასუხად მუხლს მოიდრეკდა შენ წინაშე, ხელზე გეამბორებოდა და აქეთ გთხოვდა კურთხევას (სულ ერთი იყო, კაცი იყავი თუ ქალი). შემდეგ დაგსვამდა, თვითონ იატაკზე მორთხამდა ფეხს და საათობით იჯდა გაუნძრევლად, გისმენდა, მერე წიგნს აიღებდა და მამათა წაწერებს გიკითხავდა. ცხოვრებაზე მოწუწუნეს ანუგეშებდა: **„ამქვეყნად არაფერია რთული. თუ ადამიანები გეყვარება და გულწრფელად ეცდები მათ დახმარებას, ცხოვრება გაგიოლდებაო“.**

ძალზე მკაცრი იყო მათ მიმართ, ვინც სასულიერო პირებს განიკითხავდა: როცა მღვდელი მსახურებას ალავლენს, ის ცეცხლის ალს ჰგავს. საკუთარი თავის დაწახვა რომ შეეძლოს, ამხელა პატივისა თავადვე შეეშინებოდა; იმ ადგილს უნდა ეამბოროთ, სადაც მღვდელი იდგა მსახურებისას, რადგან მადლით არისო განწმენდილი, იტყოდა ხოლმე.

საოცარი იყო მასთან ცოდვების აღსარება. დაფარულთმცნობელობის გამო მისთვის არაფერი იყო დამალული. დიდ ეპიტიმias არ ადებდა მათ, ვინც ვერ აღასრულებდა; სამაგიეროდ, მივიდოდა მამა ანდრონიკესთან და სთხოვდა: „ეპიტიმია დამადე — აბორტი გავიკეთო“. „გგონიათ, ადვილია, იყო დაფარულისმხილველი? როცა ხედავ, ადამიანი იღუპება, იცი, როგორ დაეხმარო და ისიც იცი, რომ ამ დახმარებას არ მიიღებს, გული დიდი მწუხარებით გვესებაო“, — უთქვამს ერთხელ.

დადგა მისი ამქვეყნიდან გასვლის ჟამიც. ცამეტი წლის წინათ წყლულის გამო კუჭის ორი მესამედი ამოჰკვეთეს. მაშინ ხუთი დღე რეანიმაციაში იწვა. სული მისი, ზეცად აღტაცებული, ღვთისმშობელმა დააბრუნა უკან: „დაბრუნდი მინაზე, იქ ცრემლებით დასველდა ყველაფერიო“. 1992 წელს კი წმიდა იოანე ღვთისმეტყველმა, სიყვარულის მოციქულმა, მოაბრუნა, ისიც მხოლოდ ორი კვირით, რათა ნუგეში ეცა ხალ-



ხისტვის, უფროის კი პატრიარქისთვის, რომელიც იმხანად ხშირად ნახულობდა მას.

სულიერ შვილებს დაუბარა, მუდამ უწმინდესის გვერდით მდგარიყვნენ. 1992 წლის 1 დეკემბერს კი მისი მართალი სული წარდგა უფლის წინაშე და მისთვის გამზადებული ადგილი დაიმკვიდრა. მიცვალებულს წესი უწმინდესმა და უნეტარესმა, პატრიარქმა ილია II-მ აუფო. როცა მამა ვიტალისთვის მიტევების ფურცელი უნდა ჩაედოთ ხელში, ყველამ დაინახა, როგორ გაშალა ხელი გარდაცვლილმა, ფურცლის ჩადების შემდეგ კი ისევ მომუჭა (სწორედ ისე, წმინდა სერაფიმე საროველისთვის წესის აგების დროს რომ მოხდა). „მონაზონთა ცრემლების გამო კუბოდან ხელს გამოვიწვიო“, — გაახსენდათ დედებს მამა ვიტალის ნათქვამი. კიდევ ერთი ნუგეშის სიტყვა დაუტოვებია: „**მოდით ჩემს საფლავთან, თქვენს გასაჭირზე მომიყევით, როგორც ცოცხალს და დაგეხმარებით**“, — ამიტომაც არის, რომ ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში, საკურთხევლის წინ, მის საფლავზე არასოდეს წყდება მლოცველთა დენა. ისიც მრავალს შეეწევა, მრავალსაც გამოცხადებია და ნუგეში უცია. ერთ ეპისკოპოსს ეჭვი შეჰპარვია, ნუთუ მართლა ასეთი მოღვაწეაო, და ზეცაში, იოანე ნათლისმცემელსა და სერაფიმე საროველთან ერთად უფლის ტრაპეზის წინ მომსახურე უხილავს.

„წმინდანო ღმრთისანო, გამხსენით ყოველთა საკრველთაგან და მიმაჯაჭვეთ ზეცას,“ — შეჰღალადებს ღირსი მამა იუსტინე პოპოვიჩი. ჩვენც მივიდეთ მამა ვიტალის საფლავთან, ვესაუბროთ მას, როგორც ცოცხალს, სული მოვიბრუნოთ მის საფლავთან მომდინარე მადლით, ეგებ გაგვეხსნას სულიერ თუ ხორციელ სნეულებათა საკრველნი და მცორე ხნით მაინც „მივეჯაჭვოთ ზეცას“.

წიგნის „მამა ვიტალის ცხოვრების“ მიხედვით

ჟურნალი „კარიბჭე“, №11, 2004 წ.

მოგონებები მამა ვიტალიზე

სამთავისისა და გორის ეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა):

„მამა ვიტალისთან პირველად მისულს მისთვის არანაირი შეკითხვა არ დამისვამს.

არც ისე მნიშვნელოვანი იყო, რას მეუბნებოდა იგი, უბრალოდ, მინდოდა, მასთან ახლოს ვყოფილიყავი და მე მასთან ხშირად სიარული დავინწყე.

ერთხელ გავუმხილე ჩემი საწუკვარი ოცნება — ბერად შედგომის სურვილი და კურთხევა ვთხოვე, ოპტის უდაბნოში გავემსვი. მამა ვიტალიმ მიპასუხა: „დიას, ოპტის უდაბნოში კარგი იქნებოდა, მაგრამ შესაძლოა, სხვაგვარადაც მოხდეს“. მან მიაჩნო, როგორ მივიდა მასთან ერთი ახალგაზრდა და უთხრა, რომ მონასტერში წასვლა სურდა, მაგრამ ორი წელი გავიდა, სანამ იგი იქ მოხვდებოდა.

მამინ არც მიფიქრია, რომ ეს მე მეხებოდა. ჩემი სურვილის განხორციელება მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეეძელი. ამას ხელი შეუშალა აფხაზეთის ომმა. მე მას კურთხევა ვთხოვე, ჩემს მშობლიურ ქალაქში, სოხუმში წავსულიყავი. გამგზავრების წინ მამა ვიტალიმ მაჩუქა ხატები და 90-ე ფსალმუნი. „ნაიკითხე!“ — მითხრა მან. მთელი ომის განმავლობაში ვატარებდი გულით ამ სინმიდეებს და ცოცხალი გადავრჩი.

როცა მამა ვიტალის გარდაცვალების ამბავი შევიტყვე, თბილისში ჩამოვედი. ტაძარში გამოვემსვიდობე მას და უკან ისე გავბრუნდი, რომ დაკრძალვას არ დავსწრებვიარ. მთელი ომის განმავლობაში ვგრძნობდი, რომ იგი მიფრთხილდებოდა და მეხმარებოდა. ყველაფრისთვის მადლობელი ვარ მისი: იმისთვის, რომ ბერი გავხდი, რომ ღმერთმა დავით გარეჯის ლავრის წინამძღვრად დამადგინა, ჩემი მღვდელმთავრობისთვის (მამა ვიტალიმ ახალგაზრდა ანდრიას უწინასწარმეტყველა მღვდელმთავრობა. აი, როგორ იხსენებს ამას სქემილუმენია

სერაფიმა: როდესაც ანდრია ჩვენგან გავიდა, მამა ვიტალიმ უცებ მითხრა: „რატომ არ აიღე კურთხევა მღვდელმთავრისაგან?“ მამინ ვერ მივხვდი, რომელ მღვდელმთავარზე მელაპარაკებოდა, მამინ ხომ ანდრია ბერიც კი არ იყო“).

როდესაც მამა ვიტალი ძალიან ცუდად ხდებოდა, დედა სერაფიმა პატრიარქს ურეკავდა და უწმიდესიც აუცილებლად რამეს უგზავნიდა ან თვითონ მოდიოდა მასთან. ერთხელ მან მოიტანა ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კანადის მრონმდინარე ხატის ზეთი და თვითონ სცხო მამა ვიტალის. ამ დროს მისი უწმიდესობა ყოველთვის ამხნევებდა მას და ყველა იქ მყოფს. შემოვიდოდა და გასხვივოსნებული გაუღიმებდა: „მამა ვიტალი, ყველაფერი კარგად იქნება!“, როდესაც მისი ოთახიდან გამოდიოდა, ემჩნეოდა, როგორ განიცდიდა, მაგრამ მამა ვიტალის ამას არასოდეს აჩვენებდა. მისი მონახულების შემდეგ მამა ვიტალი ყოველთვის გახარებული და გამხნევებული იყო.

სქემილუმენია სერაფიმა:

„გარდაცვალების წინა დღეს უეცრად მან ხელით მანიშნა, რომ ფანჯარაზე ფარდები გადამეხსნა. ვკითხე: „ვის ხედავთ?“ იგი მდუმარედ მიყურებდა, შემდეგ თავის ხელს ემთხვია და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატზე მიმითითა. ხატი მივანოდე და მან ყველა დაგვლოცა. შემდეგ ვკითხე: „დედა ღვთისმშობელი მობრძანდა?“ მან თავი დამიქნია და ატირდა.

მამა ვიტალი 1992 წლის 1 დეკემბერს 18 საათსა და 45 წუთზე გარდაიცვალა.

მობრძანდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რათა გამომშვიდობებოდა საყვარელ ადამიანს. მან თქვა: „თქვენ არ იცით, ვინ დავკარგეთ“. უწმიდესმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც უვლიდა მამა ვიტალის



და მიუთითა ოთახზე, სადაც ცხოვრობდა, ლოცულობდა და გარდაიცვალა უდიდესი ბერი, თან დასძინა: „მოდით, თაყვანი ვცეთ ამ ადგილს“.

1992 წლის 5 დეკემბერს მისი უწმიდესობის კურთხევით მამა ვიტალი ნშიდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში დაკრძალეს. წირვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღასრულებდა. ქადაგებაში მან ბრძანა:

„ღვთის რწმენა უკანასკნელ გზაზე ვატილებთ რწმენს უდიდეს ხუცესს, სქამარქიანდრიტ ვიტალის. ვინც მას იცნობდა, ვინაც მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონდა, იცინ, რაოდენ წმიდა იყო ამ განსაოცარი ბერის ცხოვრება.“

განსაოცარი და წმიდა რწმენა, განუზომელი სიყვარული, სამაგალითო თავმდაბლობა და მორჩილება — ეს ყველაფერი ქმნიდა იმ სულიერ ატმოსფეროს, რომელსაც სიყვარული მოჰქონდა ყველასთვის, ვინაც მისგან ნუგაბის მიღება ჰქონდა. ეს იყო წმიდა ხუცესი, მე არაერთხელ მინახავს ეს სინამდვილე,

რომელსაც იგი თავის გარემო აფრქვევდა. ღვთის, ქმნის და ღვთის, რწმენა ვატილებთ მას, მამა ვიტალი უნდა გვანსოვდეს, რომ მამა ვიტალი მარადღაამს რწმენათა და იმისათვის, რომ ყველას ყოველდღიურად გვქონდეს სულიერი ნუგაბი, გადავწყვიტეთ, იგი წმიდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში დაკრძალეთ. ეს ყველას მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ხშირად მივიღეთ მასთან, მივიღოთ მისი კურთხევა. ისევე, როგორც სიცოცხლეში, იგი ყოველთვის დაგვიხმარება რწმენა. უფალმა დაანდოს მისი სული მართალთა სანახაობი.

უნდა გვანსოვდეს, რომ ეს ერთ-ერთი იმ ხუცესთაგანია, რომლებიც განსაცდელის მძიმე ჭამს სიყვარულით მიიღო ყოველდღიურად ღვთისმშობლის წილხვედრმა ღვთისკურთხეულმა ივერიამ...“

მღვდელი პავლე კოსაჩი:
„პატრიარქმა შენდობის ლოცვა წაიკითხა და მე გადმომცა იგი, რათა მამა ვიტალისთვის ხელში ჩამეღო. ამ დროს მისი ხელის დი-

დი თითი გაიხსნა, მე ლოცვის ფურცელი მის ხელისგულზე დავდე და ხელი თვითონ შეიკრა. იმდენად თავზარდაცემული ვიყავი, რომ მოულოდნელობისაგან წამოვიყვირე: „თვითონ გამომართვა!“

მოგვიანებით მივიღე ეს ფაქტი ჩვეულებრივად — ეს ადამიანი ხომ არაამქვეყნიური იყო“.

„თვითონ აილო!“ — დამიდასტურა გვერდით მდგომმა მღვდელმა მიქაელ დიდენკომ (იგი 2000 წელს გარდაიცვალა არქიმანდრიტის ხარისხში).

უწმიდესმა პატრიარქმა თანხმობის ნიშნად უსიტყვოდ დაიქნია თავი და მსახურება განაგრძო (მღვდელმსახურთა ეს რეაქცია გადაღებულია ვიდეოკამერით).

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით მამა ვიტალი დაკრძალულია ნშიდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის საკურთხევლის პირდაპირ, ტაძრის ეზოში. საფლავზე ჩაუქობლად ანთია კანდელი, არ ქრება სანთლები და ყოველთვის არის ყვავილები. მამა ვიტალის საფლავთან მოდიან ისინიც, ვინც ადრე მას არ იცნობდნენ, მოდიან ხუცესის მადლიანი შეწვევისთვის, რომელსაც ისინი რეალურად გრძნობენ თავიანთ ცხოვრებაში. სიცოცხლეში ხომ მამა ვიტალი ხშირად ამბობდა:

„როდესაც მოვკვდები, მოდიტ ჩემს საფლავზე და მიამბეთ ყველაფერი, როგორც ცოცხალს, მე დაგეხმარებით“.

„მამა ვიტალი, დამეხმარე! მამაო, შემენიე!“ — უხმობენ სულიერი შვილები და არა მხოლოდ ისინი და მწუხარება განქარდება, სული სიხარულით ივსება და სულიერი თუ ფიზიკური სნეულებანი იკურნება.


მამა ვიტალის სიყვარული მისი ზეციურ იერუსალიმში წასვლის შემდეგ კვლავ ჩვენთანაა, რამეთუ პავლე მოციქულის სიტყვისაებრ, **„სიყვარული არასადა დავარდება!“ (1 კორ. 13, 8).**

განეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, №47 (255), 2003 წ.



რეზო ჩხეიძე — 88, «ჯარისკაცის მამა» — 50

საქართველოსა და პატრიარქის წინაშე ქედმოხრილი კაცი



დიდი კინორეჟისორი, მშვიდობის მსოფლიო ელჩი — რეზო ჩხეიძე 8 დეკემბერს 88 წლის გახდა.

ბატონი რეზო სხვადასხვა დროს იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი. მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და პრემია. მისი 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ რეზო ჩხეიძის ვარსკვლავი გაიხსნა; მოგვიანებით კი საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის უკვდავთა თაღში — რეზო ჩხეიძის ხელის ანაბეჭდი. ახლახან კი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთაველის თეატრში რეზო ჩხეიძის 88 წლისადმი და „ჯარისკაცის მამის“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ქართული კინოს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის რეზო ჩხეიძეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სპეციალური პრიზი — „ხელოვნების ქურუმი“ გადაეცა. საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში გაიმართა წიგნის — „ჯარისკაცის მამა 50“ პრეზენტაცია, ნაჩვენები იყო ფილმი „როგორ შეიქმნა ჯარისკაცის მამა“, სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული კოლაჟი ცნობილი კინორეჟისორის ნამუშევრების შესახებ.

რეზო ჩხეიძე 1937 წელს რეპრესირებული ცნობილი მწერლის დავით ჩხეიძის ოჯახში დაიბადა. მისი მამა ლიტერატურულ ფსევდონიმად დია ჩიანელს იყენებდა. მომავალმა რეჟისორმა ჯერ რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი, მოგვიანებით კი საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრა; რეჟისორ თენგიზ აბულაძესთან ერთად გადაიღო კინონარკვევები: „ჩვენი სასახლე“, „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ და მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, რომელმაც მიიღო კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს რტო“ და პირველი პრემია ედინბურგის X საერთაშორისო კინოფესტივალზე.

რეზო ჩხეიძემ თავისი მოღვაწეობის პერიოდში გადაიღო მხატვრული ფილმები: „ჩვენი ეზო“, „მაია წყნეთელი“, „განძი“, „ზღვის ბილიკი“, „ჯარისკაცის მამა“, „ლიმილის ბიჭები“, „ნერგები“, „მშობლიური ჩემო მიწავ!“.

მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“. ფილმი „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“ ქართველმა კინორეჟისორმა შვედი მწერლის მოთხრობის მიხედვით გადაიღო. კინოსურათში გადმოცემულია სულიერება, სამშობლოსათვის ზრუნვა და რწმენის სიძლიერე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეს ფილმი შეაფასა, როგორც წინასწარმეტყველური.

დასაწყისში, ფილმის სიუჟეტის ჩამოყალიბებისას ნათქვამია, რომ ძველად, როდესაც ჯვაროსნული რაინდები იერუსალიმში ჩადიოდნენ და იქიდან მოჰქონდათ უკვდავი ცეცხლი, ის სახელმწიფო იყო თავისუფალი და ბედნიერი, რომლის ტაძარშიც ეს წმიდა ცეცხლი ენთო.

„ფილმის დასაწყისი სურათი საქართველოში ხდება:...მთავარი გმირია მსახიობი, რომელიც ითამაშებს რომეოს როლს „რომეო და ჯულიეტაში“, ფილმს გაგზავნიან იერუსალიმში კინოფესტივალზე. იქ მიდის ყმანვილიც, როგორც კინოსამყაროს წარმომადგენელი, და იღებს პრიზს. — ყველა ბატონი რეზო ერთ-ერთ უნტერვიუში, — ამან იცის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, სამშობლოს ჩამოუტანოს სანთელი, რომელიც მის ქვეყანას გააბედნიერებს და მის წამოღებას გადაწყვეტს.

ვინაიდან ფილმის თემა მეტად ფაქიზია და არ შეიძლება რელიგიურ მრწამსში შეცდეს, ჩვენი კონსულტანტი მეუფე დანიელი გახლდათ. თავად პატრიარქსაც ვაჩვენებდი ხოლმე მასალებს, ფილმის დასაწყისსა და დასასრულში ჩანს, როგორ ლოცულობს საქართველოსთვის უწმინდესი.

კომპოზიტორი, რომელსაც მუსიკალურად უნდა გაეფორმებინა ფილმი, ჯერ კიდევ მანამდე გარდაიცვალა, ვიდრე ფილმის გადაღებას დავიწყებდით, ამიტომ



სხვადასხვა მუსიკით შევავსეთ, მათ შორის პატრიარქის მუსიკაცაა გამოყენებული.

ცნობილი მსახიობებიდან ოთარ მელვინეთუხუცესი და გივი ბერიკაშვილი თამაშობენ. როდესაც რუსებმა ფილმის გახმოვანება დაასრულეს, თანხა არ აიღეს, გვითხრეს, რომ იციან, თუ როგორ უჭირს საქართველოს. ზოგს ჰგონია, რომ რუსეთში „ცხოველები“ ცხოვრობენ. ეს ასე არ არის. ფილმის ნახევარზე მეტი ბიუჯეტი რუსების დაფინანსებულია. მათ იმიტომ მივმართეთ, რომ საქართველოში თანხები არ იყო. არაბეთში, ეგვიპტეში, თურქეთში, ისრაელში ვიყავით, რის-

თვისაც ფინანსები გვესაჭიროებოდა“.

საქართველოსა და პატრიარქის წინაშე ქედმოხრილი კაცის — რეზო ჩხეიძის 88 წლის იუბილესთან დაკავშირებით ცნობილმა მოღვაწეებმა: ანზორ ერქომაიშვილმა, ნონა გაფრინდაშვილმა, არნოლდ გეგეჭკორმა, რამაზ ყურაშვილმა, ომარ მხეიძემ, გივი თოიძემ, რომან რურუამ, ტარიელ ხერხელაურმა, თემურ გუგუშვილმა, რეზო ესაძემ, კობა არაბულმა, ბუბა ხოტივარმა, გიგა ბათიაშვილმა, ვახტანგ დავითაიამ, გია ბურჯანაძემ, ოთარ შამათავამ მიმართვა გაავრცელეს:

„8 რიცხვში 88 წლის იუბილეა მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანისა!...

სამჯერ რვიანი!...

რა სიმბოლური დამთხვევაა საკრალური ციფრისა და მინიმუმებისა...

სამი ხომ თავადაა ქრისტიანობის სინამდისა და სიძლიერის უპირველესი ნიშანი...

ერთი რვიანიც კი, გარკვეული რაკურსით დანახული, უსასრულობის სიმბოლოა.

აქ კი, არა უბრალოდ ერთზე მეტი, არამედ, სწორედ რომ სამია!!!

გვსურს, ბატონი იუბილარის სახელი და შემოქმედება უსასრუ-





ლოდ განიფინოს ახალგაზრდა თაობის სულში, გონებაში, მამულიშვილობაში.

მისი დიდი გულის კარნახით შობილ შედეგს „ჯარისკაცის მამას“ ამ დღეებში 50 წელი უსრულდება. 37 წლის ახალგაზრდა შემოქმედმა შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის კინემატოგრაფიული ძეგლი, რომლის იუბილეს იუნესკო დიდი პატივით აღნიშნავს 11 დეკემბერს რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში.

პლანეტარულმა აზროვნებამ, ადამიანის სიყვარულმა, ჰუმანური ზოგადსაკაცობრიო იდეებისადმი ერთგულებამ, მას ღირსებით ატარებინა მსოფლიო მშვიდობის ელჩის უაღრესად საპატიო ტიტული.

სხვა არაერთი უმაღლესი ნოდებისა თუ შემოქმედებითი პრემიის კავალერს უპირველეს ჯილდოდ განგებამ მშობელი ხალხის სიყვარული და უცხოელთა ღრმა პატივისცემა არგუნა. ყველას გვეამაყება, ისტორია მეტად დააფასებს იმას, რომ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე უამრავი ადამიანი ჯარისკაცის მამას საკუთარ მამად აღიქვამდა. ეს პირველი უდიდესმა რაჯ კაპურმა თქვა. იგივე დანერა ცნობილმა იაპონელმა რეჟისორმა უსიხარამ. ისტორიას შემორჩა ჩვენი საამაყო პოეტის — ფრიდონ ხალვაშის ჩანაწერები თურქეთში ქართველობასთან მისი შეხვედრე-

ბის თაობაზე: „როცა „ჯარისკაცის ბაბაიას“ ვუყურებდით, ყველანი ცრემლითა და სიხარულით ვუტაშუნებდით“-ო. ცნობილი ამერიკელი მსახიობი, ოდრი ჰეპბერნი სიამაყით წერს, რომ ხელზე აკოცა იმ რეჟისორს, რომელმაც „ჯარისკაცის მამა“ გადაიღო.

ასეთი ბერძუხა გვყავს ქართველობას. როგორც ჩვენში იტყვიან, „სრული ადამიანი“.

სიმბოლურია, რომ ამ დიდმა ქართველმა თავისივე დაბადების 88 წლისთავზე დაფუძნებულ ტელევიზიას „ქართული“ უწოდა, ხოლო გიორგობა დღეს, სამების ტაძარში, პატრიარქსა და საზოგადოებას აუწყა ამ ტელევიზიის მშობელი ერისათვის საჩუქრად

გადაცემის განზრახულობის თაობაზე. მისი დაბადების დღეს აპირებს მის გარდაქმნას სააქციო საზოგადოებად და ამით დიდი პროცესის დაწყებას არა უბრალოდ სიტყვით, არამედ ბუნებით დემოკრატიული, რეალურად ქართული ტელევიზიის შექმნისა საქართველოში.

ეჭვი არ გვეპარება, რომ აქციების საშუალებით უამრავი ადამიანი გახდება ბატონი რეზოსგან საქართველოსათვის საჩუქრად გადაცემული ტელევიზიის მფლობელი. ესეც უნიკალური ფაქტი იქნება მსოფლიო სატელევიზიო სივრცეში.

კეთილშობილება — აი, გამორჩეული ნიშანი მხცოვანი შემოქმედისა, რომლის გული სხვათა წარმატებებით, წინსვლით, გამარჯვებებით, ალაღად ხარობს.

გვიხარია ჩვენც, რომელთაც სიტყვები ვერ მოგვიძებნია, რათა სათანადოდ აღვნიშნოთ ღვანლი დიდი ადამიანისა; რათა სათანადოდ მივაგოთ პატივი მის შემოქმედებას; რათა სრულად გამოვხატოთ ჩვენი სიბოძო და სიყვარული მისი პიროვნების მიმართ...

ამიტომაც, ერთილა დაგვრჩენია, ქედი მოვიხაროთ მისი შემოქმედების, მისი გულის, გონებისა და კაცობის წინაშე.

ქედი მოვიხაროთ საქართველოსა და პატრიარქის წინაშე ქედმობრილი კაცისადმი“.



შალვა დადიანი — 140

შალვა დადიანი დაიბადა 1874 წელს დაბა ზესტაფონში, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ნიკოლოზ დადიანის ოჯახში. მომავალი მწერლის მამა XIX საუკუნის თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა. იგი იყო პოეტი, ისტორიკოსი, პედაგოგი, ასტრონომი, ექიმი. ნიკო დადიანის ოჯახთან დაახლოებული იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მარაბელი და სხვები.

შალვა დადიანს კლასიკური განათლება არ მიუღია, მისი სკოლა ოჯახი იყო. სწავლა-განათლება მიიღო შინ მონვეული მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

უკვე ადრეული სიჭაბუკის წლებში გაიტაცა ეპოქის პროგრესულმა სოციალურ-პატრიოტულმა იდეებმა. ამ იდეებით არის განსჭვალული მისი ლექსების პირველი კრებული „ნაპერწყალი“ (1892) და პროზაული მინიატურები (იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წლიდან). 1896 წელს შალვა გაზეთ „ივერიის“ რედაქციას უგზავნის პირველ მოთხრობას „წმინდა ცრემლები“. იმხანად გაზეთს ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა და ... „წარმოიდგინეთ ჩემი გახარება, — იგონებდა შ. დადიანი, — როდესაც გაზეთის ფელეტონში ჩამსკრივებულად

ჩემი მოთხრობა დავინახე“.

19 წლის ჭაბუკმა 1893 წლის 2 თებერვალს პირველად მიიღო მონაწილეობა კოტე მესხის რეჟისრობით დადგმულ „მარგარიტა გოტიეში“, რომლის თარგმანიც მასვე ეკუთვნოდა. სცენაზე იგი „ქუჯის“ ფსევდონიმით გამოვიდა. შემდგომში კი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი გახდა ქუთაისის თეატრში. 1908 წელს ჩამოაყალიბა „მოძრავი დასი“, რომელიც სპექტაკლებს დგამდა საქართველოს სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე, ბაქოსა და ნოვოროსიისკში. მეფის ცენზურის აკრძალვის მიუხედავად, ამ დასმა პირველმა დადგა მაქსიმ გორკის პიესა „უკანასკნელი“.

1905 წლის რევოლუციის უკავშირდება დადიანის დრამატული



შემოქმედების დასაწყისი. პიესა „მღვიმეში“ (1905) ალეგორიული ფორმით ასახავს ხალხის ბრძოლას სოციალური და ეროვნული თანასწორობისთვის. პიესაში „როს ნადიმობდნენ“ (1907) დადიანი დროებით მოვლენად მიიჩნევს რეაქციის ბნელი ძალების ზეიმს და წარმოსახავს ხალხის მზადებას ახალი ბრძოლებისთვის. როგორც იდეურ-თემატურად, ისე ფორმით დადიანის ადრინდელ პიესებს ბევრი რამ აკავშირებს მ. გორკის დრამატურგიასთან. პიესაში „გუშინდელი“ (1917) დადიანმა ძველი, რეაქციული სამყაროს გარდაუვალი დაცემისა და მოახლოებული განახლების წინათგრძნობა გამოხატა.

დადიანი არსებითად კომედიური ჟანრის ფუძემდებელია ქართულ დრამატურგიაში. დრამატურგიაში ტრადიციის ჟანრის აღორძინების ერთ-ერთი პირველი ცდა იყო დადიანის პიესა „თეთნულდი“ (1931), რომელშიც ავტორმა თანამედროვე სვანეთის ფონზე ძველისა და ახლის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ახალი სამყაროს გარდაუვალი გამარჯვება დაგვიხატა. ისტორიულ-რევოლუციურ დრამაში „ნაპერწყალი“ (1937) ასახულია XX საუკუნის დამდეგს საქართველოს მუშათა კლასის საბრძოლო



შალვა დადიანი თელავის თეატრის დასთან, 1902 წ.



იოსებ ბრიზაშვილი, პაოლო იაშვილი, მარიჯანი, შალვა დადიანი

შეკავშირება ბოლშევიკური ოგანიზაციების გარშემო.

რომანში „გიორგი რუსი“ (1916-1926) ასახულია XII-XIII საუკუნეების საქართველო. ქართული მემკვიდრული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია მწერლის მოგონებათა წიგნი „რაც გამახსენდა“ (1959). დადიანს დაწერილი აქვს, აგრეთვე, მრავალი მოთხრობა, ნოველა, ლიტერატურული კრიტიკული და პუბლიცისტური ნერილი; თარგმნა შექსპირის, ში-

ლერის, ბაირონის, ჰაუპტმანის, ჰოფმან-სტალის, ლ. ანდრეევისა და სხვათა პიესები. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მსახიობთა კავშირს, იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე (1950-1959). ქართული თეატრის სცენაზე 200-ზე მეტი როლი აქვს განსახიერებული. აღსანიშნავია მისი რეჟისორული მოღვაწეობაც. დადიანის პიესებს თვალსაჩინო ადგილი ეკავა ქართულ თეატრის



აკაკი ყვარელში, მარცხნივ იური ჭავჭავაძე, მარჯვნივ შალვა დადიანი. 1911 წ. 31 ივლისი

რეპერტუარში. იყო სსრკ-ის I-II მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ჯერ კიდევ 1923 წელს შალვა დადიანის ბენეფისზე იოსებ გრიშაშვილმა თქვა: „ქართული კულტურის რომელი დარგიც უნდა დავასახელოთ, შალვა დადიანი, როგორც სამეფრი ძაფი, ნაზად ექსოვება ჩვენს ეროვნულ ხალიჩას... შალვა დადიანი, როგორც მწერალი, სულ ახალი მოვლენაა ჩვენთვის. მისი ყოველი სიტყვა ყალიბშია ჩამდგარი, მოკვეთილი და თავაზიანია.... შალვა დადიანის კალამმა იცის თავისი საზღვრები; სად უნდა დაიხოს და სად გადავიდეს შეტევაზე“.

1959 წლის 15 მარტს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა დადიანი, რომლის ცხედარიც მადლიერმა ერმა მთაწმინდის საკანეს მიაბარა.

დეა სვანიძე



სხედან: პეტრა ქავთარაძე, შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, ღვანან: სანდრო შანშიაშვილი, ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე



საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბარანტი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მთავარ სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს და მასზეა დამოკიდებული სხვა შემადგენლების (პოლიტიკური, სამხედრო, ტერიტორიული, ეკოლოგიური, სოციალური, დემოგრაფიული და ა.შ.) უზრუნველყოფა. დღეს ძირეული ეკონომიკური რეფორმების გაუტარებლად შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების რაიმე სისტემის შექმნაზე საუბარი.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები სიღრმისეულადაა შესწავლილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრის მიერ. ამ მიმართულებით გამოქვეყნებული აქვს 12 ტომი, რომლებშიც კონკრეტულადაა მითითებული და დახასიათებული ქვეყნის რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით მოძიებული — ოქროს, ვერცხლის, რკინის, სპილენძის, კალის, ტყვიის, დარიშხნის, გრანიტის, თერმული მტკნარი და მინერალური წყლების და ა.შ. მარაგები.

სამწუხაროდ, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ნაკლებადაა ცნობილი ხელისუფლებისთვის. კერძოდ, შესაბამისი სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტებისათვის. არადა, რთული და გლობალური გარდაქმნები თავის მხრივ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ხელისუფლების ცენტრალური და რეგიონული ორგანოების ძალისხმევით.

საქართველოს სრული შესაძლებლობა აქვს იზრუნოს საკუთარი ეკონომიკის საიმედოების ასამაღლებლად, იყოს შედარებით დამოუკიდებელი და ნაკლებად ექვემდებარებოდეს რომელიმე ერთ სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ჯგუფს ან ბლოკს. ცნობილია, რომ ეკონომიკის ავ-

ტონომიურობის უზრუნველყოფა დამოკიდებულია უშუალოდ ბუნებრივი რესურსების მარაგზე, გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებზე, საერთო ეკონომიკურ პოტენციალზე და ა.შ., რაც საკმარისად გააჩნია ჩვენ ქვეყანას (რათქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ავტარქიულობის უზრუნველყოფა). მაგრამ, რაც მთავარია, საქართველოს საკუთარი ძალისხმევით შეუძლია არსებითად გაიუმჯობესოს თავისი ეკონომიკური მდგომარეობა.

მამასადაამე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების გარანტია არის ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მტკნარი და მინერალური წყლების მდიდარი რესურსები. ქვეყანაში არსებული მტკნარი და მინერალური წყლების რესურსების ათვისების სახალხო სამეურნეო მნიშვნელობაზე მეტად საგულისხმოა ბოლო დროს ქართველ მეცნიერთა შეხედულებები. მათი გაანგარიშებებით, საქართველო მტკნარი, დაბალმინერალიზებული და მინერალური წყლების რესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყნად ითვლება, მართო ჭაბურღილებიდან წამში 300 კუბ.მ წყალი ამოდის, რომელც



დღე-ღამეში 26 მილიარდ ლიტრს შეადგენს და მას თავისუფლად შეუძლია გადაჭრას მსოფლიოს სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა.

ამჟამად მსოფლიოში 4 მილიარდი ადამიანი სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი. დაბინძურებული წყლის მიღების შედეგად მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 25 მილიონი ადამიანი კვდება, ხოლო უწყლობით — ასეული მილიონი იტანჯება. ამ მიმართულებით გაეროში მილიარდობით დოლარია გამოყოფილი. ამჟამად მსოფლიოს ბაზარზე წყლის ძირითადი (დომინანტი) მიმწოდებელი ქვეყნებია საფრანგეთი და იტალია, მაგრამ მათი ფირმები სასმელ წყალზე მსოფლიო (წლიურ) მოთხოვნას მხოლოდ 35-40 დღის განმავლობაში აკმაყოფილებს; მაშინ, როცა საქართველოს გრუნტი წყლების რესურსებს მათი წლიური მოთხოვნების მთლიანად დაკმაყოფილება შეუძლია.



ერთი ლიტრი წყლის ფასი ზოგიერთ ქვეყანაში ერთი ლიტრი ბენზინის ფასს უტოლდება, მაშინ, როდესაც საქართველოში ყოველდღე ფუჭად იღვრება 2 ტრილიონი დოლარის ღირებულების წყალი.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, გრუნტის წყლების 1 პროცენტის ათვისებით 8-საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში წლიური შემოსავალი 12 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ბოლო წლებში საქართველოში მიგნებული ბორჯომისა და ნაბელავის ტიპის მინერალური წყლების მდიდარი წყაროები.

მტკნარი და მინერალური წყლის ინდუსტრიის მშენებლობის მიზნით დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას აქციონერული საზოგადოება, რომლის საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას სახელმწიფო უნდა ჩაუდგეს სათავეში. ეჭვგარეშეა, რომ მას მთელი ერის (მილიონობით ადამიანის) ერთსულოვანი მხარდაჭერა ექნება. სააქციო საზოგადოების აქტივები არ შეიძლება ერთი რომელიმე პიროვნების ან თუნდაც რამდენიმე პირისგან შემდგარი ჯგუფის საკუთრებაში იყოს.

ქართველ ხალხს ის მიუტევებელი შეცდომაც ეყოფა, კერძო მესაკუთრეებს რომ მიჰყიდეს ბორჯომის, ნაბელავის, საირმის,

სკურის, ზვარეს, ფლატეს და ა. შ. მინერალური წყლები. ხალხს ამ სიმდიდრიდან დღეს არანაირი სარგებლობა არ აქვს. ჩვენი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს სასმელი და მინერალური წყლების აქციონერული საზოგადოება და ქართველ ბიზნესმენტა და მოქალაქეთა წილობრივი სახსრებით დაიწყოს ქვეყანაში წყლის ჩამომსხმელი ინდუსტრიის მშენებლობა.

უნდა გამოვრიცხოთ ამ ეროვნულ პროექტში უცხოელი ინვესტორების მონაწილეობა, რამდენადაც წყლის რესურსები საერთო-სახელმწიფოებრივი საკუთრებაა და აქედან გამომდინარე, აქციებიც მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებს უნდა მიეყიდოს.

ეკონომიკის ასეთი სასწაულებრივი მზარდი ტემპებით აღმავლობის შესაძლებლობა და სამუალება პლანეტის არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია.

იმ, სადაც უფინ ჩხაოდა ტურა...

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, რიგით მეორე მნიშვნელობის პრობლემას კოლხეთის მეცნიერულად დასაბუთებული დამრობა და მისი სასოფლო-სამეურნეო ათვისება წარმოადგენს.

კოლხეთის დაბლობის ტერიტორია უდრის 223.14 ათას ჰექტარს, რაც საქართველოს მთლიანი სათესი ფართობების 1/3 შეადგენს.

საბჭოთა პირობებში კოლხეთის დაბლობის საერთო ფართობიდან მხოლოდ 82.520 ჰექტარი იყო ამოშრობილი, მომდევნო წლებში დაიტბორა მაგისტრალური არხები, მთლიანად მწყობრიდან გამოვიდა დამშრობი სისტემა და დაბლობი კვლავ დაჭაობდა.

კოლხეთის დაბლობის ათვისების ღონისძიებებმა, რომელიც 1925 წლიდან (კოლხიდმშენის დაარსების დღიდან) 1991 წლამდე, ე. ი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე მიმდინარეობდა, ვერ გამოიღო სასურველი შედეგები. ამჟამად კოლხეთის დაბლობი კვლავ აუთვისებელია. დღეს საჭიროა კოლხეთის მელიორაციის კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების მეთოდების საფუძვლიანი გადასინჯვა, ჰიდრომელიორაციული, აგრომელიორაციული და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების ხარისხიანად და კომპლექსურად შესრულება.

კოლხეთის დაბლობზე წარმოების კონცენტრაციის დაბალი დონის პირობებში მოჰყავდათ საქართველოში გავრცელებული თითქმის ყველა (როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი) კულტურა. ერთწლიანებიდან — სიმინდი, სოია, ლობიო, კარტოფილი, ბოსტნეული, თამბაქო, პირუტყვის საკვები და ა. შ.; მრავალწლიანებიდან — ჩაი, ციტრუსები, დაფნა, ტუნგო, ხეხილი, ვენახი და სხვ. როგორც ამას სათანადო მონაცემები ადასტურებს, კოლხეთში ძლიერ დაბალი იყო როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობა. ასევე, სპეციალიზაციის დონე და ხარისხი, ხოლო ძირითად დარგებთან დამატებითი და დამხმარე დარგების რაციონალური შეთანხმება — არსებითად მოუნესრიგებელი.

სამწუხაროდ, კოლხეთის დაბლობის მიწების გამოყენების სახელმწიფო პროექტები არ შეესაბამებოდა აქაურ ბუნებრივ პირობებს და სათანადოდ ვერ ითვალისწინებდა დაბლობის სახალხო-მეურნეობრივ დანიშნულებას. კოლხეთის დაბლობის სოფლის

მტკნარი და მინერალური წყლის ინდუსტრიის მშენებლობის მიზნით დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას აქციონერული საზოგადოება, რომლის საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას სახელმწიფო უნდა ჩაუდგას სათავეში.




მეურნეობის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების საკითხების გადაწყვეტისას, უზინარეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს სახალხო-მეურნეობრივი ინტერესები. კოლხეთში უნდა მოენყოს სოფლის მეურნეობის იმ პროდუქციის წარმოება, რომლისთვისაც აქ საუკეთესო პირობებია და დანახარჯების რაც შეიძლება მეტი ეკონომიით მიიღწევა მიწის ყველაზე ეფექტიანი გამოყენება.

ჩვენი აზრით, ასეთი დარგები და კულტურებია: მესიმინდობა, მებოსტნეობა, ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარება.

სიმინდი - უზინარეს ყოვლისა

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კოლხეთის დაბლობი სიმინდის წარმოებისთვის თავისი ბუნებრივი, ნიადაგური და კლიმატური პირობებით მსოფლიოში უნიკალურია. ამ დარგის განვითარებას ხელს შეუწყობს აშშ-ის აიოვას შტატის კუნ-რაპიდისში ფერმერ როსელ ჰარსტის გამოცდილების გაზიარება. ფერმერულ მეურნეობას სამიათასამდე ჰექტარი მიწა აქვს, რომელზეც ძირითადად სიმინდი და სოიო ითესება. სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 76 ცენტნერს შეადგენს. ერთი კაცი უვლის 100 ჰექტარ მიწის ფართობს. ილინოისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ლაბორატორიის თანამშრომლების გაანგარიშებით, ერთი ცენტნერი სიმინდის წარმოებაზე შრომითი დანახარჯები მხოლოდ 12 წუთს შეადგენს. ჰარსტს ფერმაში ჰყავს სამი ათას სულზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ორ-ნახევარი ათასი — ღორი, სამი ათასი — ქათამი და ა.შ.

სპეციალისტების დასკვნით, კოლხეთის დაბლობის ფართობები ამოშრობის შემდეგ სიმინდის კულტურის მოყვანისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე კუნრაპიდისში. ამას ადასტურებს საქ-



ვეყნოდ ცნობილი კოლხელი მესიმინდეების (ჩოქოლი ქვაჩახიას, ძუკუ რიგვავას, კოტე სანდუხაძისა და სხვათა) მიღწევები, რომლებმაც ყოველგვარი ამერიკული ჰიბრიდული თესლის, თანამედროვე მანქანებისა და ჰერბიციდების გამოყენების გარეშე ერთი ჰექტარი ფართობიდან მსოფლიოში სიმინდის ყველაზე მაღალ მოსავალს (100-140 ცენტნერს) იღებდნენ. კოლხეთში თავისუფლად შეიძლება სიმინდის ნათესი ფართობების გადიდება 150 ათას ჰექტრამდე და, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ ყოველი ჰექტარიდან 100 ცენტნერის მიღება შეიძლება, საქვეყნო ბელელი 1,5 მლნ. ტონა სიმინდით შეივსება და საქართველოში მარცვლეულის წარმოების პრობლემაც გადაწყდება.

მარტო კოლხეთში ჰარსტის ფერმის მსგავსი რამდენიმე ათეული (დაახლოებით 50-მდე) მეურნეობის ჩამოყალიბება შეიძლება.

მარცვლეულის მწარმოებელ მეურნეობებთან უნდა მოენყოს სპეციალიზებული გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებშიც დამზადდება ცილების, ვიტამინების კონცენტრატებისა და სხვა მიკროელემენტების შემცველი საკვები; უნდა შეიქმნას მეცხოველეობის მსხვილი ფერმები და ხორცისა და რძის პროდუქტების დამამუშავების საწარმოები. კოლხეთის დაბლობზე არსებული თე-

რმული წყლების გამოყენებით ასევე შესაძლებელია სასათბურე მეურნეობების მოწყობა და მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა.

უნდა განხორციელდეს მარცვლეულის, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტების წარმოების კოოპერირება და შეიქმნას აგრარულ-სამრეწველო კომბინატები.

კოლხეთის ფერმერულმა მეურნეობებმა უნდა მოამარაგონ ქვეყნის შავი ზღვის სანაპირო კურორტები ახალი ბოსტნეულით, მოუხდელი რძითა და რძის მჟავა პროდუქტებით, დიეტური კვარცხითა და სორცით.

კოლხეთის დაბლობზე ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობების ჩამოყალიბება.

ყოველად გაუმართლებელი იქნებოდა, ესოდენ დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტის მიზნობა რომელიმე უწყებისთვის. ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ სახელმწიფომ უნდა ითავოს. საჭიროა დაბლობის ამოშრობისა და ათვისების პროექტის ხელახალი შედგენა, რომელშიც მეცნიერულ დონეზე იქნება შემუშავებული და გადაწყვეტილი სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების საკითხები.

ამირან ჯიბუტი



აზერბაიჯანელი საქართველოში

საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებში ყველაზე მრავალრიცხოვანია აზერბაიჯანული მოსახლეობა. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, მათი რაოდენობა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 284 761 კაცს უდრიდა და მთელი მოსახლეობის 6,5 პროცენტს შეადგენდა. აზერბაიჯანელები ძირითადად კომპაქტურად ცხოვრობენ — 224 606 აზერბაიჯანელი, ანუ თითქმის 80 პროცენტი ქვემო ქართლში ბინადრობდა, აზერბაიჯანელთა დანარჩენი ნაწილი კახეთში (40 036), თბილისში (10942), შიდა ქართლში (5768) და ქვეყნის სხვა რეგიონებში ცხოვრობდა. მხოლოდ სამ რაიონში — მარნეულში, გარდაბანსა და ბოლნისში აზერბაიჯანელთა რაოდენობა 197 264 კაცს უდრიდა, რაც საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა 68,9 პროცენტს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელთა 98,7 პროცენტი დაბადებულია საქართველოში და ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია საქართველოში მცხოვრებ ეროვნებებში ქართველების შემდეგ (99,3 პროცენტი).



მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანელები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მეოთხე ადგილზე იმყოფებოდნენ ქართველების (70,1 პროცენტი), სომხების (8,1 პროცენტი) და რუსების (6,3 პროცენტი) შემდეგ. იმის გამო, რომ მიგრაციული პროცესები აზერბაიჯანელებში ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება, მათ მეორე ადგილზე გადმოინაცვლეს, რაც, უპირველესად, იმ ფაქტორით აიხსნება, რომ აზერბაიჯანელთა უმრავლესობა — 75 პროცენტი 1989 წელს სოფლად ცხოვრობდა, სოფლის მოსახლეობაში კი გარე მიგრაციული პროცესები ნაკლებ ინტენსიურია ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით.

აზერბაიჯანელები მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებენ. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს შორის ძირითადად შიიზმია გავრცელებული. აზერბაიჯანელთა 98,5 პროცენტი (280,6 ათასი) მაჰმადიანია, ერთი პროცენტი — ქრისტიანი (2863 კაცი), მათ შორის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელია (2647

კაცი), აზერბაიჯანელთა 0,4 პროცენტი სხვა რელიგიური აღმსარებლობისაა, ხოლო 0,1 პროცენტი არც ერთ რელიგიას არ აღიარებს.

ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების წინაპარი მომთაბარე ტომები ძირითადად სპარსეთიდან, თურქეთიდან და ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანიდან შემოვიდნენ. თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე დაყოფილი იყო 15 სახანოდ და წვრილ ფეოდალურ სამფლობელოებად. ზოგიერთი სახანო ქართლ-კახეთის სამეფოს გავლენის სფეროშიც ექცეოდა ხოლმე. თვით ცნება „აზერბაიჯანი“ იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რომლებიც 1920-იან წლებში შევიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში, მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა და დამკვიდრდა 1918 წელს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისას. მე-20 საუკუნემდე აზერბაიჯანელებს თათრებად ან თურქებად მოიხსენიებენ. საქართველო-

ში ხდებოდა უმთავრესად ირანიდან გადმოსახლებული თათრების დასახლება, თუმცა მომთაბარე ტომები აღნიშნული სახანოებიდანაც შემოდიოდნენ. ამ ასპექტში ინტერესმოკლებული არ არის აზერბაიჯანის სახელმწიფოს შექმნამდე მოკლე ისტორიული ექსკურსიც გავაკეთოთ.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში შეიქმნა მონათმფლობელური სახელმწიფო მანა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ძველ აზერბაიჯანული ტომების პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული კონსოლიდაციის საქმეში.

მანის სახელმწიფოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ მიდიელი ტომები, რომელთა პირველი პოლიტიკური გაერთიანება წარმოიქმნა ძველი წელთაღრიცხვის IX-VIII საუკუნეებში. მიდია ძველი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. მან შემდეგ დაიპყრო მანის სახელმწიფო, დაამხო ასურეთის მრავალსაუკუნოვანი ჰეგემონია, დაიპყრო ურარტუს ძლიერი სამეფოც, მაგრამ



ძველი ნელთაღრიცხვის 553 ნელს მიდიას აუჯანყდა მის შემადგენლობაში მყოფი სპარსეთი და ბოლო მოულო მიდიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. მიდიის დამოუკიდებლობა აღდგა მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელმა დაამხო სპარსეთის სახელმწიფო. მიდიის ახალი სამეფო ძველი მიდიის მხოლოდ ნაწილს მოიცავდა, რომელიც ისტორიაში ცნობილია მიდია-ატროპატენის ან ატროპატენის სახელწოდებით. მიდია-ატროპატენს ეკავა თანამედროვე აზერბაიჯანის სამხრეთი ტერიტორია და კავკასიის ალბანეთს ემეზობლებოდა.

ატროპატენა — მეცნიერებაში ცნობილი აზერბაიჯანის უძველესი სახელწოდებაა, რომელიც შემოგვინახა ბერძნულმა წყაროებმა. სპარსელებთან მან მიიღო ფორმა „ადერ-ბაიდაგან“, სომხებთან — „ატერ-პატაკან“ და „ატრ-პატაკან“, არაბებთან „ადერბაიჯან“ და „აზერბაიჯან“, რაც ნიშნავს „ცეცხლის ქვეყანას“ და დაკავშირებული იყო ცეცხლთაყვანისმცელობის ფართო გავრცელებასთან. ქართულ წყაროებში ის „ადარბადაგანის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილს ძველად ეწოდებოდა **ალბანეთი**. მასში შედიოდა, აგრეთვე, ახლანდელი დაღესტნის სამხრეთი ნაწილი. **ალბანელებმა ქრისტიანობა IV საუკუნეში მიიღეს. V საუკუნეში შეიქმნა ალბანური დამწერლობა. III საუკუნეში ალბანეთი**

სასანიანთა ირანმა დაიმორჩილა, რომელმაც VI საუკუნეში საბოლოოდ გააუქმა მეფის ხელისუფლება და იგი ირანის პროვინციად აქცია. VII საუკუნის შუა ხანებში ალბანეთი არაბებმა, ხოლო XI საუკუნეში თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს, რომლებიც მასობრივად დასახლდნენ ალბანეთის ტერიტორიაზე. ამიტომ ალბანელების დიდმა ნაწილმა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო უშუალო მონაწილეობა.

საერთოდ თურქულენოვანი აზერბაიჯანული ხალხის ჩამოყალიბება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ისტორიულად ისე მოეწყო, რომ ერთიანი თურქულენოვან ერთობის ფორმირებამდე, აზერბაიჯანის სამხრეთითა და ჩრდილოეთით მდებარე ორივე ნაწილში ადერბადაგანსა და ალბანეთში, ეთნოგენეტიკური პროცესები მიმდინარეობდა საკუთარი, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული გზებით. XI-XII საუკუნეებში სამხრეთ აზერბაიჯანს, ალბანეთსა და შირვანს იპყრობს თურქულენოვანი ტომები — ოღუზები, რომლებიც ცენტრალურ და შუა აზიაში ცხოვრობდნენ. X საუკუნეში სირდარიის ქვემო ნელზე ჩამოყალიბდა ოღუზთა სახელმწიფო, რომელიც XI საუკუნეში გაანადგურეს აღმოსავლეთიდან მოსულმა ყივჩაყებმა. ოღუზების ნაწილი დასავლეთით წამოვიდა და სამხრეთ-რუსეთის სტეპებში დასახლდა. მეორე ნაწილმა კი წინა აზია დაიპყრო. ბუ-

ნებრივია, აზერბაიჯანის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებში ოღუზების პოლიტიკური ბატონობის დამყარებამდე საერთო ინტეგრაციის პროცესებს აზერბაიჯანის ამ ორ ნაწილს შორის ადგილი არ ჰქონია. თუმცა ისტორიულად გარკვეული მსგავსი პროცესები ორივე ნაწილში მიმდინარეობდა, მაგალითად, არაბების დაპყრობის შემდეგ ორივე ნაწილში ვრცელდება ისლამი, ვრცელდება არაბული ენა. ამან უეჭველად შეასრულა თავისი როლი აზერბაიჯანის ორივე ნაწილის დაახლოების, ეთნოკულტურულ და ენობრივ განსხვავებათა აღმოფხვრის პროცესში. მაგრამ არაბების გაბატონებამდე ჭირს მათი ერთობის ხელშესახები მაგალითების პოვნა, რაც განპირობებული იყო აზერბაიჯანის ამ ორი ნაწილის ეთნოგენეტიკური და ეთნოკულტურული განვითარების საკუთარი გზებით. ბუნებრივია, აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სხვადასხვა სახელმწიფოებრიობა და რელიგიური და ენობრივი განსხვავებულობანი. კერძოდ, ადერბადაგანი (მცირე მიდია) და ალბანეთი სრულიად სხვადასხვა სახელმწიფო წარმონაქმნებია, საკუთარი სამეფო დინასტიებითა და მთავრებით. მიუხედავად კულტურული და ეკონომიკური კავშირებისა ისინი არ წარმოადგენდნენ ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ტერიტორიულ ორგანიზმს. ამრიგად არ არსებობდა ის ატრიბუტები, რომლებიც საჭირო იყო ერთიანი ეროვნების ჩამოსაყალიბებლად. დიდი იყო მათ შორის რელიგიური განსხვავებაც. **ალბანეთში, ძირითადად, გავრცელებული იყო ადგილობრივი წარმართული კულტები, ხოლო IV საუკუნიდან ქრისტიანობა, ადერბადაგანში კი — ზოროასტრიზმი.**

ასევე თვალსაჩინო იყო ადერბადაგანსა და ალბანეთს შორის ენობრივი განსხვავება. ალბანეთში ძირითადად ლაპარაკობდნენ ალბანურ ენაზე, შეიქმნა ეროვნული (ალბანური) დამწერლობა, რამაც დააჩქარა სხვადასხვა ეთნი-

VII საუკუნის შუა ხანებში ალბანეთი არაბებმა, ხოლო XI საუკუნეში თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს, რომლებიც მასობრივად დასახლდნენ ალბანეთის ტერიტორიაზე. ამიტომ ალბანელების დიდმა ნაწილმა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო უშუალო მონაწილეობა.

კური, ენობრივი და რელიგიური ჯგუფების შერწყმისა და საბოლოოდ ალბანური ერთობის ჩამოყალიბების პროცესი. სამხრეთ აზერბაიჯანში კი საკუთარ, ალბანურისაგან სრულიად განსხვავებულ ენებზე (მიაჩნიათ ხურიტულ, კასიტურ-ელამურ და სხვ. ენებზე) ლაპარაკობდნენ. აქ მიდიელების და, მაშასადამე, მიდიური ენის გაბატონების შემდეგ ადგილობრივი ენების გამოყენების არეალი შეიზღუდა და მერე კი ეს ენები საერთოდ გაქრა. ამრიგად არაბთა შემოსევამდე აზერბაიჯანის ისტორიულ ტერიტორიაზე არსებობდა ორი ეთნიკური ერთობა. არაბების მიერ მათი დაპყრობის შემდეგ დაიწყო არაბების მიერ ისლამისა და არაბულის, როგორც სახელმწიფო რელიგიის ოფიციალური ენის, თანდათანობით გავრცელება, რომელიც დასრულდა აზერბაიჯანის ორივე ნაწილის სრული ისლამიზაციით და არაბულ და სპარსულ ენებზე გადასვლით. **ალბანელები იძულებულნი გახდნენ ყურანის ენაზე გადასულიყვნენ და მიეღოთ დამპყრობთა დამწერლობა. ალბანელებმა დაკარგეს მშობლიური ენა და შესაბამისად დამწერლობა. არაბი ავტორები უკვე აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანისა და ირანის (ალბანეთის) ენები იყო სპარსული და არაბული. ანალოგიური პროცესები განვითარდა აღურბადაგში (არაბულად აზერბაიჯანში), მაგრამ ნაკლებად მტკივნეულად, ვიდრე ალბანეთში. ისლამიზაციამ აქ მასობრივი ხასიათი მიიღო და დაიწყო არაბული ენის დამკვიდრება. ყოველივე ამან შექმნა მყარი წინაპირობა მომავალში აზერბაიჯანის ორი ნაწილის გასაერთიანებლად და ერთიანი ეროვნების ჩამოსაყალიბებლად.**

სრულიად ახალი ხანა იწყება აზერბაიჯანის ცხოვრებაში XI საუკუნიდან. ამ საუკუნის მეორე ნახევარში აზერბაიჯანი, არანი (ალბანეთი), შირვანი და სხვა ქვეყნები დაიპყრეს თურქულენოვანმა ოღუზების ტომებმა. თურქული ტომები ოჯახებით მასობ-

რივად სამუდამოდ სახლდებოდნენ აქ და ითვისებდნენ ახალ მიწებს. აზერბაიჯანი მათთვის ახალი სამშობლო გახდა. აზერბაიჯანელი მეცნიერები სწორედ ამ ასპექტში განიხილავენ აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბების პრობლემას. როგორც ისინი მიუთითებენ, **„ოღუზთა შემოსევამ დასაწყისი დაუდო ეთნოლინგვისტური ერთობების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს ისტორიული აზერბაიჯანის ორივე ნაწილში და განსაზღვრა ეთნოგენეტიკური პროცესების მდგრადი ხასიათი მთელ მის ტერიტორიაზე, მთლიანობაში ვითარდებოდა ერთიანი სახელმწიფო სისტემის ფარგლებში, რომელიც დასრულდა სეფევიდების აზერბაიჯანული სახელმწიფოს წარმოქმნით XVI საუკუნეში... ამრიგად, აზერბაიჯანელების, როგორც განსაკუთრებული თურქულენოვანი ხალხის, საფუძვლის შემადგენელი და მის შემადგენლობაში შემავალი ეთნიკური ერთობები თავიანთი ფესვებით დაკავშირებული არიან ადგილობრივ კავკასიურ-წინააზიურ ეთნიკურ გარემოსთან და აქვთ ათასწლოვანი კულტურულ-ისტორიული ტრადიციები“.**

აღსანიშნავია, რომ XII საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც აზერბაიჯანში ილდეღიზიდთა დინასტია გამეფდა, რომელიც მოიცავდა სამხრეთ აზერბაიჯანს, არანსა და ნახჩივანს, აგრეთვე, ირანის დასავლეთ ოლქებს, სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია. შემდეგში მან ისევ დაკარგა დამოუკიდებლობა და მის ტერიტორიაზე რამდენიმე აზერბაიჯანული სახანო ჩამოყალიბდა. XVII-XVIII საუკუნეებში ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა მყარდება რუსეთთან, რომელიც იმით დასრულდა, რომ 1803-1809 წლებში და რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომის შედეგად რუსეთი ზედიზედ იკავებს აზერბაიჯანულ ტერიტორიებს — სახანოებსა და ორდუზადის ოლქს, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდებიან.

აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები მე-19 საუკუნემდე, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, არ არსებობდა.

მე-19 საუკუნეში და განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარში, შეიძლება ვიმსჯელოთ აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ, თუმცა ცნობილია, რომ 1828 წლისათვის, მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახანოები და სხვა ფეოდალური ერთეულები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ, აზერბაიჯანელების რაოდენობა დაახლოებით 600 ათას კაცს უდრიდა.

1886 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით შედგა ამიერკავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. მაშინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილი იყო ბაქოსა და ელისავეტოპოლის გუბერნიები. ბაქოს გუბერნიის მოსახლეობა 713 ათას კაცს უდრიდა, ხოლო ელისავეტოპოლის — 729 ათას კაცს. ორივე გუბერნიაში აზერბაიჯანელი თათრები (როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ) ჭარბობდნენ. კერძოდ, ბაქოს გუბერნიაში აზერბაიჯანელები 53,0 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო ელისავეტოპოლის გუბერნიაში — 65,0 პროცენტს, სომხები კი შესაბამისად — 7,8 და 35,4 პროცენტს. ბაქოს გუბერნიაში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ აგრეთვე თათრები — 118 ათასი (16,6 პროცენტი) და თალიბები — 51 ათასი (7 პროცენტი).

რუსეთის იმპერიაში 1897 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანის მოსახლეობა 1 806,7 ათას კაცს უდრიდა. მისი მოსახლეობა სწრაფად იზრდება და 1913 წელს 2 339,2 ათასი გახდა, ანუ 15 წელიწადში 532,2 ათასი კაცით მოიმატა. მოსახლეობის ბოლო — 1999 წლის აღწერის მონაცემების თანახმად აზერბაიჯანის მოსახლეობა 7 953,4 ათას კაცს უდრიდა და ერთი საუკუნის განმავლობაში



(1897-1999 წლებში, 102 წელიწადში) 4,4-ჯერ გაიზარდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ ბოლო აღწერებს შორის პერიოდში (1989-2002 წლებში) მთელი საქართველოს მოსახლეობა 800 ათასი კაცით შემცირდა, ხოლო სომხეთში (1989-2001 წლები) — 92 ათასით, აზერბაიჯანის მოსახლეობა (1989-1999 წლები) 952 ათასი კაცით გაიზარდა. ამ პერიოდში უაღრესად მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად საშუალონდობიერი ზრდა 95 ათას კაცს შეადგენდა. 2006 წლისათვის მისი მოსახლეობა კიდევ 483 ათასი კაცით გაიზარდა და 8 436 ათას კაცს მიადნია.

აზერბაიჯანის წინაპარი მომთაბარე ტომების საქართველოში ჩამოსახლება, უპირველეს ყოვლისა, ირანის სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი და მიზნად ისახავდა ქვეყნის აღმოსავლეთი პროვინციების — ქართლისა და კახეთის ისლამურ კოლონიზაციას. ირანელები და თურქი დამპყრობლები გამუდმებული თავდასხმების შედეგად აოხრებდნენ ქართულ მიწა-წყალს, სპობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ან ათი ათასობით ქართველი ტყვედ მიჰყავდათ თავიანთ ქვეყნებში, გაუკაცრიელებულ ნაყოფიერ მიწებზე კი მომთაბარე თურქულ ტომებს, ან როგორც მათ უწოდებდნენ, მომთაბარე ხალხს — ელებს ასახლებდნენ. საშინელი რბევა-ანთიკებას გადარჩენილი მკვიდრი მოსახლეობა თავს სამშობლოს სხვა კუთხეებში აფარებდა. ქვემო ქართლის აწინდელ აზერბაიჯანულ სოფლებში ახლაც შეხვდებით სასაფლაოებს, სადაც საფლავის ქვებს ქართული წარწერები აქვთ შემორჩენილი.

მე-15 საუკუნის დასასრულსა და მე-16 საუკუნის დამდეგისათვის საქართველო საბოლოოდ დაიყო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ. მე-15 საუკუნეში კიდევ უფრო გაღრმავდა ქვეყნის პოლიტიკურ ერთეულებად დაშ-

ლის პროცესი. ქვეყანა სათავადოებით იყო მოფენილი. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ქართლში თათარი მოსახლეობის გაჩენა. ირანის მმართველები ცდილობდნენ მდინარე დებედის ქვემო წელში შექმნან დასაყრდენი საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. იალუბ ყაენმა (1479-1490 წწ.) სწორედ ამ ადგილებში ააშენა ციხე აღჯაყალა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს მან 1488 წელს „პირველ აღაშენა ციხე ესე“.

მტერი ტოპონიმებსაც ცვლიდა, რათა ყოველგვარი ქართული ნაშეშაღა ძირძველ ქართულ მიწაზე. ამ ადგილსო, აღნიშნავს ვახუშტი, ძველად ქურდვაჭრის ხევი ეწოდებოდა და აწ უწოდებენ აღჯაყალასო. იალუბ ყაენმა ამავე მიზნით დაბა ქაოზიანშიც ააშენა ციხე.

ქართველი მეფეები ვერ ურიგდებოდნენ მტრის მიერ ქართული მიწა-წყლის დასაკუთრებას და თავის მხრივ ცდილობდნენ მათ უკან დაბრუნებას. ამ მიზნით კონსტანტინე მეფემ (1479-1505 წწ.) „უბრძანა ბარათიანთა და სომხითართა, მიუხდნენ ელთა, დატევებულთა ყენისაგან საზღვართა ქართლისათა, სრულიად მოსრნეს და ტყუეყენეს“. ქართლიმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის (1466-1478 წწ) დროს კიდევ „ჩაუხედეს ბარათიანნი, დაიფორაქეს ელი და დახოცეს მრავალი თათარი ყაენისაგან შეწყალებულნი“ მიუხედავად ამისა ამ პერიოდის უკვე აღჯაყალის ციხე-სიმაგრე მტრის დასაყრდენ პუნქტადაა გადაქცეული და მომთაბარე ტომების მიერ ქართლის სამხრეთი ნაწილი და, კერძოდ, დებედის ხეობა, როგორც ჩანს, უკვე მიტაცებულია. დებედის ხეობაში, სადაც ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, განსაკუთრებულად ნაყოფიერი მიწები მდებარეობდა, ასახლებენ მომთაბარე ტომებს. ჯერ იაყუბი ყაენმა 1490 წელს დებედის ხეობაში დატოვა ელნი, ხოლო შემდეგ შაჰ თამაზმა აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლა ხურჩინლუს ყიზილბაშური ტომი. ყოველივე ეს, როგორც აკა-

დემიკოსი დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, ნათელყოფს, რომ ირანი თავის ამგვარი პოლიტიკის განხორციელებას შაჰ აბასამდე გაცილებით უფრო ადრე შეუდგა. ალბათ განსხვავება მხოლოდ მასშტაბებში იყო.

თათრების ქართლ-კახეთში ჩამოსახლება მეტად ფართო და საშიშ ხასიათს იღებს შაჰ აბას I-ის დროს. ირანის ეს ცბიერი და ძლიერი მმართველი ჯერ შეფარვით, შემდეგ კი ღიად, ბრძოლითა და სისხლისღვრით შეუდგა საქართველოში მომთაბარე თათარი ტომების ჩამოსახლებას. თავდაპირველად მან ქართლის მეფეს გიორგი X-ს შეუთვალა: „ლორე ჩემი იყოსო“. მაშინ მეფემან გიორგი ჯერეთ შორს დაიჭირა და, რადგან მოჭირვებით სთხოვა, სხუა ღონე აღარა ჰქონდა და დაანება. მაშინ დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ და შეაყენა ჯარი თვისი ციხესა მას შინა“. შაჰ აბასმა ღორეს სახანო შექმნა და იქ ბორჩალოს მუსლიმანური ტომები ჩამოსახლა და ადმინისტრაციულად აღჯაყალის ციხისთავს დაუქვემდებარა. ამ პერიოდში შაჰ აბასმა „მოიყვანნა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ“. ამ პერიოდის დანევე ჩნდება საქართველოში ტოპონიმი „ბორჩალო“ და სხვა თათრული ტოპონიმები, განსაკუთრებით ქვემო ქართლში. ამრიგად ბორჩალოს სახელწოდება მოდის XVIII საუკუნის დასაწყისში დებედის ხეობაში ჩასახლებული თურქმანული ტომის ბორჩალუსაგან. მოგვიანებით თურქმანული და თურქული მომთაბარე ტომები — ყიზილბაშები თანდათანობით გადაადგილდნენ ქართლის შიგნით. მათ მიაღწიეს დმანისის, ქცისა და ალგეთის ხეობებს, გავიდნენ მტკვრის მარცხენა სანაპიროზეც, სადაც უფრო კარგი საძოვრები იყო. ელების გამრავლება-გადაადგილების შედეგად XVIII საუკუნეში ქცის, ფოლადაურისა და შულავრის ხეობებში უამრავი მათი სოფელი შეიქმნა.

ირანის შაჰმა აბას I-მა 1604 წელს ქართლის სამეფოს სხვა ტე-



რიტორიასთან ერთად დებედის ხეობაც ჩამოაჭრა და იქ პერიოდიდან იგი ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. ქართველი მეფეები ვერ ურიგდებოდნენ თურქმანულ-ყიზილბაშური ტომებით დასახლებული თავიანთი ტერიტორიების მიტაცებას. ბორჩალოს სახანო, რომელიც გარკვეულ პერიოდში ბამბაკის სახანოსაც მოიცავდა, ხშირად არ ემორჩილებოდა ქართლის სამეფოს და იგი ირანის ირანის აგრესიის დასაყრდენს წარმოადგენდა.

XVIII საუკუნის 50-იან წლებში მეფე თეიმურაზ მეორემ ბორჩალოს სახანო თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე მეორემ 1765 წელს სამოურავოდ აქცია. ასევე ყაზახის სახანოსაც მეფის მოურავები განაგებდნენ. „თათარი ელის“ უდიდესი ნაწილი მეფის ყმა იყო, „მოხარკენი და მოლაშქრენი მეფისა“. ეს ნათლად ჩანს მრავალ ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროში, სამართლის ძეგლში. კერძოდ, სახლთუხუცეს გიორგი მაღალაძისადმი ანტონ I-ის წყალობის წიგნში, რომელიც შედგენილია 1768 წელს, ნათქვამია: „მეფის თეიმურაზის ძე, მეორე ირაკლი მეფე საქართველოსი ქართლისა, კახეთისა, ყაზახისა, შამშადილოსი და ბორჩალოს მპყრობელ-მქონებელი“. მეფე ერეკლე II-ის ერთ-ერთ განწესებაში კი ვკითხულობთ: „თათარი ქართლისა და კახეთისა ქვეყნებში... ესენი ყველანი საუფროსოს და საუფლისწულოებს გარდა საზოგადო ყმანი არიან და მეტატონე მეფე არის ამათი მბრძანებელი და მოქმედი“.

შაჰ აბასის მიზანი ერთხელ და სამუდამოდ ქართლ-კახეთის სრული შემოერთება და ყიზილბაშურ სახანოებად გადაქცევა იყო, რის იმედსაც მას მრავალი წლის სამზადისი აძლევდა. ჯერ კიდევ 1614 წელს მან კახეთი სასტიკად ააოხრა, ათასობით ადამიანი დაატყვევა. 1615 წლის შემოდგომაზე ჯერ კახეთი, ხოლო შემდეგ ქართლიც აჯანყებამ მოიცვა. შაჰ აბასმა აჯანყების ჩასაქრობად

აზერბაიჯანის წინაპარი მომთაბარე ტომების საქართველოში ჩამოსახლება, უიკრველეს ყოვლისა, ირანის სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაპარნახვი და მიზნად ისახავდა ქვეყნის აღმოსავლეთი პროვინციების – ქართლისა და კახეთის ისლამურ კოლონიზაციას.

15-ათასიანი ლაშქარი გამოგზავნა, მაგრამ თეიმურაზ პირველი 6 ათასიანი კაცით შეებრძოლა მტერს და ბრწყინვალე გამარჯვება იხეიმა. მომდევნო 1616 წლის გაზაფხულზე შაჰ აბასი დიდი ლაშქრით წამოვიდა ქართლ-კახეთის მოსასპობად, მაგრამ საქართველოს ისტორიაში ამ ერთ-ერთი დიდი ტრაგიკული ბრძოლის შესახებ უმჯობესია ქართველ მემატიანეს ბერ ეგნატაშვილს მოვუსმინოთ: შაჰ აბასი „წარვიდა და ჩავლო კახეთი და ამოსწყვიტა. და წავიდა და მოაოხრა, და სხუანი აპყარნა და თანა წაასხნა. და რომელნიმე ლეკთა ამოსწყვიტეს და დაატყუევეს და რომელნიმე მორჩეს თუშეთს, ფშავს და ხევსურეთს, და სხუანი ააოხრეს და ამოსწყვიტეს. და რაც — ოდენნი შეიპყრეს ცოლშვილიანად აპყარეს და წაასხეს“. ამის შემდეგ შაჰ აბასმა ქართლიც დაარბია, მაგრამ ქართლში მისი ლაშქრობა ისე მძიმე შედეგებით არ დამთავრებულა, როგორც კახეთში, თუმცა ქართლშიც საკმაო რაოდენობით ხალხი დაატყვევა. შაჰ აბასმა კახეთიდან მშობლიურ მიწაზე აყრილი მოსახლეობა სპარსეთში გადაასახლა. წარიყვანნა აყრილნი კახნი ტყუედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარას, ხუარასანს და ფერიას“. ფერია დღევანდელი ფერეიდანია, სადაც კახელების დიდი ნაწილი დაასახლა შაჰმა. აღსანიშნავია, რომ დაცარიელებულ კახეთის მიწებზე ლეკები ჩამოსახლდნენ. ასე შეიქმნა ჭარისა და ბელაქნის უბატონო თემები, რომლებიც ირანელი დაპყრობელების ერთგვარ დასაყრდენს

წარმოადგენდა. შემდეგში ჭარბელაქანი ოსმალეთის დასაყრდენიც იყო კახეთში ლეკიანობის წახალისების საქმეში.

კახეთმა შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა, ხოლო ასი ათასამდე კაცი მტერს შეაკვდა. შაჰ აბასის ოფიციალური ისტორიკოსის, ისქანდერ მუნშის ცნობით, 1616 წელს კახეთში შაჰ აბასის ლაშქრობის შედეგად, 130 ათასი ქართველი ირანში გადაასახლეს, სულ კი შაჰ აბასის ოთხივე შემოსევის შედეგად ირანში 200 ათასზე მეტი ქართველი გადაუსახლებიათ. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობით, რომელმაც საქართველოში 1672-1673 წლებში იმოგზაურა, ეს რიცხვი 400 ათას აჭარბებდა.

შაჰ აბასმა 161 წლის ლაშქრობის შედეგად აოხრებული კახეთი ძირითადად განჯის ხანს, ყიზილბაშ ფეიქარხანს ჩააბარა სამართავად („დასუა პატრონად“). შაჰმა მას დაცარიელებულ კახეთში მომთაბარეთა ჩამოსახლება დაავალა. ფეიქარხანიც „ასახლებდა ელთა და მცდელობდა დამორჩილებასა და მონდობასა კახთასა“.

1629 წელს, შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ, საგარეო ვითარების გართულების გამო, კახეთში „თათრების“ დასახლება ერთგვარად შენელდა, მაგრამ ეს იდეა მალე ისევ გაცოცხლდა და კახეთში მომთაბარეთა ჩამოსახლება დაევალა სელიმ-ხანს, რომელიც განჯის ხანი იყო. 1656 წელს მას საგანმგებლოდ გადაეცა კახეთი. მან აღარბადაგანიდან დიდი რაო-



დენობით ჩამოასახლა კახეთში „თათრები“. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ამან სალიმხან მოიყვანა ელნი და დასხნა შიგნით — და გარეთ — კახეთს და დაიპყრეს ამათ ბახტრიანი, ალავერდი და განრყუნეს წმიდანი ეკლესიანი“. კახეთს გადაშენება ელოდა. „მრავალი ელი ცოლ-შვილით ჩამოსახლდნენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდენ მკვიდრთა კახეთისათა, რამეთუ ენებათ სრულიად კახეთი გასათათრებლად და ელის დასახლება“.

გადაშენების საყოველთაო საფრთხემ მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია. 1659 წლის მრისხანე აჯანყებამ ერთბაშად განმინდა ჩამოსახლებული მომთაბარე ტომებისაგან თითქმის მთელი კახეთი. ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: ქართველთა ჯარი დაესხა თავს ბახტრიონის ციხეს, „მოსრნეს ბახტრიონის ციხეში მდგომნი ელნი, და რაც იყვნენ, მიჰყვნენ იქიდაძე ხოცითა, ჩავიდნენ ალავერდს, და, რომელნიცა მუნ იყვნენ, თათარნი და ელი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახვილისათა... სადაც კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყვიტეს... კახეთში თათარნი აღარსად იპოებოდენ, თვინიერ ყარაღაჯისა“.

ქართველების შეუპოვრობამ მტერს ცხადად დაანახვა, რომ კახეთის გათათრების, „კახეთის ყიშლალ-იალალეზად გადაქცევის“ შაჰ აბასის გეგმას განხორ-

ციელება არ ეწერა. ელის მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა კახეთში და რაიმე ცვლილებები ამ მხრივ არც ერეკლე II-ის მეფობის დროს მომხდარა. კიდევ უფრო მძიმე ვითარება იყო შექმნილი ქვემო ქართლში, რომელიც მკვიდრი მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად დაცლილი იყო და არც ქვეყნის სხვა კუთხეებიდან იყო შესაძლებელი ქართველი მოსახლეობის ქვემო ქართლში გადასახლება. ამ მხრივ ქვეყნის ყველა კუთხეს თავისი გასაჭირი ჰქონდა. მტრებთან გამუდმებული ბრძოლების, ადამიანებით ვაჭრობისა და ასევე გამუდმებული შინააშლილობების შედეგად ქართველი მოსახლეობა ყველგან უაღრესად შემცირებული იყო. თითქმის მთლიანად დაცარიელდა თრიალეთი, ასევე ქვემო ქართლის პროვინციები — საბარათიანო და სომხითი, დაცარიელდა ისტორიული ქალაქები დმანისი და სამშვილდე. ამ პროცესს ნათლად გვიჩვენებს მეფე ერეკლე II-ის დროინდელი სამართლისა და დემოგრაფიული ძეგლები.

დემოგრაფიული ძეგლები, რომლებიც დღემდე შემორჩა და აღმოსავლეთ საქართველოს განეკუთვნებიან, XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდება. სამწუხაროდ, აღწერის დავთრებმა ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია და მოსახლეობის როდენობის შესახებ მხოლოდ მიახლოებითი წარმოდგენა შეიძლება

ვიქონიოთ. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ქართლ-კახეთის სამეფოს 1770 წლის 5 აპრილით დათარიღებული დემოგრაფიული ნუსხა, რომელიც შედგენილია ერეკლე II-ის კარზე და საქართველოს შესახებ სხვა აღწერილობით მასალებთან ერთად გადაეცა რუსეთის რეზიდენტს რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ქართლ-კახეთის მოსახლეობის შესახებ ნუსხაში მოყვანილი მონაცემები ძირითადად ეყრდნობა 1767 წელს ან მომიჯნავე წელს ჩატარებულ აღწერას.

მე-18 საუკუნეში საქართველოს სამხედრო კლიმატი სულ უფრო სუსტდებოდა და მას აღარ შეეძლო მოთარეშე მტრებისთვის საკადრისი პასუხი გაეცა. ეს ნათლად ჩანს ჩვენამდე მოღწეული მოსახლეობის აღწერის მონაცემებით. კერძოდ, 1721 წლის მოსახლეობის აღწერიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს პროვინციაში — ქვემო ქართლის სადროშოში — მოსახლეობის შემცირების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობდა ასობით სოფელი. მებრამ სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში ამ მხარეში მოსახლეობა აღარ ჩანს. სომხითი, საბარათიანო, თრიალეთი, გუჯარეთი, ყაიყული, ტაშირი აოხრებულ ადგილებად არის მოხსენიებული და მხოლოდ ზოგიერთ მათგანში 40 ან 100 კომლიდან ერთი თუ ორი იყო დარჩენილი და ისინიც ერთმანეთთან იყვნენ შეხიზნულნი. კერძოდ, ნუსხაში აღნიშნულია: „არს აოხრებული და უმკვიდრო ქმნილი თრიალეთი, ადგილი ვრცელი და ფრიად კეთილი და დიდი და სოფელ-მრავალი.

არს აოხრებული ყაიყული, უმკვიდრო ქვეყანა, ფრიად კეთილი და მრავალი სოფელი.

არს აოხრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხითი, ქვეყანა დიდი

მტრებთან გაუდებელი ბრძოლების, ადამიანებით ვაჭრობისა და ასევე გაუდებელი შინააშლილობების შედეგად ქართველი მოსახლეობა ყველგან უაღრესად შემცირებული იყო. თითქმის მთლიანად დაცარიელდა თრიალეთი, ასევე ქვემო ქართლის პროვინციები — საბარათიანო და სომხითი, დაცარიელდა ისტორიული ქალაქები დმანისი და სამშვილდე. ამ პროცესს ნათლად გვიჩვენებს მეფე ერეკლე II-ის დროინდელი სამართლისა და დემოგრაფიული ძეგლები.

და მრავალი და ამისი აყრილი კაცი ორმოცისაგან ერთი დარჩენილა. ერთმანეთში არიან ხიზნათ.

არს საბარათისშვილო ქვეყანა დიდი, ასისგან ერთი დარჩენილა, ხიზნათ არიან“.

1770 წელს დემოგრაფიული ნუსხის მიხედვით მეტად რთულია გავარკვიოთ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა და ეთნიკური შემადგენლობა. მართალია, ნუსხაში არის მონაცემები ცალკეული ეთნოსების კომლთა რაოდენობის შესახებ, მაგრამ ზოგჯერ რამდენიმე ეთნოსის კომლთა რიცხოვნობა ერთადაა მოცემული. ეს, ალბათ, გასაგებიცაა, რადგან ფეოდალური ურთიერთობების თვალთახედვით, მთავარი იყო მეზატონის მიწა გაუკაცრიელებული არ ყოფილიყო და მასზე ყმა გლეხს ეცხოვრა. სწორედ ამ მიზეზის გამო ერეკლე II ცდილობდა გაუკაცრიელებული მიწების შევსებას ეთნიკურად არაქართველებით. კერძოდ, მან მულანის ველიდან, რომელიც სამხრეთ აზერბაიჯანში მდებარეობს, გადმოსახლა სპარსელებისაგან შევიწროებული 250 თურქმანული ოჯახი. მათგან შექმნა სოფლები ქაფანახჩი, ყიზილ-აჯლო და მულანლო, რომლებიც ამჟამად მარნეულისა (ქაფანახჩი და ყიზილ-აჯლო) და გარდაბნის (მულანლო) რაიონებში მდებარეობენ. მარტო ამ სამ სოფელში (მულანლოში, ყიზილ-აჯლოსა და ქაფანახჩის თემის საკრებულოში) ამჟამად 20650 აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ამასთან ცნობილია, არა ერთი და ორი შემთხვევა, როდესაც ერეკლე მეფე პირდაპირ იბრძოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თურქმანული ტომების ქართლსა და კახეთში დასახლებლად. ცნობილია, რომ მან ჯარიც კი გაგზავნა ყარაბაღსა და ნახჩევანში გადასახლებულთა დასაბრუნებლად. ააყრევინა ისინი და უკან დააბრუნა. ამ ქმედებებს თავისი გამართლება ჰქონდა. დაუსრულებელი ომებისა და ლეკიანობის შედეგად ქართლ-კახეთის მოსახლეობა უაღრესად შემცირდა;

ქვემო ქართლი კი ფაქტობრივად გაუკაცრიელდა, ხოლო მთელი ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობა 222 ათას კაცს არ აღემატებოდა. ფრიად საინტერესოა ის, რომ 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა მთავრდება ქართლ-კახეთის მოლაშქრეთა რიცხვის შესახებ მონაცემის მოტანით: „თათრის გამოყვანა შეიძლება ჯარში 5 ათასი, ქართველი და სომეხი 18 ათასი, ერთად 23 ათასი“. რუსეთის იმპერატორის მიერ საქართველოში გამოგზავნილი კაპიტნის ნ. იაზიკოვის ცნობით, ერეკლეს ბრძოლის ველზე მხოლოდ 15 ათასი მეზრძოლის გამოყვანა შეეძლო. მიუხედავად ამისა, იაზიკოვი იმასაც მიუთითებდა, რომ ერეკლე მეორე უდიდესი მხედარია, მის მფლობელობაშია ბორჩალოსა და ყაზახის სახანოები, ერევნისა და განჯის ხანები მას უხდებიან ხარკს, ხოლო დანარჩენი სპარსელები, რომლებიც მის მიწას გარს ერტყმიან, შიშის ქვეშ ყავსო.

ასეთ ვითარებაში, როდესაც საუკუნეების განმავლობაში მტრმა მიზანმიმართულად დაცალა ქართლ-კახეთი და განსაკუთრებით ქვემო ქართლი ქართული მოსახლეობისაგან და ფაქტობრივად ქვეყანა იავარყო, ერეკლე მეფის მეცადინეობა ქართლ-კახეთის გარკვეულ ტერიტორიებზე მომთაბარე თათარი ტომების შენარჩუნებისა და ზოგიერთ შემთხვევაში დასახლების შესახებ, ისტორიულად გამართლებული და სწორი ნაბიჯი იყო. მეფე ერეკლე მათ იყენებდა ბრძოლებში, ისინი იხდიდნენ ჩვეულებრივ გადასახადებს, ისე როგორც ქართველი მოსახლეობა და მეფე მათზე ზრუნავდა როგორც ქვეყნის მოქალაქეებზე.

ამრიგად, თავის დროზე მტრის მიერ ქვემო ქართლსა და კახეთში გასახლებული ადგილობრივი მოსახლეობის ნაფუძარზე მკვიდრებიან ცენტრალური და სამხრეთ ირანიდან შემოსული ყიზილბაშური თემები. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის ქართული სახელმწიფო სამართ-

ლის ძეგლი „დასტურლამალი“, რომელიც შეადგინა მეფე ვახტანგ VI-მ 1707-1709 წლებში. იგი ერთადერთი ძეგლია, რომელიც შეიცავს ძვირფას ცნობებს ქართლში ჩამოსახლებული თურქული მოდგმის ტომების — ელების ისტორიის შესახებ. „დასტურლამალი“ ჩამოთვლილია ყიზილბაშური თემები, რომლებიც ტომთა დაშლის შედეგად წარმოქმნილან, კერძოდ, არანდუ, ამირსასლუ, აჰმადლუ, დემურჩი, ნაზარლუ, ნასიბლუ, ნაჯაბადილუ, სავანა-ლუ, სარაჯლუ, ქაფანაქჩი, ქეშალუ, ხიალუ, ჯავანშირი, ჰამადლუ, ჰასანლუ და სხვ. „დასტურლამალი“ ნაჩვენებია თითოეულ თემში შემავალ კომლთა რაოდენობა, სულ ძეგლის მიხედვით ქვემო ქართლში 1860 კომლი თათარი ცხოვრობდა. ამჟამად ძალიან ძნელია ამ მონაცემის სანდოობის შესახებ საუბარი, მაგრამ რამდენადაც ამდენი კომლი აღრიცხული იყო, თუ მეტს არა, 1860 კომლს აუცილებლად უნდა ეცხოვრა. თუ კომლში საშუალოდ 6 წევრს მაინც ვიგულისხმებთ, მაშინ ამ პერიოდში ქვემო ქართლში 11160 თათარი ცხოვრობდა. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ დღევანდელი საქართველოს ფარგლებში აღარ შედის თათრებით დასახლებული ზოგიერთი პუნქტი, რომელიც იმდროინდელი საქართველოს ფარგლებში შედიოდა.

რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ შეიქმნა ბორჩალოს დისტანცია, რომელიც თბილისის მაზრაში შედიოდა. 1880 წელს თბილისის მაზრას გამოეყო და ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად შეიქმნა ბორჩალოს მაზრა თბილისის გუბერნიისში. მასში თავდაპირველად შედიოდა ნალკის, მანგლისის, თეთრინყაროს, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების ტერიტორია, აგრეთვე, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე რაიონების ტერიტორიათა ნაწილი. ბორჩალოს მაზრა 1929 წელს გაუქმდა.



საბოლოოდ შეიძლება დავასკვ-ნათ, რომ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თურქულენოვანი სოფლები XVIII საუკუნის დასაწყისიდან არსებობენ. როგორც წესი, მეჯოგე თურქმანული ტომები ყოველ თავდამსხმელს თან მოჰყვებოდნენ და მათთვის ხელსაყრელ ადგილებზე სახლდებოდნენ. ამიტომ მტრის წასვლისთანავე ქართველები „მოსვრიდნენ გარემოთა თათართა“ განსაკუთრებით დიდი ბრძოლა გადაიხადეს ქართველებმა 1659 წელს, როდესაც სელიმ-ხანის მიერ კახეთში ჩასახლებულ „თათართა“ დიდი ურდოებისაგან მთლიანად განმინდა მთელი კახეთი. ცოტა უფრო ადრე, მარტყოფის აჯანყებამ გიორგი სააკაძის მეთაურობით ასევე ჩაშალა ქართული სამეფოების ყიზილბაშურ სახანოებად გადაქცევის შაჰ-აბას I-ის გეგმა.

საქართველოში ირანიდან გადმოსახლავულ მომთაბარე ტომებს არ გააჩნდათ ეროვნული შიბნება. ისინი დროთა განმავლობაში აზერბაიჯანელებს შიარწყნენ, რომლებთანაც მათ აკავშირებდათ ენა, რელიგია, ზნე-ჩვეულებანი და სოციალური წყობა. ამიტომ საქართველოში მცხოვრები მათი ახლანდელი შთამომავლები თავს აზერბაიჯანელებად თვლიან.

საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა (შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება) განსხვავებულია ეთნიკური ნიშნის მიხედვით. ცნობილია, რომ მოსახლეობის გამრავლების რეჟიმი სხვადასხვაა არა მარტო კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით, არამედ იმ ქვეყნების შიგნითაც, რომელთაც აქვთ განსხვავებული კულტურული და ეთნიკური მოსახლეობის სტრუქტურა. შობადობა მჭიდრო კორელაციაშია მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასთან, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში ეთნიკური ასპექტები უკავშირდება მოკვდაობას. ასე, რომ ეთნიკური ფაქტორები, მექანიზმები გავლენას ახდენს მოსახლეობის გამრავლების რეჟიმზე.

ნას ახდენს მოსახლეობის გამრავლების რეჟიმზე.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები გამოირჩევიან შობადობის მაღალი დონით, რაც განპირობებულია ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით და, უპირველეს ყოვლისა, მაჰმადიანური რელიგიის აღმსარებლობით. მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნეში საქართველოში და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანული მოსახლეობის გამრავლების ტემპი შედარებით დაბალი იყო. ამ მოვლენას განაპირობებდა აზერბაიჯანელი ქალების უაღრესად ნაადრევი ქორწინება, რაც ხშირად იწვევდა მეორად უნაყოფობას, დედებისა და ახალშობილთა მოკვდაობის მაღალ დონეს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ყურადღება მიაქცევს იმ ფაქტს, რომ მაჰმადიანურ მოსახლეობაში ნაადრევი ქორწინება იწვევდა შობადობის შემცირებას. კერძოდ, აღნიშნავდნენ, რომ „მუსულმანების დაბალ შობადობას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ქალების უაღრესად ადრეულ ასაკში ქორწინება, რაც მნიშვნელოვანწილად იწვევს უნაყოფობასა და უძლურებას... ბევრი ქალი იღუპება 13-17 წლის ასაკში, განსაკუთრებით ნაადრევი ქორწინების გამო“.

აღნიშნული ფაქტორი მე-19 საუკუნეში აზერბაიჯანელი მოსახლეობის ნელი გამრავლების ერთ-ერთი მიზეზი იყო. მართლაც, ბორჩალოს მაზრაში 1875-1879 წლებში მთელი დაქორწინებული აზერბაიჯანელი ქალების 7,5 პროცენტი 15 წლამდე ასაკში დაქორწინდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ქართველ ქალებში 1,6 პროცენტს არ აღემატებოდა. ამასთან აზერბაიჯანელი ქალები მასობრივად თხოვდებოდნენ 18 წლამდე ასაკში.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების რაოდენობა სწრაფად იზრდება მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და მისი ბუნებრივი მატების ტემპი ყველაზე მაღალია საქართველოს მოსახლეობის ყველა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფთან შედარებით. ამ შემთხ-

ვევაში ტრადიციულ და რელიგიურ ფაქტორებთან ერთად დიდი როლი შეასრულა საერთოდ ქვეყანაში ორსული ქალების ჰიგიენურ-სანიტარული პირობების არსებითმა გაუმჯობესებამ, მათი სამედიცინო მომსახურების ამალგებამ და, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია, ნაადრევი ქორწინების უაღრესად შემცირებამ. მაგალითად, 1980 წელს საქართველოში 3211 გათხოვილი აზერბაიჯანელი ქალიდან მხოლოდ 38 ანუ 1,2 პროცენტი დაქორწინდა 18 წლამდე ასაკში, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო რუს ქალებში — 1,6 პროცენტი.

1926 წელს საქართველოში 138 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, 1959 წელს — 154 ათასი. შიბნები 30 წლის განმავლობაში (1959-1989 წწ.) აზერბაიჯანელთა რაოდენობა ზუსტად გაორჯოდა და 308 ათას კაცს უდრიდა, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში საქართველოს მთელმა მოსახლეობამ მხოლოდ 33,6 პროცენტით მოიმატა. აღსანიშნავია ისიც, რომ აზერბაიჯანელების ასიმილაცია სხვა ხალხებთან ფაქტობრივად არ ხდება. ამჟამად საქართველოში 285 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობს და მათი სწრაფი გამრავლება განპირობებულია ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, რელიგიური აღმსარებლობითა და ხელსაყრელი საარსებო პირობებით — ისინი საქართველოში ყველაზე ნაყოფიერ მინებზე ცხოვრობენ.

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებში შობადობის უაღრესად მაღალი ინტენსივობა და დაბალი მოკვდაობა განაპირობებდა მათი ბუნებრივი მატების მაღალ დონეს. მაგალითად, აზერბაიჯანელების ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ზუსტად სამჯერ აღემატებოდა ქართველთა ბუნებრივ მატებას. კერძოდ, 1989 წელს ყოველ ათას ქართველზე ბუნებრივი მატება 7,6 კაცს შეადგენდა, შესაბამისი მაჩვენებელი აზერბაიჯანელებში 22,8 კაცს უდრიდა. ანალოგიურ ვითარებას



შოგადოგის, შოკვდოგის დო გუნებრივი მებების ზოგადი კოფიციენტები სოქოტოვლოლი ჯიკონებების მიხედვით 1970, 1979 დო 1989 წლებში (მოსახლოგის 1000 კოგე)

	შოგადოგო			მოკვდოგო			ბუნებრივი მებებო		
	1970	1979	1989	1970	1979	1989	1970	1979	1989
შოგელი მოსახლეობო	19,2	17,8	16,7	6,9	7,3	8,3	16,9	8,3	8,6
მბო შოგის ქოტოველი	19,1	17,5	16,1	7,2	8,2	8,5	11,9	9,3	7,6
ოფხოზი	22,6	16,2	17,9	4,2	5,5	6,0	18,4	19,7	11,9
ოსი	21,9	19,1	17,2	6,6	7,3	8,1	15,3	11,4	9,1
რუსი	14,5	13,8	11,2	8,9	11,3	13,3	5,6	2,5	-2,1
ზერბოიჯოგნელი	29,8	27,9	28,6	5,3	5,7	5,8	23,9	22,2	22,8

წყორო: სოქოტოველოს ეკონომიკის გონვითოგების სომინისტროს სტოტისტიკის დებოტოგმენტის მონოცემები.

ჰქონდო ადგილი სხვო წლებშიც, რის შესახებოც ნოთელ ნოროდგენოს გვოდღევს ქვემოთ მოყვონილი ცხრილი.

უკონოსკნელ წლებში სოქოტოველოში მნიშვნელოვნოდ გოუოგნდო მოსახლეობის ბუნებრივი მოძოოობის მოჩვენებლები. ამოსოთნ დემოგოოფიული მონოცემები ეროვნულ ჭრილში აღოო მუშოვდებო პოსპოოტიდონ ეროვნების გოოფის ამოლებს გომო. მოგოოამ თუ შევოდოოებოთ ქოოტოველებოთ დოსახლებული დო ზერბოიჯოგნელებოთ დოსახლებული როიონების ბუნებრივი მოძოოოობის მოჩვენებლებს ერთმონეთს, თვოლნოთლივ ჩონს, რომ ბუნებრივი მებების დონე ზერბოიჯოგნელებში, ქოოტოველებოთნ შედოოებოთ, სოგოოძნობლოდ მოდოლიო. მოგოოლითოდ, 2008 წელს ქოოტოველებოთ დოსახლებულ როიონებში მოსახლეობის კლებოს ადგილი ჰქონდო, კერძოდ, გოოოგოოონის როიონში ყოველ ათოს კოცბე კლებოამ 3,1 კოცი შეოდგინო, დედოფლისწყოროსო დო სილნოლის როიონებში — 1,7 კოცი. ამოვე დროს ძირითოდოდ ზერბოიჯოგნელებოთ დოსახლებულ როიონებში, კერძოდ, მონრეულის როიონში მოსახლეობის 1000 კოცბე ბუნებრივო მებებოამ 10,6 კოცი შეოდგინო, ბოლნისის როიონში — 9,5 კოცი, გოოოდაბნის როიონში — 6,0 კოცი დო ა.შ.

ზერბოიჯოგნულმო მოსახლეობოამ ძოლიონ ცუდოდ იცის ქოოოთული ენო. ასეთი ვითოოებო წლითიწლობოთ გოოქელდებო დო მნიშვნე-

ლოვნოდ აფერხებს მათი ინტეგრაციის პროცესს ქოოოტოველებოთნ, დონოოჩენ ეთნოსებოთნ. ვითოოებო კიდევ უფოო გოამწვოვო იმ გოოემოებოამ, რომ რუსული ენო, რომელიც ერთ-ერთი ძირითოდი სოკომუნიკაციო ენო იყო სხვო ეთნიკურ ჯგუფებოთნ, უკონოსკნელ პერიოდში ამ ფუნქციოს თონდოთნობოთ სულ უფოო ნოკლებოდ ასრულებს. სოქოოტოველოში მცხოვოოებო ზერბოიჯოგნელების მხოლოდ 15,1 პროცენტი ფლობს თოვისუფლოდ ქოოოთულ ენოს, რუსულს კი — 26,4 პროცენტი, თუმცო ეს მოჩვენებელიც არ არის მოდოლი. ზერბოიჯოგნელ ქოოლებში, მამოკოცებოთნ შედოოებოთ, გონსოკუოოებოთ დობოლიო ქოოოთული დო რუსული ენების თოვისუფლოდ ფლობის მოჩვენებელი.

ამ მხრივ გოცილებოთ უფოო უოორესი ვითოოებოო ქვემო ქოოოოში. სოხელმწიფო ენის არცოდნის გომო ზერბოიჯოგნელი მოსახლეობისოთვის მიუწვდომელიო ინფოოოოოო ქვეყონოში მიმდინოოე მოვლენების შესახებ. ძოლოუნებოოოოდ იგი გოოიყულიო იმ პრობლემებისოგონ, რომლებიც ქვეყნის წინოშე დგოს დო გოდონყვეტოს მოოთხოვს. ამჟომოდ ზერბოიჯოგნელი მოსახლეობო, შეიძლებო იოქვოს, ვერ მონონილეობს ქვეყნის ცხოვოოებოში. ქოოოთული ენის შესწოვლის სოკოთხი, რომელიც სოხელმწიფოს მხრიდონ დიდი მონდომებოთ დოისვო, ყოოოდლებს მილმო დოოოო დო ეპიზოდურ ხოსი-

ათს ატოოებდო. ზერბოიჯოგნულ სკოლებში ქოოოთული ენის სწოვლებოსოთნ დოკოვეირებული რეფოოოებო, მისი უნოკლოდ გონხოოციელებს შემოთხვევოშიც კი, მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მოგვცემს სოსურველ შედეგს.

ამ სოკოთხოთონ დოკოვეირებოთ აუცილებელიო შემდეგიც იოქვოს: სოქოოტოველოში უკვე რამდენიმე წელიწოდო პოსპოოტიდონ ამოღებულიო გოოოფო ეროვნების შესახებ დო ამდენოდ იგულისხმებო, რომ ქვეყონოში მცხოვოოებო ყველო მოქოოოქე ქოოოველიო. ამოვე დროს სოქოოტოველოში მხოლოდ დო მხოლოდ ეროვნული ნიშნოთ არის გოხსნილი ასეულობოთ სომხური, ზერბოიჯოგნული თუ რუსული სკოლო, რომლებსოც სოხელმწიფო აფინონსებს, რაც გოოოოოოთლებოდ მიგოვონიო. გოოოოოოთლებელიო ჩვენს მოსოზღვრე ზერბოიჯოგნის როიონში ქოოოთული სკოლის არსებობოც. ასეთი სკოლები თუ მონცდომონც უნდოთ ჰქონდეთ რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს, კერძო დოფინონსებოთ უნდო ფუნქციონირებდეს. ცხოდო, ამ პრობლემის გოდონყვეტო ერთი ხელის დოკვოოოთ მიზონშეუწოონელი დო შეუძლებელიცოო. მისი მოგოვოოებო სოთონოდო მომზოდებოსო დო მეტოდ ფოქიზ მიდგომოს მოოთხოვს.

ონწოოოოოოოოო,

„სოქოოტოველოს მოსახლეობის ეკონომიკური შემოდგენლობო“, 2011 წ.



არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემები თბილისის მოსახლეობაზე

არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები, აგრეთვე, შემთხვევითი აღმოჩენები ცხადყოფენ, რომ ჩვენი დედაქალაქი და მის ახლო მდებარე მიდამოები უძველესი ხანიდან ყოფილა დასახლებული. შორეული წინაპრების კულტურა და საზოგადოებრივი ცხოვრება მსოფლიო ცივილიზაციის კვალდაკვალ ვითარდებოდა.

არქეოლოგიური მონაცემები

ოქროყანის ველზე 1961 წელს მოყავისფრო კაჟის ლამელა და ობსიდიანის ნატეხები აღმოჩნდა, ხოლო 1962 წელს — საბურთალოზე, მიცკევიჩის ქუჩაზე, ასევე მოყავისფრო კაჟის ქვის ხელშუბისპირი.

მართალია, ეს ნივთები შემთხვევით იპოვეს და, ამდენად, მყარი მეცნიერული დასკვნის გამოტანის საფუძველი არ გვაქვს, მაგრამ მათი აღმოჩენის ფაქტი აღნიშნულ პუნქტებში ქვის ხანის ადამიანის სავარაუდო არსებობას მაინც გულისხმობს.

საკმაოდ მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლები აღმოჩნდა 1930-1931 წწ. დიდუბეში, მექანიკური ქარხნის მშენებლობის დროს. დიდუბის ნასახლარი ენეოლითის ხანას, ანუ ქვიდან ლითონის ეპოქაზე გარდამავალ პერიოდს (ძვ.წ. IV-III ათასწლეული) მიეკუთვნება. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი (ქილები, სასმისები, ბადიები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჯამები, ხუფები და სხვ.), თიხისავე კერის ნაშთები, ობსიდიანის, კაჟისა და ძვლის იარაღები (ისრისპირი, დანისა თუ ნამგლის ნაწილები, სადგისები და სხვ.), ობსიდიანის ანატკეცები, ცხოველთა ძვლები ამჟამად იმის მაუწყებელი ჩანს, რომ აქ ბინადარი მოსახლეობა იყო, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ტომებთან. „მთელ ამ პერიოდში დიდუ-

ბეში ცხოვრობდა მობინადრე მინათმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობა, რომლის მეურნეობაში... დიდი ადგილი ეკავა, აგრეთვე, მონადირეობას და მეთევზეობას; როგორც მასალებიდან ირკვევა, დიდუბის მოსახლეობას სცოდნია, აგრეთვე, სუფთად დართული ძაფით ქსოვა“.

1968 წლიდან მიმდინარეობს გათხრები დიღმის მიდამოებში. სამუშაოები მალე გაფართოვდა დედაქალაქის მთელ ტერიტორიაზე და 1972 წლიდან „დიდი თბილისის“ არქეოლოგიური ექსპედიცია ჩამოყალიბდა.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მიმდინარე სამუშაოების დროს აღმოჩნდა უძველესი დასახლების ნაშთი, რომელიც „დელისის ნასახლარის“ სახელითაა ცნობილი. „ამ ძეგლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლისათვის. დელისის ნასახლარის მასალა პარალელებს პოულობს, ერთი მხრივ, ძვ.წ.ტ V-IV ათასწლეულის პირველი ნახევრის ამიერკავკასიის ე.წ. ადრესამინათმოქმედო კულტურის ძეგლებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრისა და III ათასწლეულის) მასალასთან“... ამგვარად, თბილისის ტერიტორიაზე ნასახლარებს ჩვენ უკვე ამ 6000 წლის წინ ვაწყდებით.

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები აღმოჩნდა დიღომში, საქართველოს

სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე ე.წ. თრელიგორებზე, სადაც ურთიერთმონაცვლე რამდენიმე კულტურული ფენის არსებობა დადასტურდა. ეს კი, თავის მხრივ, ამ პერიოდის დასახლების ხანგრძლივობაზე მიგვითითებს. ნასახლარის მახლობლად არსებობდა მისი თანადროული სამაროვანი, რომლის ქვედა ფენები თარიღდება ენეოლითის გვიანდელი საფეხურით, დაახლოებით ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით, მისი ზედა ფენები კი ადრებრინჯაოს ხანისაა (ძვ.წ. III ათასწლ.). შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები უკვე „საზოგადოების ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციაზე მიგვითითებს“.

გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, გარკვევით ჩანს ქართველი ტომების ეკონომიკური სიძლიერე და კულტურის მაღალი დონე. ამ პერიოდის სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღები, საოჯახო ნივთები თუ სამკაული მეტად მრავალფეროვანი და მაღალმხატვრული ფორმისაა. იმავე ითქმის კერამიკულ ნაწარმზეც.

ავჭალის გზატკეცილის მახლობლად, აგურ-კრამიტის კომბინატის მიდამოებში, 1949-1950 წწ. გათხრილ ორმოსამარხებში საკმაოდ რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების თიხის ნაწარმი (ხელადები, დოქები, ჩაფები, კოჭობები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, ქილები, ბადიები, ფიალები, სასმისები და

სხვ.), ბრინჯაოს იარაღები (სატევრები, შუბისპირები და სხვ.), სხვადასხვა სახის სამკაულები და ა. შ. ეს მასალა გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით, კერძოდ, ძვ.წ. XIV-XIII სს. თარიღდება. მიკვლევულ ძეგლებს თავისი პარალელები მოეპოვება, როგორც აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძეგლებში, ასევე დასავლეთ საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონში აღმოჩენილ მასალებს შორისაც. ეს კი საშუალებას გვაძლევს, დავუშვათ, რომ **თბილისის იმდროინდელ მოსახლეობას ფართო კავშირ-რურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ტომებთან. თანამედროვე თბილისის მიწაზე მცხოვრებ მოსახლეობას ეკავა ხელსაყრელი რეგიონი, სადაც ხდებოდა აღმოსავლურ-ქართული კულტურის შეხვედრები დასავლურ-ქართულ თუ კავკასიის სხვა რეგიონების კულტურებთან.**

გვიანი ბრინჯაოს ხანის მეტად საინტერესო ძეგლები აღმოჩნდა, აგრეთვე, ნავთლულში, ორხევის მინდორზე, იმ ადგილას, სადაც მტკვარს ერთვის მდ. ორხევი. გათხრილ ორმოსამარხებში 81 ნივთია მოპოვებული, რომელთა შორის ყველაზე დიდი რაოდენობითაა თიხის ჭურჭელი: დოქები, ხელალები, ქვაბები, ქვაბ-ქოთნები, ლანგრები, სასმისები, კოჭობები, ქილები, ჯამები და სხვ. იქვეა ნაპოვნი ბრინჯაოს იარაღები (სატევრები, ცულები, შუბისა და ისრის პირები), ბრინჯაოს, ძვლისა და სარდონის სამკაულები: სამაჯურები, ქინძისთავეები, კისრის რგოლები, საყურები, მძივები და სხვა, სპილენძისა და ბრინჯაოს საყოფაცხოვრებო ნივთები: ქვაბები, კაუჭები, ჩქიფები და სხვ. აღმოჩნდა, აგრეთვე, ბრინჯაოს ლაგები და საყბურები. ეს მასალა ძვ. წ. XIII-XI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე განსაკუთრებით**

მჭიდრო მოსახლეობა სწორედ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ჩანს და მის სამეურნეო ცხოვრებაში წამყვანი ადგილი მინათმოქმედებასა და მესაქონლეობას უჭირავს. ამჟამად აგრეთვე, რომ მოსახლეობა უკვე დიფერენცირებულია ქონებრივად და, იქნებ, სოციალურადაც: მდიდრული, მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი, ნატიფად ნაკეთები ნივთების შემცველი სამარხების გვერდით საკმაოდ ხშირია ღარიბული, მცირერიცხოვანი ნივთების შემცველი სამარხები.

გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის შესანიშნავი ძეგლი იქნა გათხრილ-შესწავლილი დიდმის ველზე, ზემოთ უკვე აღნიშნულ თრელიგორებზე. აქ გამოვლენილია რიყის ქვით ნაგები და თიხის ხსნარით შელესილ ნაგებობათა ნაშთები, თიხატყეპნილი და ქვის ფილებით დაგებული იატაკი, ბანის ძელები, პურის საცხობი ღუმელები და საკულტო თაროები, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი, მათ შორის საკმაოდ მოზრდილი ქვევრი, ყურძნის ნიბნა, ხორბალი, რკინის ნამგალი, რქის საყბური, ბრინჯაოს საკინძი და სხვ. ყოველივე ეს საკმაოდ დანიშნაურებული მეურნეობისა და საზოგადოების არსებობაზე მიგვანიშნებს.

ამ დროის სამარხებში გამოირჩევა წარჩინებული მეომრების სამარხები. ისინი „შეიცავენ თიხის ჭურჭელს, სხვადასხვა ლითონის, პასტის, მიჩნისა და ნახევრად ძვირფასი ქვების სამკაულს, ბრინჯაოს სარტყლებსა და რკინის იარაღს, მათ შორის გვხვდება სხვადასხვა ტიპის მახვილები, სატევრები, შუბები, ისრისპირები და სხვ.“.

გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები მიკვლევულია დედაქალაქის სხვა რაიონებშიაც — ღრმაღლე, ნაძალადევი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი, მახათას მთის ფერდობი, ნავთლული, ორთაჭალა, სანაპირო, კრწანისი, ავლახარ-ისანი და სხვ.

ეპოქის შესაბამისი მაღალი

კულტურის მატარებელი მოსახლეობის არსებობის დამადასტურებელია, აგრეთვე, არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც აღმოჩენილია მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საბურთალოზე, ვაკეში, დიდუბეში, ნაძალადევი, ავჭალაში, მთაწმინდა-სოლოლაკსა და თანამედროვე თბილისის სხვა უბნებში. ეს ძეგლები რკინის ფართო ათვისებისა და ანტიკური ხანისაა (ძვ.წ. I ათასწლეული — ახ.წ. III ს.).

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ დიდუბის არქეოლოგიურ ძეგლებზე ორი კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა განირჩევა. თუ უძველესი ფენა ენეოლითური ხანით დათარიღდა, მეორე ფენა ადრეანტიკურ ხანას (ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი) ეკუთვნის. ამ უკანასკნელ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა სხვადასხვა დანიშნულების შავი საღებავებით მოხატული თიხის ჭურჭელი (ხელალები, კოჭობები, ფილები, ქოთნები და სხვ.), ბრინჯაოს ზარაკები, ეფენები, ქინძისთავეები, სამაჯურები, ბეჭდები, რგოლები, აგრეთვე მძივები, მძივსაკიდები და სხვ.

ძვ. წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებით თარიღდება თრელის სამაროვანზე გათხრილი დასაკრძალავი დარბაზის შემცველი სამარხები. მათგან ინვენტარის სიმდიდრით გამოირჩევა სამარხი №16, რომლის ფართობი 70 კვადრატულ მეტრს აღწევს, სიმაღლე კი 4 მეტრზე მეტია. აღმოჩენილ ნივთთა შორის „თავისი მაღალმხატვრობითა და სინატიფით“ იშვიათია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, ჭვირულ სადგარზე მდიდარი ღვთაების გამოსახულება (წარჩინების ნიშანი), ცხენის თავის ქანდაკება, თიხისაგან ნაძერწი ზოომორფული ჭურჭელი, გეომეტრიული ორნამენტით შემკული შავპრიალა ხელალები და სხვ. იქვე აღმოჩნდა „ბრინჯაოს მუზარადი, ხელშუბის პირი, ყუნწიანი ისრისპირები... ცხენის ლაგამი, საკისრე რგოლები ზარაკებითურთ, ბალთები... სამარხი ეკუთვნის წარჩინებულ მეომარს,



სავარაუდოა — ტომის ბელადს“.

მოპოვებული მასალებით დასტურდება, რომ დიღმის რაიონში, თრელიგორებზე, დაახლოებით ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში და I ათასწლეულის პირველ ნახევარში, არსებობდა იმ დროისათვის დიდი დასახლება, ტერასულად დაყოფილი და გადაჭიმული ერთნახევარ კილომეტრზე. იგი მოფენილი იყო ბანურსახურავიანი ერთთახიანი შენობებით, რომლებსაც ცალ-ცალკე ჰქონდათ სამეურნეო დანიშნულების სათავსოები. მიკვლეულია მინაში ჩაფლული ღვინის, ძმრისა და სხვა პროდუქტების შესანახი ქვევრები.

დიღმის ველი, მიუხედავად საგარეო შემოსევების შედეგად ხშირი განადგურებისა, კარგად იყო დასახლებული ანტიკურსა და გვიანანტიკურ ეპოქებშიაც. ერთ სამარხში, რომელიც ახ.წ. III ს. თარიღდება, აღმოჩენილია რკინის სატევარი, შუბისპირი, სამფრთიანი ისრისპირები, აბზინდები და ბალთები, ოქროს სამაჯური, რკინის ბეჭდები მათში ჩასმული სარდიონის გემათი. ერთ გემაზე გამოსახულია „მაღალფეხიანი ჭურჭელი მარადიული ცეცხლით, მეორეზე კი — ათენა პალადა შუბითა და ფარით“. იქვე ვხვდებით რომის იმპერატორ ავგუსტის ვერცხლის დინარებს. თრელიგორებზე აღმოჩენილია ადრეული და მომდევნო ფეოდალური ხანის სამარხებიც. როგორც დავინახეთ, დიღმის ხეობას, სხვა უძველეს დასახლებებთან ერთად, მნიშვნელოვანი წილი უდევს თბილისის ქალაქად გადაქცევის ისტორიაში.

გვიანანტიკური პერიოდისაა, აგრეთვე, თბილისის ვაკის უბანში აღმოჩენილი ქვასამარხი, რომელშიაც იყო ოქროს ორი მონეტა რომის იმპერატორ ავგუსტის დროს მოჭრილი (ძვ.წ. 27 — ახ.წ. 14 წწ.), ოქროსავე ბურთულები, გვირგვინის ფურცლები და სხვა ნივთები; ბესიკის ქუჩაზე და ღრმალელეში, ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიდამოებში და სხვაგანაც აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი (დო-

ქები, ჯამები, თუნგულები), ავგაროზები და სხვა ნივთები, რომლებიც აშკარად მოწმობენ თანამედროვე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები იმდროინდელი მოსახლეობის მაღალგანვითარებულ ეკონომიკურსა და კულტურულ დონეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა დიღმის ველზე, ახალი ხიდის მახლობლად, ძვ.წ. IV-III სს. ბერძნული მონეტის აღმოჩენა, ხოლო დიდუბეში, კეცხოველის ქუჩაზე, ორთაჭალაში, ბოტანიკური ბაღის მიდამოებში, ვაკეში, საბურთალოსა და სხვა ადგილებში ძვ.წ. III ახ.წ. III სს. ბაქტერიული, ბოსფორული, რომაული და პართული მონეტების თუ ეგვიპტური „სკარაბეების“ მიკვლევა. როგორც ჩანს, აღნიშნულ ადგილებში მცხოვრებ იმდროინდელ მოსახლეობას ფართო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონია საბერძნეთთან, კასპიის ზღვის გაღმა მდებარე ბაქტერიის სამეფოსთან, ეგვიპტესთან, რომის იმპერიასთან და ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე ბოსფორის სამეფოსთან. თბილისის რეგიონში მყოფი მოსახლეობა განფენილი იყო აზიიდან ევროპისაკენ მიმავალ დიდ სავაჭრო გზაზე, რაც ხელს უწყობდა მის ჩაბმას მსოფლიო ვაჭრობის სფეროში.

რაც შეეხება იმ ადგილებს, სადაც აღმოჩენილია არქეოლოგიური ძეგლები ძვ.წ. V-IV ათასწლეულებიდან ახ.წ. IV საუკუნემდე, ისინი თბილისის ახლო მდებარე დასახლებებს წარმოადგენდნენ და უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ პუნქტების ხარჯზე და ურთიერთშერწყმის შედეგად წარმოიშვა ძველ თბილისში ჯერ „ქალაქიციხე“ (ახ. წ. IV საუკ.), შემდეგ კი სამეფოს კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი — დედაქალაქი.

ფეოდალური ხანის თბილისი არქეოლოგიური თვალსაზრისით, სამნუხაროდ, დღემდე არ არის სრულყოფილად შესწავლილი. გეგმიური, სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები ფეოდალური ეპოქის ქალაქის ტერიტო-

რიაზე მხოლოდ სამ პუნქტში ჩატარდა (სამასი არაგველის სახ. ბაღი, ერეკლე მეორის მოედანი, თბილისის დედაციხე) და, მიუხედავად იმისა, რომ სამივე პუნქტში საკმაოდ დიდი რაოდენობის საყურადღებო ძეგლები აღმოჩნდა, ძიება თანმიმდევრული არ ყოფილა. არც ერთი აღნიშნული პუნქტი ბოლომდე არ გათხრილა. ეს გარემოება ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. ქალაქის ძველი უბნების მჭიდრო დასახლება, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობები ხშირ შემთხვევაში არქეოლოგიური სამუშაოების სათანადო დონეზე ჩატარების საშუალებას არ იძლევა.

სამასი არაგველის სახ. ბაღის კეთილმოწყობის დროს, 1948-1949 წლებში წარმოებული გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ფეოდალურ ხანაში აღნიშნული უბანი კერამიკული წარმოების მძლავრ კერას წარმოადგენდა. აქ ამზადებდნენ არა მარტო მოუჭიქავ, არამედ მაღალმხატვრულ მოჭიქულ ჭურჭელს და, შესაძლოა, მინის ჭურჭელსაც... უფრო მეტიც: ბაღში გათხრილი შვიდი ქურა, ჩანს, მარტო ჭურჭლეულის დასამზადებლად კი არ იყო გამოყენებული, არამედ მოჭიქული კრამიტისა და შორენკეცების საწარმოებლადაც.

1956-1957 წლებში ერეკლე მეორის მოედანზე მდებარე ბაღში წარმოებული გათხრების დროს, ფეოდალური ხანის (V-XVIII სს.) მრავალმნიშვნელოვანი მონაპოვრების გვერდით, აღმოჩნდა V ს. აქატის ქვის გემა (საბეჭდავი). არსებობს მოსაზრება, რომ ამ საბეჭდავზე გამოსახული პიროვნება შეიძლება იყოს მეფე ვახტანგ გორგასალი.

მესამე ობიექტი, სადაც სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა, იყო თბილისის მთავარი თავდაცვითი ნაგებობა — „დედაციხე“, რომელიც ნყაროებში „კალას“, „შურისციხის“, „ნარიყალას“ და „ქალაქის ციხის“ სახელებითაც არის ცნობილი.

„დედაციხე“ თბილისის ერთ-ერთი უძველესი თავდაცვითი ნა-

გებობაა. ნერილობითი წყაროების მიხედვით, იგი ახ. წ. IV საუკუნეიდან არსებობს, მაგრამ 1948 წელს მოსწავლეების მიერ დედაციხის ტერიტორიაზე ბრინჯაოს სატევრის აღმოჩენის ფაქტი თუ საეჭვოდ არ მიიჩნევა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ადგილი გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ.დ. XIII-XII სს.) უკვე ყოფილა დასახლებული და, შესაძლოა, იგი გორა-ნასახლარს წარმოადგენდა.

საუკუნეთა მანძილზე თბილისი და მისი „დედაციხე“ მრავალჯერ დაანგრია მტერმა. ასევე ბევრჯერ აღდგა იგი და, ცხადია, დანგრეულ ძველ ნაგებობათა ადგილზე იგებოდა ახალი, რის შედეგად ზოგჯერ მთლიანად ისპობოდა ძველი შენობის კვალი. თბილისის „დედაციხის“ ტერიტორიაზე ადრეფეოდალური ხანის ნაგებობებიდან მხოლოდ ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი კოშკია შემორჩენილი, რომელიც თლილი, კვადრატული ქვებით არის ნაგები და ვახტანგ გორგასლის ეპოქით თარიღდება.

დედაციხის ტერიტორიაზე ჩატარებული თხრის შედეგად აღმოჩენილი ნაგებობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია **გუმბათიანი ტაძრის** ნაშთი. ეს ტაძარი თავისი გეგმით თითქმის სრული ანალოგია მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას მდგომი ტაძრისა, რომელიც XIII ს. ბოლოსაა აგებული.

ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის „დედაციხეში“ მდგარ ტაძარს წმ. ნიკოლოზის სახელობისად მიიჩნევს.

წმ. ნიკოლოზის ტაძარი თითქმის მთლიანად იყო დანგრეული და მინით დაფარული. თხრის შედეგად აღმოჩნდა, რომ ტაძარი ნაგები იყო ქვისა და აგურის წყობით, კირის ხსნარზე. კედლები შემოსილი ჰქონდა თლილი ქვის პერანგით, რომლის დიდი ნაწილი სხვადასხვა სახის ორნამენტით იყო შემკული. ვახუშტის გეგმაში ტაძარი ჯვრის ტიპის გუმბათიან ნაგებობას წარმოადგენს. გუმბათი დაყრდნობილი ყოფილა აგურით ნაგებ მრგვალ სვეტებსა და საკურთხევლის კედლებზე. ტაძ-

რის შიდა კედლები, ჩანს, ფრესკებით იყო მოხატული. ამას გვაფიქრებინებს ჩრდილოეთის მრგვალ სვეტზე შემორჩენილი მხატვრობის ნაშთი ადამიანის ფეხის გამოსახულებით.

თბილისის „დედაციხის“ არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, ძველი სასახლის ნაშთების გამომზეურება. შესაძლებელია, ეს ჰქონდა მხედველობაში ვახუშტის, როცა წერდა: „მაღალს ციხეში არს... სასახლე, მეფისა, პალატნი დიდი და მშვენიერი“.

დედაციხის ტერიტორიაზე სამეფო სასახლის არსებობის ფაქტი უფრო ძველ წყაროებშიც არის მითითებული. მაგრამ ჯერჯერობით ძნელია სრული დაბეჭვით ითქვას, რომ აღმოჩენილი სასახლის ნაშთები წყაროებში მოხსენიებულ სასახლეს გულისხმობდეს. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ექსპედიციის მიერ დედაციხის ქვედა ბაქანზე გათხრილ ნაგებობათა შორის ეს შენობა ყველაზე დიდი მოცულობისა ყოფილა.

„დედაციხის“ ტერიტორიაზე ამავე დროს დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ნივთები. მათი რაოდენობა თითქმის 20 ათას ერთეულამდე აღწევს. მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობისაა კერამიკული და მინის ნაწარმი, სხვადასხვა პერიოდისა და ქვეყნების მონეტები, ქურდულისა და ლოდსატყორცნის ქვის ბირთვები, ზარბაზნის „ყუმბარები“, რკინის მრავალნაირი იარაღები და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიგვაჩნია მამაცაშვილისა და ავლევის ქუჩებზე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი ქართველი მეომრის გამოსახულებით.

თბილისის არქეოლოგიური შესწავლა გრძელდება და უნდა მოველოდეთ ახალ აღმოჩენებს.

წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალების მიმოხილვა და გაზრება ძირითადად განეკუთვნება თბილისის ქალაქობის წინა პე-

რიოდს. იგი სრული ვერაა, მაგრამ მაინც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქალაქის გარემომცველი რეგიონის უძველესი დასახლებანი თავიანთი სამეურნეო-კულტურული განვითარების მაღალი დონით, ისევე, როგორც მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, საფუძველს ქმნიდა დედაქალაქის წარმოშობისათვის.

რაც შეეხება ქალაქობის პერიოდის შესახებ მოპოვებულ მდიდარ არქეოლოგიურ მასალებს, IV-VI საუკუნეებიდან მოყოლებული ვიდრე XVIII ს. ბოლომდე, იგი ჩვენს მიმოხილვაში მხოლოდ ნაწილობრივ აისახა. მათზე საუბარი იქნება ამ ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძირითად პროცესებზე საუბრისას, წინამდებარე ნიგნის სათანადო თავებში.

პალეოანთროპოლოგიური მონაცემები

ქართული ისტორიული ტრადიცია თბილისის დაარსებას მეფე ვახტანგ გორგასალს უკავშირებს და, ამდენად, მისი ქალაქობა თხუთმეტ საუკუნეს ითვლის, მაგრამ არქეოლოგიურმა ძიებამ, კარგა ხანია, ცხადყო, რომ ამ პერიოდისათვის, და გაცილებით უფრო ადრეც, თვით თბილისისა და მისი მიხდამოების ტერიტორია საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული. ამას ადასტურებენ მრავალრიცხოვანი ნამოსახლარები და სამაროვნები, რომლებიც ძველი ნელთალრიცხვის II, I და ახალი ნელთალრიცხვის I ათასწლეულებით თარიღდება.

აღნიშნულ სამაროვნებში აღმოჩენილი იქ მოსახლე უძველესი ადამიანების თავის ქალებისა და ძვლოვანი ნაშთების შესწავლა საშუალებას იძლევა, წარმოვიდგინოთ წინაპართა გარეგნული იერსახე და გავარკვიოთ საკითხი — ვინ იყო ეს ხალხი, რომელი „მოდგმისა“, ვისი შთამომავლები იყვნენ პირველი თბილისელები და მათი შორეული მემკვიდრეები.



შესწავლილი მასალებიდან ჩანს, რომ მთელი საკვლევე პერიოდისთვის (ადრებრინჯაოდან ადრეფეოდალურ ხანამდე — ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოდან ახ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრამდე) საკვლევ ტერიტორიაზე, ისევე, როგორც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მინა-წყალზე, დომინანტურ ანთროპოლოგიურ ტიპს წარმოადგენდა: დოლიქოკრანული (გრძელთავიანი), ლეპტროპროზოპული (ვიზროსახიანი), ლეპტორინული (ვინროცხვირიანი), მკვეთრად პროფილირებული სახისა და ცხვირის მქონე, გრაციული კომპლექსის ადგილობრივი ვარიანტი, რომელიც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში ხმელთაშუაზღვისპირული რასის სახელითაა ცნობილი. ეს რასობრივი კომპლექსი, საერთოდ ანთროპოლოგიურ, კერძოდ კი, ქართულ ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში, საკმაოდ კარგადაა ცნობილი, ჩვენთვის კი ამჟამად დიდი მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტი, რომ თბილისის რეგიონის მოსახლეობა, ისევე როგორც საზოგადოდ ქართლის მოსახლეობა, ამავე რასობრივ განშიტობას ეკუთვნოდა და არა რომელიმე სხვას და ამიტომ ყოველივე ის, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის პალეოანთროპოლოგიაზე თქმულა, შეეხება თბილისის რეგიონის იმავდროინდელ მოსახლეობასაც.

ადრებრინჯაოს ხანით დათარიღებული დედაკაცის თავის ქალა უახლოეს მსგავსებას საერთოდ საქართველოს იმავდროინდელი დედაკაცების თავის ქალებთან ამჟღავნებს, ხოლო შუაბრინჯაოს ხანის დედაკაცის თავის ქალა განსაკუთრებით ახლოსაა ქართლის რეგიონში მოპოვებულ თავის ქალებთან. ბევრად უფრო კონკრეტულია სურათი გვიანბრინჯაოს ხანის როგორც პირველ, ისე მეორე პერიოდში (ამ შემთხვევაში მასალაც უფრო სოლიდურია); ორივე ამ პერიოდისთვის უახლოესი და განსაკუთრებული მსგავსება თბილისისა და მცხეთის რეგიონების სერიებს შორის სრულიად

უდავოა. ასევე უდავოა ეს მსგავსება რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაშიც. შედარებით ნაკლებია ამ პერიოდისათვის მსგავსება თბილისის რეგიონსა და საერთოდ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მოპოვებულ კრანიოლოგიურ სერიებს შორის, თუმცა რასობრივი მსგავსების კოეფიციენტი აქაც უახლოეს კატეგორიაში თავსდება. განსხვავების შედარებით მაღალი მაჩვენებელი სხვა რეგიონებში მასალების უკიდურესი სიმცირით შეიძლება აიხსნას, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის დიფერენცირებულობაც შეიძლება იყოს ამის მიზეზი.

მსგავსება-განსხვავების პრინციპული სურათი არც ადრეფეოდალურ ხანაში იცვლება. განსხვავებათა აღმავალი რიგი თბილისის რეგიონის მოსახლეობისათვის, ამ პერიოდში, საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობასთან შედარებით, ასე გამოიყურება: უახლოესი მსგავსება მას, უპირველეს ყოვლისა, მცხეთის რეგიონის მოსახლეობასთან აკავშირებს, შემდგომი რგოლი კი — საერთოდ საქართველოსა და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობასთან. შემდეგ საფეხურს მთის ზოლის მოსახლეობა ქმნის და ბოლოს — კახეთის რეგიონის მოსახლეობა. ამ შემთხვევაში ხაზი ესმება მხოლოდ მსგავსების თანმიმდევრობას, თორემ უახლოესი მორფოლოგიური მსგავსება ყველა ამ სერიას შორის სრულიად უდავოა.

ანალოგიური დასკვნები მიღებულია საკუთრივ დილმის სამაროვანზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალების მიხედვითაც: დილმის სამაროვანზე ბრინჯაოს ხანის I ეტაპის პალეოანთროპოლოგიური მასალა არ ამჟღავნებს განსხვავებას სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ პალეოანთროპოლოგიურ მასალებთან, არ არსებობს საფუძველი განსხვავებაზე მსჯელობისათვის არც მომდევნო, ბრინჯაოს ხანის II ეტაპისა და ბრინჯაოდან რკინაზე გარდამა-

ვალი პერიოდებისათვის. საერთოდ, მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში, როგორც სამთავროს, ისე დილმის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არსად იჩენს თავს ძირითადისაგან განსხვავებული რაიმე ახალი ელემენტი. ანალოგიური სურათია ბრინჯაოდან რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაზე გარდამავალ და თვით რკინის ფართო ათვისების ხანაშიც. ადრეფეოდალური ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალები უკვე სრულიად გარკვევით ამჟღავნებენ მსგავსებას, როგორც დილმის ადრეულ სერიებთან, ისე სამთავროს სინქრონულ სერიებთან, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობის უწყვეტი თანამიმდევრობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

რასობრივი მსგავსების კოეფიციენტების განხილვა სივრცეში (ცალკეულად ყოველი ეპოქისათვის) ცხადყოფს, რომ განსხვავება თანდათან მატულობს სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის სერიებთან და, მით უმეტეს, დღევანდელი თურქეთის, ირანისა და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს პალეოანთროპოლოგიურ ტიპებთან.

ამრიგად, დასტურდება, რომ თბილისისა და მისი მიდამოების მოსახლეობაში, ადრებრინჯაოს ხანიდან ვიდრე ფეოდალურ ხანამდე, რაიმე საგრძნობი ცვლილება არ მომხდარა; იგი ვითარდებოდა შინაგანი ტრანსფორმაციის გზით; ეს კი, თავის მხრივ, საფუძველს გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ პირველი თბილისელები შთამომავლები იყვნენ ამავე რეგიონის ძველი და უძველესი მოსახლეობისა. ამასვე ადასტურებს თბილისის რეგიონის თანამედროვე მოსახლეობის შესწავლაც, რომელიც ცხადყოფს, რომ ის ყოველგვარი თავისებურებების გარეშე შედის აღმოსავლურქართულ ანთროპოლოგიური ტიპის შემადგენლობაში, რომელიც სამხრეთქართულ ანთროპოლოგიურ ტიპთან ერთად ქმნის წინააზიური რასის იბერიულ ვარიანტს.



ჩემპიონი და პრიზიორი

მართლაც შესაშური ენთუზიაზმი და ქარიზმა აქვს ამ პიროვნებას. ნამდვილად ასეა. რადგან 70-ს გადაცილებული ადამიანის სპორტულ მიღწევებზე რომ საუბრობ, მითუმეტეს როცა ულოცავ ევროპის ჩემპიონობასა და მსოფლიო პრიზიორობას, ხვდება, რომ შენ წინაშე დგას გამორჩეული, ძლიერი სულის ადამიანი, წლებს რომ არ ეშუება — კალმახივით აღმა მიუყვება ცხოვრების დინებას, სახელოვანი ბაბუის მსგავსად; მაგრამ, თუ ტიცინი დანაწებით ამბობდა: „გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი / და ახეული მაქვს ლაყურები, / შემართულია ფეხზე ჩახმახი / და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები“, შვილიშვილის სწრაფვა დასახული მიზნისკენ წარმატებული აღმოჩნდა.

— ილბალიცაა, ალბათ...

ბატონ გივის ელიმება, რადგან მარტო ილბალი ვერ მოგაგებინებს ევროპის ჩემპიონობას და ვერც ბრინჯაოს — მსოფლიო ჩემპიონატზე.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, შპს „კარდიორეანიმაციური ცენტრის“ დირექტორის, მსოფლიო ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის რაპირით ფარიკაობაში (1963 წელს) **ნიკოლოზ (ბივი) ანდრიაძის** მიღწევებს წლეულს ახალი წარმატებები შეემატა.

ჯერ იყო გერმანიის ქალაქ ლაიფციგში მედიკოს მოფარიკავეთა ევროპის პირველობაზე მოპოვებული პირველი ადგილი. შეჯიბრების მონაწილეთა უმრავლესობას დოქტორები წარმოადგენდნენ. მედლებისთვის 10 ქვეყნის რაპირისტები იბრძოდნენ. ნიკოლოზ ანდრიაძემ ჯგუფში ორი გერმანელი — პენპელმანი (5:1), ლეიპელტი (5:2) და პოლონელი პოპრავა (5:3) დაამარცხა. მეოთხედფინალში ისევე ლეიპელტს აჯობა — 10:5, ნახევარფინალში ალემან კოლბეს 10:9 სძლია, გადამწყვეტ პაექრობაში კი ტასილ სეიდლერი (გერმანია) დაჯაბნა — 10:7 და ჩემპიონობა მოიპოვა.

ახლახან კი უნგრეთის ქალაქ დებრეცენიდან ვეტერანი სპორტსმენი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. **ვეტერანთა შორის გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა ვეტერანმა მესამე ადგილი დაიკავა.** მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ნიკოლოზ ანდრიაძე საქართველოს დამსახურე-

ბულ მწვრთნელ ლუდვიგ ლალანიძესთან ვარჯიშობდა.

მედლისკენ მიმავალი გზა ბატონმა ნიკოლოზმა ჯგუფური ეტაპიდან დაიწყო, რომლის დაძლევის შემდეგ, ბრძოლა უკვე ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა. მან ჯერ იტალიელი ჯოვანი კოლომბო (10:5) დაამარცხა, რომელსაც ბრიტანელი პეტერ ბარონი (10:7) და გერმანელი ჰანს ვიზერი (10:5) მიაყოლა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც თავის უშუალო „მტერს“, რუს გარი ავთანდილოვს შეებრძოლა. ეს ის ავთანდილოვია, რომელმაც შარშან, ევროპის ჩემპიონატზეც გადაუკეტა ოქროსკენ მიმავალი გზა. როგორც ნიკოლოზ ანდრიაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მანამდე განაგრძობს ვარჯიშს, სანამ ავთანდილოვის „ჯავრს არ იყრის“.

მაგრამ, ყველაფერი რომ შემთხვევითობამ განაპირობა, ამას ჩემი რესპონდენტი არ უარყოფს და ღიმილით იგონებს, მშობლებმა პატარა პუტკუნა ბიჭი გახდომის მიზნით რომ შეიყვანეს სპორტში.

„მშობლები ფარიკაობაში საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის — ანატოლი ფიოდოროვის ოჯახთან მეგობრობდნენ და მეც პიონერთა სასახლეში მიმიყვანეს. — იგონებს ბატონი გივი, — მაშინ იქ შემდგომში ცნო-



ბილი მოფარიკავეები — იურა ოსიპოვი, გურამ ჯაიანი, ძმები გოგელიები, რევაზ ცირეკიძე ვარჯიშობდნენ. მე მათზე პატარა, 12-13 წლის ვიყავი. ვინაიდან მსუქანი ბავშვი ვიყავი, ჩემგან რაიმე განსაკუთრებულ შედეგს არ ელოდნენ. მაგრამ მოხდა ისე, რომ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობის წინ ერთ-ერთი ბავშვი ავად გახდა და მოსკოვში სხვებთან ერთად მეც წამიყვანეს. იქ კი ყველა მეტოქე დავამარცხე და პირველობა მოვიპოვე 15 წლამდე მოზარდებს შორის. თბილისში რომ ჩამოვედი, მწვრთნელებმა თქვეს, — ანდრიაძემ შემთხვევით მოიგო, მაგრამ მომდევნო წელსაც ისევე მე რომ გავიმარჯვე, დარწმუნდნენ, — მეც რაღაც შემძლებია და უკვე სერიოზულად დაინყეს ჩემთან მუშაობა“.

1966 წელს სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და მოსკოვში, აკადემიკოს ალექსანდრ მიასნიკოვის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტურაში ჩააბარა. პარალელურად ცნობილ მწვრთნელ ივან მანაენკოსთან ვარჯიშობდა. „შემომთავაზა, — და-



ანებე თავი მედიცინას და საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეგვიყვანო. მაშინ ეს ზღაპარი იყო. ძალიან ძლიერი რაპირისტები ჰყავდათ: მარკმიდლერი, გერმან სვეშნიკოვი, იური სისიკინი. კარგა ხანს ვიფიქრე, მაგრამ ზაფხულის არდადეგების შემდეგ მოსკოვში რომ დავბრუნდი, უარი ვუთხარი და არჩევანში არც შევმცდარვარ. როგორც პროფესიონალმა, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ჩემპიონობის ტოლფასი, აკადემიკოს ევგენი ჩაზოვის კარდიოლოგიური ცენტრის განათლება მივიღე. მოგვიანებით სადოქტორო დავიცავი“.

ფარეკაობაში საკმაოდ ხანგრძლივი ტაიმ-აუტი გამოუვიდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაუბრუნდა სპორტის საყვარელ სახეობას. მისი ინიციატივით ამჟამად თბილისის რამდენიმე სკოლაში ფარეკაობის სექციებია გახსნილი. პირველი კლუბი 2010 წელს, ტიცვიან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლაში გახსნა; შემდეგ — 53-ე სკოლასა და კერძო სკოლაში — „XXI საუკუნე“. დღეისათვის უკვე რვა სკოლაში მუშაობს პატარა „მუშკეტერების“ სექციები.

შარშან პირველად ჩატარდა ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის ტურნირი. მასში ასამდე ბავშვი მონაწილეობდა და არა მარტო თბილისელები, ჩამოვიდნენ სპორტსმენები ქუთაისიდან, ბათუმიდან, ზესტაფონიდან, რუსთავიდან. გამარჯვებულები სპეციალური მედლებითა და სიგელებით დააჯილდოვეს.

„მეც მიხარია, რომ ამდენი ბავშვი დავაინტერესეთ ფარეკაობით. მშობლებიც კმაყოფილი არიან, წარმატებებიც გვაქვს. გვყავს სხვადასხვა ასაკში საქართველოს პირველობისა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები. ანა აფრასიძემ ევროპის პირველობა მოიგო, ხოლო ნიკა შენგელიამ ბავშვების ოლიმპიადაზე მე-6 ადგილი დაიკავა. ვინ იცის, გაიზრდებიან და შეიძლება, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონებიც გახდნენ“.

ახლახან ბატონმა გივიმ რამდე-



მსოფლიო ჩემპიონები ვიტა ლანეს ზორის, ენგოთი, დეზოტენი 2014წ. 21 ოქტომბერი

ნიმე მეგობართან ერთად ერთი საინტერესო საკითხი წამოჭრა — **ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების შემდეგ სპორტის იმ სახეობებში, რომლებშიც ტარდება ვიტა-რანთა მსოფლიოს ჩემპიონატები, ჩატარდეს ხანდაზმულთა ოლიმპიადა.**

„შეჯიბრებები გაიმართება ოლიმპიური თამაშების შემდეგ იმავე ბაზებზე, ამიტომ ძვირი არ დაჯდება“, — ირწმუნებიან იდეის ავტორები.

ჩანაფიქრი საქართველოს ეროვ-

ნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის სამინისტროს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ თომას ბახსაც გააცნეს. იდეა ყველას მოეწონა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ საქმის მომზადებას დრო სჭირდება, შეიძლება წლებიც. „თუ მიზანს მივალნიეთ, საქართველო გახდება ვეტერანთა ოლიმპიადების სამშობლო“, — ამბობს ვეტერანი სპორტსმენი და იმედს გამოთქვამს, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს. წარმატებებს ვუსურვებთ მას.

დეა სვანიძე



ფიროსმანი მხატვრების თვალით



„იგი დიდი ხნის შემდეგ მოვიდა ჩვენთან, დავინწყების შემდეგ, გალატაკების შემდეგ, შიმშილის შემდეგ...“

ყველაფერი შემდეგ ხდება: აღიარება, დიდება, თანამედროვეთა მოგონება, მოგონება იმათი, ვინც თანამედროვე შემდეგ გახდა: სოფლელი ბიჭისთვის-თავში წამორტყმული მუჯღუგუნის შემდეგ, ღარიბი მხატვრისთვის სამადლოდ მიწოდებული ჭიქა ღვინის შემდეგ, სამიკიტნოდან ბაღში გადაგდებული დახეული ჭილოფის შემდეგ, როცა ისინი თავშესაფარს აძლევდნენ უსახლკარო ადამიანს...

ასე და ამრიგად, დიადი ღატაკი ხელახლა იწყებს ცხოვრებას გარდაცვალების შემდეგ.

ფიროსმანი! — ეს სახელი დრომ ამოიოხრა. დრო ოხრავს და ეს ოხვრა ამოსუნთქვასა ჰგავს. დროს არ ეხუთება სული, სული ჩვენ გვეხუთება — ბედნიერებს, რომ ფიროსმანის ქვეყნისანი ვართ, მისი მიმდევრები ვართ, მკვლევარები ვართ, მისი მაყურებლები და თავყვანისმცემლები ვართ.“

ვადიმ კოროსტილვის „მარტოობის დღესასწაულის“ მიხედვით



ფიროსმანის ძეგლი თბილისში, მოქანდაკე — ელგუჯა ავაშუკელი

ნიკო ფიროსმანი —
შალვა ქიქოძის
ჩანახატი



უცნობი მხატვრის
მიერ შესრულებული
ნახატი




„ფიროსმანი“ — გრიგოლ ჩირინაშვილი

„ფიროსმანი“ — გრიგოლ ჩირინაშვილი



„ფიროსმანი“ — თემურ სუსულუსია

ფიროსმანის ძებლი მირზანაში



ზიგმუნდ ვალიშვილი, ოღალისკა

„სიზმრები ფიროსმანზე“ — ვან გოგი





თბილისელი ოქრომჭედლის შემოქმედება

საქართველოში ძველი დროიდან განვითარებულ ხელოვნების მრავალ დარგს შორის ლითონის მხატვრულ დამუშავებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მას უძველესი დროიდან მისდევდნენ და დღემდე ფართო გამოყენება აქვს. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები ცნობილი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთაც. თავიდანვე საყოველთაოდ აღიარებული იყო და დიდ მონონებას იმსახურებდა შუა საუკუნეების ჭედური ხელოვნების ძეგლები. გასაყიდად გასატან საქონელთა შორის ქართული იარაღი, თავისი ვერცხლის შემკულობით, ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა, ხოლო ქართული ვერცხლის ჭურჭლით არა ერთი ქვეყნის სუფრა იყო დამშვენებული.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №11)

გიორგი ხანდამაშვილმა სახელოსნო გახსნა და კვლავ კერძო დაკვეთებზე მუშაობდა. ამ პერიოდში იგი ძირითადად მინანქრის სამკაულებსა და საათის მაჩვენებლებს ასრულებდა.

გიორგი ხანდამაშვილის შემოქმედება მეტად თავისებური და მრავალმხრივია. მის ნამუშევრებში, ერთი მხრით, აისახა თავისი ეპოქის მხატვრული ტენდენციები; ხოლო მეორე მხრით, გაგრძელდა წინა საუკუნეების ტრადიციები. კომბინატში მუშაობის დროს გამოვლინდა მისი სრული შესაძლებლობა, იგი წარმოგვიდგა, როგორც შემოქმედი ოსტატი თავისებური მხატვრული ალღოთი და შესრულების ბრწყინვალე ოსტატობით. ამ პერიოდში ასრულებს იგი მცირე ზომის დეკორატიულ ნივთებს: ლარნაკებს, ლანგრებს, ვაზებს, საპუდრეებსა და სხვ.

გ. ხანდამაშვილის ნამუშევრებში ვხვდებით ახალ თემას — სოციალისტური მშენებლობის თემას, სოციალისტური ქვეყნის მშენებლებს — მუშებს, გლეხებს, ნითელარმიელებს. მის ნაწარმოებთა უმეტესობა შესრულებულია ოქრომჭედლობის სხვადასხვა ტექნიკით. ჭედურით შესრულებული ნივთი ხშირად შემკულია გრეზილურით, სევადით, ზოგჯერ მინანქრითაც კი. ამიტომ ერთი

შეხედვით იგი თითქოს უცხოა ჩვენი ხელოვნებისთვის, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით და თვალს მივადევნებთ ნაწარმოების ორნამენტულ მხარეს, ადვილად შევამჩნევთ, რომ უცხო ორნამენტულ მოტივებთან ერთად, **გ. ხანდამაშვილს, ძირითადად, გამოყენებული აქვს ძველი ქართული ორნამენტი, რომელიც თავისებურად აქვს გადაამუშავებული, მაგრამ იმდენად თავისებურად, რომ მას პირდაპირი პარალელები არ მოეძებნება ძველი ქართული ოქრომჭედლობის ძეგლებში.** ისინი რომელიმე ძეგლიდან გადმოღებული ორნამენტის სრულ პირს არ წარმოადგენს, მაგრამ ორნამენტის ცალკეული მოტივის საერთო მონახაზი — ღეროების დინება, რომლებიც წრეებს ქმნიან, ამ წრეებში მოთავსებული ორნამენტის ცალკეული ელემენტების — ფოთლების, თვით ხვეულების, განშტოებების და ხაზების დამუშავება, მათი ნახატი — აახლოვებს მას გასული საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშებთან. მაგრამ თავისებურად გააზრებული და ერთდროულად სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული ეს ორნამენტი სხვაგვარადაა ამტყველებული გ. ხანდამაშვილის ნამუშევრებზე, რაც მის შემოქმედებას თავისებურ იერს უქმნის.



თომა ჯიქია: მამიდაზა დასაღვამელი სევადით შესრულებული პორტრატის დაქორატიული ჩარჩო

ფოთლოვან ორნამენტთან ერთად **გ. ხანდამაშვილი ხშირად იყენებს გეომეტრიულ ორნამენტსაც, რომელიც აღებული აქვს ქვის კვეთის ნიმუშებიდან.** არქიტექტურული ორნამენტის სხვადასხვა ვარიაციებს იძლევა იგი თავის ნამუშევრებზე. გ. ხანდამაშვილისეული გეომეტრიული ორნამენტის ბადისებური წნულები და ესისებური ორნამენტები უახლეს პარალელებს პოულობენ გ. ქართველიშვილის მიერ 1888 წელს გამოცემულ „ფეფხისტყაოსნის“ ფურცლების თავსა და ბოლოსართებში. ამ წიგნიდან იღებდა იგი ორნამენტულ წნულებს და გადაჰქონდა ლითონში. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი კარგად იცნობდა ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებასა და ოქრომჭედლობის ძეგლებს. **გ. ხანდამაშვილის მონაფის მიერ შესრულებული პატარა ვერცხლის ლანგარი, გიორგის ნახატით, წიგნიდან აღებული ორნამენტების თავისებური გადაამუშავების თვალნათელი ნიმუშია.**

სტილიზებულ ფოთლოვან ორნამენტში ოსტატი ხშირად ცხო-



ველთა გამოსახულებებსაც იძლევა. ცხოველები ისეა მოცემული, რომ მათი კუდი, თვით პოზაც, მეტად მოხრილი, ხშირად წაგრძელებული, ზოგჯერ წრესავით მოხაზული, ორნამენტის გაგრძელებას, მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იგი ორგანულადაა მასში ჩაქსოვილი და ერთ მთლიანობაში იკითხება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გ. ხანდამაშვილი თვითონვე ქმნიდა და ასრულებდა ყველა თავისი ნამუშევრის ნახატს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყალამთან და თეგთან ერთად, იგი საუკეთესოდ იყო დაუფლებული ფანქარსაც. მის მიერ ფანქარში შესრულებული ორნამენტები გრაფიკული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ოსტატი ორნამენტს, მისი ყოველი დეტალის მკაფიო და ზუსტ გამოსახვას, ამასვე უწერდა იგი თავის მონაფეხსაც.

1937 წელს გ. ხანდამაშვილის მიერ შესრულებული წყვილი პატარა ვერცხლის დეკორატიული ვაზა მიგვითითებს ოსტატის მხატვრული გადანყვებისა და ტექნიკური შესრულების მაღალ დონეზე.

ფიალას მსგავსი ზედა ნაწილი მილისებრი, გავარსით დამუშავებული, პატარა ფეხით დამაგრებულია ბრტყელ, წრიული ფორმის დასადგმელზე. ვაზები გარედან არის მხატვრულად დამუშავებული, შიდა პირი სადადაა დატოვებული. იგი სამ სარტყლადაა დაყოფილი, სარტყლების გამომყოფ ხაზებად გამოყენებულია გრეხილურის წნული, ზემოთ. კიდეში გავარსის ზოლი დაუყვება, რომელიც ასრულებს და კრავს კომპოზიციას. ყოველ ნაწილში ოსტატი იძლევა განსხვავებულ ორნამენტს, რომელიც ოქრომჭედლობის სხვადასხვა ტექნიკითაა შესრულებული. ზემოთ გრეხილურით. შემდეგ ყალმით დამუშავებული და მოსევადებული. რომელსაც ჭედური ორნამენტი მიჰყვება. რელიეფურ ნახატებს შორის გრაფიკულად დამუშავებული

ორნამენტის ნახატი ისე მკვეთრად არ იკითხება, როგორც რელიეფურ ორნამენტზე. ასეთი დამუშავებით ცხოველხატული ეფექტი შეაქვს ოსტატს. ხდება დაპირისპირება გლუვსა და რელიეფურ ნახატს შორის, ჩამუქებულ და ვერცხლის პოლირებულ ზედაპირს შორის. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს იგი ლოტოსის ფორმის მსგავსი აქცენტებით, რომლის ზედაპირსაც გრავირებული ნახატით ამკობს. ეს აქცენტები, ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილით დაშორებული, პირველ ორ ზოლს ერთმანეთთან აერთებს და ერთგვარად კრავს მთლიან კომპოზიციას. გრეხილურით შესრულებული ორნამენტის ყოველი ხაზი ნათლად იკითხება, არსად არ იგრძნობა მიკავშირების კვალი. რაც მისი ტექნიკური შესრულების მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს. მძივებივითაა დაწყობილი ყოველი წერტილი გრეხილურის ორნამენტზე. მიუხედავად იმისა, რომ ლოტოსის ფოთლის წვერი შეჭრილია ზოლში, ორნამენტის დინება არ არის შეწყვეტილი. მავთულები ისეა ჩალაგებული ფოთლის წვეროსთან, რომ ერთმანეთის გაგრძელების სრულ შთაბეჭდილებას ქმნიან. მაგრამ, ეს ზოლი მონაკვეთებად იყოფა, ამიტომ ორნამენტი განლაგებულია ისე, რომ ყოველ მონაკვეთზე ამოსავალ წერტილად ცენტრია მიჩნეული, რომლის ორივე მხარეს იშლება ნახატი. მიუხედავად ორნამენტის ამგვარი განაწილებისა, იგი მაინც უწყვეტი დინების შთაბეჭდილებას ტოვებს.

სხვაგვარადაა გადანყვებილი მომდევნო ზოლი, მისი ორნამენტი, რომელიც ევროპული და რუსული ორნამენტის თავისებურ გადამუშავებას წარმოადგენს, გრავირებითაა შესრულებული. აქ ლოტოსის ფოთლებს შორის მოთავსებულ პატარა მონაკვეთებზე ოსტატი ცალკეულ დასრულებულ კომპოზიციებს იძლევა გამილილი ყვავილის, ან ღეროების სტილიზებული ხლართის სახით. ცენტრიდან ორივე მხარეს იშლე-

ბანახატი. ჭედურით შესრულებული ორნამენტის ნახატი გეომეტრიული და სტილიზებული ფოთლოვანი ორნამენტის რიტმულ განმეორებას წარმოადგენს. ასევე დამუშავებული ფეხის დასაყრდენი ნაწილიც. აქ ოსტატი უკვე იყენებს ქართული ქვის კვეთის ნიმუშებს — ბადისებრ წნულს და ესისებრ ორნამენტს. მაგრამ ქვის ორნამენტმა მთლიანად გადატანის დროს დაკარგა თავისი გამომხატველობა. ერთგვარად მშრალი და სქემატური სახე მიიღო.

მთლიანი კომპოზიცია, ორნამენტის სახეობის შერჩევა და მისი ოქრომჭედლობის სხვადასხვა ტექნიკით დამუშავება ნათლად მეტყველებს ოსტატის მხატვრულ აზროვნებასა და გემოვნებაზე. დამუშავების სხვადასხვა ტექნიკა ისეა ორგანულად დაკავშირებული, რომ კომპოზიციის მთლიანობა არ არის დარღვეული. ერთიანი მაღალი ოსტატობითაა შესრულებული როგორც გრეხილური, ასევე სევადი და ჭედურობა.

გ. ხანდამაშვილი უბრუნდება ძველ ქართულ ორნამენტს და თავის შემოქმედებით შემოაქვს იგი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის, როცა ფართოდ იყო გავრცელებული უცხო — ევროპული, აღმოსავლური და რუსული ორნამენტებისადმი მიმბაძველობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საერთო მდგომარეობამ გ. ხანდამაშვილის შემოქმედებაშიც იჩინა თავი. როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართულ ორნამენტთან ერთად, იგი იძლევა ევროპული ორნამენტების თავისებურ ვარიაციებს. მაგრამ ეს ისეა ჩართული ქართულ ორნამენტებში, რომ არ იგრძნობა მათ შორის სხვაობა.

ამავე წელს ასრულებს გ. ხანდამაშვილი კიდევ ერთ პატარა დეკორატიულ ვაზას, რომელიც იმავე წელს ექსპონირებულია ხალხური შემოქმედების პირველ გამოფენაზე.

უნდა აღინიშნოს თავისებური გადანყვება საერთო კომპოზიციისა, რაც დამახასიათებელია გ. ხანდამაშვილის ყველა ნამუშევ-



რისათვის. ნივთის ზედაპირის ორნამენტით შემკობის დროს, იქნება ეს ჭედურით დამუშავებული, თუ ყალბით ამოკვეთილი, სევა-დით ან მინანქრით შემკული და რაც მთავარია, მთლიანად ფარავს ზედაპირს ორნამენტით თუ მის ზედაპირს რეგისტრებად ჰყოფს. ორნამენტის დინება, მისი ნახატი მთლიანობაშია გადაწყვეტილი. ზოლებად დაყოფილი საგნის ორნამენტი არასოდეს არის ერთმანეთისგან გამოთიშული, ისინი ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს. აქაც ვაზის ზედაპირს გ. ხანდამაშვილი მისთვის დამახასიათებელი კომპოზიციური აგებით წყვეტს. განიერი სადა ზოლი, რომელიც ქვედა და შუა რეგისტრებს ჰყოფს ერთმანეთისაგან, კიდევში ვინრო ღეროებით იფარგლება.

რელიეფური ორნამენტი, რომელითაცაა დაფარული საგნის ზედაპირი, უფრო სწორად მისი დეტალების ნახატი და მათი დამუშავება (ფოთლის ფორმა, მისი გადაკეცილი ნაპირები, ცალკეული ხვეულები) ახლოს დგას შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლთა ორნამენტის ნახატთან, მაგრამ იმდენად თავისებურადაა გადამუშავებული ფოთლის ნახატი და მათი ერთმანეთთან დაკავშირება, რომ შეუძლებელია მოვუძებნოთ მას

მსგავსი პარალელები. ამ კომპოზიციის იყურადღებებს იპყრობს ბრტყელი (გრაფირებით შესრულებული ლოტოსის ფორმის მახვილების ორნამენტის) და რელიეფით დამუშავებული ორნამენტის კონტრასტები, რაც კომპოზიციას დინამიკურობას ანიჭებს.

ფოთლოვან ორნამენტში ცხოველთა გამოსახულებების ჩართვა სულ სხვა ეპოქის ძეგლებთან აკავშირებს ამ ნამუშევარს. მსგავსი ორნამენტული დეკორი გვხვდება XVIII – XIX სს. ვერცხლის ქართული საყოფაცხოვრებო ჭურჭლის თითქმის ყველა შემკულობაში. გ. ხანდამაშვილი იყენებს ამ ორნამენტს და მისთვის ჩვეული თავისებური გააზრებით იძლევა მას, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ორნამენტის ნახატი, ასევე ცხოველთა გამოსახულებებიც და მათი ტექნიკური შესრულებაც გაცილებით მაღლა დგას, უფრო პროფესიონალურია, ვიდრე გასული საუკუნის ზოგიერთი ნამუშევარი.

ცხოველური ორნამენტი გამოყენებული აქვს ოსტატს ლურჯი მინანქრით შესრულებულ ვერცხლის საპუდრეზე.

1939 წელს მას შესრულებული აქვს ორი ვერცხლის ლანგარი.


ერთი ლანგარი მთლიანად ჭედურითაა შესრულებული, მეორეზე ოსტატი კვლავ შერეულ ტექ-

ნიკას ხმარობს. ცენტრალური ნაწილი მოჭედულია, ხოლო ჩარჩო და მისი დაფერებული ზოლი გრეხილურითა და გრაფირებით არის შესრულებული. ორივე ლანგრისათვის გამოყენებულია შუა საუკუნეების ქართული ორნამენტი, რომელშიაც (პირველ ლანგარზე) ჩაქსოვილა ადამიანის თავები და ფარშევანგების გამოსახულებები ოსტატი იძლევა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლების — გლეხი ქალისა და მამაკაცის, ნითელარმიელის მუშის, ინტელიგენციის წარმომადგენლების გამოსახულებებს. ისინი ჩანერილია ფოთლოვანი ორნამენტის ღეროებით მოხაზულ წრეებში.

როგორც უკვე არაერთგზის იყო აღნიშნული, გ. ხანდამაშვილის ნამუშევრებს ახასიათებს შესრულების მაღალი დონე, ოქრომჭედლობის ტექნოლოგიის ღრმა ცოდნა, ოსტატის გამოცდილი და განაფული ხელი.

რაიმე კანონზომიერება ორნამენტული მოტივების შექმნის დროს, რომ გარკვეულ პერიოდში ოსტატი გატაცებული იყო ქართული ან დასავლური, ან აღმოსავლური ორნამენტებით და ასრულებდა ნახატს მათი მიმბაძველობით, არ შეინიშნება.

1951 წ. გ. ხანდამაშვილი იწყებს დიდი ზომის ვერცხლის ვაზას, რომელიც მისი უკანასკნელი ნამუშევარია და რომლის დამთავრებაც ვეღარ მოასწრო. დამუშავებულია იგი მხოლოდ ჭედურობით. ვაზას ქართული ქოთნის მოყვანილობა აქვს. ზემოთ ნაწილში განიერია, ქვემოთ კი ვიწროვდება. მისი ზედაპირი გ. ხანდამაშვილისათვის ჩვეული კომპოზიციური გადაწყვეტითაა შესრულებული. ზედაპირი რეგისტრებადაა დაყოფილი. მოცემულია დეკორატიული მახვილები, ერთიმეორისაგან თანაბარი მანძილებით დაშორებული. გამოყენებულია სტილიზებული ფოთლოვანი ორნამენტი. განხილული ნამუშევრებისაგან განსხვავებით, ორნამენტი პუნსონირებულ ფონზეა მოთავსებული, რაც არ არის დამახასიათებელი გ.



თომა ჯიქიას ხის ორი ჭინჭილა, შამკულია სავადით და გრეხილავით დამუშავებული საპაუდრეები. 1949 წ.



ხანდამაშვილის ნამუშევრებისათვის. იგი ნახატს ყოველთვის სადა ფონზე იძლევა.

ვაზის მთავარი მხატვრული და შინაარსობრივი მახვილია საქართველოს გერბი, ოქროზე მინანქრით შესრულებული. იგი ზემოდანაა მიმაგრებული ჭედურით შესრულებულ ფონზე, ამიტომ ორგანულად არ არის ჩართული ვაზის საერთო კომპოზიციაში, ისე, როგორც ეს ზემოთ განხილულ ნამუშევრებზეა მოცემული და დამახასიათებელია გ. ხანდამაშვილის კომპოზიციური გადანწყვისათვის. გერბი მკვეთრად გამოიყოფა თავისი კოლორიტითაც (ინტენსიური ოქროს ფერი, მინანქრის წითელი, თეთრი და მომწვანო-მორუხო ტონები) ფონის ვერცხლის ფერისგან. ჭედურობით შესრულებული ორნამენტის ნახატი არ მეორდება. ფოთლოვანი ორნამენტის სხვადასხვა სახეობაა მოცემული.

გიორგი ხანდამაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება მისთვის საყვარელ საქმეს — ოქრომჭედლობას — მოაწოდო. მან სამართლიანად დაიმსახურა გამოჩენილი ოქრომჭედლის სახელი. მას მრავალი სიგელი და სახელმწიფო ჯილდო აქვს მიღებული, მონაწილეა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური, საკავშირო და საზღვარგარეთ მონყობილი თითქმის ყველა გამოფენისა, რომელზეც ყოველთვის დიდ ინტერესსა და მონონებას იმსახურებდა. მის მიერ რამდენიმე ათეული ნივთია, შესრულებული. რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო და საზღვარგარეთ მონყობილ გამოფენებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1937 წელს პარიზში გამართული საერთაშორისო გამოფენა. როგორც საბჭოთა, ასევე საზღვარგარეთის პრესაში აღნიშნული იყო ქართველ ოქრომჭედელთა მაღალი მხატვრული გამოგონება და შესრულების ბრწყინვალე ოსტატობა. ალტაცეხაში მოჰყავდა მაცურებელი გ. ხანდამაშვილის მიერ შესრულებულ ნამუშევრებს, მისი ნატიფი

და მოხდენილი ორნამენტის ვირტუოზულ შესრულებას.

გ. ხანდამაშვილი ხშირად მუშაობდა თომა და ამბროსი ჯიქიებთან ერთად. მათ მიერ შესრულებულ ნამუშევრებში ყოველთვის იგრძნობა მხატვრული გააზრების ერთიანობა და ერთნაირი შესრულების ოსტატობა. გიორგი ჭედურით ამუშავებდა საგანს, თომა და ამბროსი კი გრეხილურით ამკობდნენ მას.

თომა და ამბროსი ჯიქიების შემოქმედებაში მთელი სიძლიერით ვლინდება ქართული ოქრომჭედლობის ძველი ტრადიციები (გრეხილურს ყოველთვის სარჩულზე ასრულებდნენ). ისინი ხშირად იყენებენ ძველი სასმისის ფორმას და მისი შემკულობის კომპოზიციურ გადანწყვლას. თომა იყენებს ძველ ქართულ ჭედურ ორნამენტს და მის მიხედვით ქმნის ახალ ნახატს, ამის ნათელი დადასტურებაა გ. ხანდამაშვილთან ერთად შესრულებული ლანგარი. აქ მას ჩარჩოს შესამკობად გამოყენებული აქვს სტილიზებული ფოთლოვანი ორნამენტის მოტივი, მაგრამ გრეხილურით შესრულებული ეს მოტივი სულ სხვაგვარადაა ამეცყველებული პინაკზე. გრეხილურის სპეციფიკიდან გამომდინარე იგი უფრო გამარტივებულია, უფრო გრაფიკულია. მიუხედავად იმისა, რომ იგი სარჩულზეა განლაგებული, აყურულის შთაბეჭდილებას ტოვებს და ნახატი სიღრმით აღიქმება. აქ აღარ არის ის გადასვლები, რაც რელიეფურ ნახატს ახასიათებს, ფოთლის რელიეფიდან ფონისაკენ, რელიეფური ნახატის ზედაპირის განსხვავებული რელიეფურობით დამუშავება, რაც ცხოველხატულ ელფერს უქმნის ორნამენტს. მიუხედავად იმისა, რომ ორნამენტის ნახატი ერთი მოტივის რიტმულ განმეორებას წარმოადგენს, მოსაწყენი არ არის. ნახატი ნათლად იკითხება. იმდენად მაღალი ოსტატობითაა იგი შესრულებული, რომ ერთი მთლიანი მავთულისაგან შემდგარი ნახატის შთაბეჭდილებას ქმნის. ხაზები ბუნებრივად გადადის ერთიმეორეში. არ იგრძნობა, რომ თითოეული პა-

ტარა დეტალი ცალკეა შესრულებული და შემდეგ არის ერთმანეთთან მიკავშირებული. ოსტატი კარგად უფარდებს ორნამენტის ნახატს საგნის ფორმას. ასევე მოხდენილადაა შეფარდებული ფორმასთან სათუთუნის გვერდებზე დაყოლებული ორნამენტი; თომა ჯიქიას შესრულებულ ნამუშევართა შორის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ვერცხლით შემკული ხანჯალი (ექსპონირებული პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე 1937 წ.), რომელმაც დიდი მონონება დაიმსახურა.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ 1949 წელს თომას მიერ შესრულებული ქართული ღვინის ჭურჭლის ერთი ჯგუფი, რომელიც როგორც შესრულებით, ასევე მხატვრული გადანწყვითა და ღირებულებით ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ოსტატს გამოყენებული აქვს ქართული ტრადიციული სასმისების ფორმა — კულა, ხრიკა, ჭინჭილა. ხის ორი ჭინჭილა შემკულია სევადით და გრეხილურით დამუშავებული სამკაულებით. აქ კარგადაა შერწყმული სევადისა და გრეხილურის ტექნიკა და კარგადაა ერთმანეთთან შეფარდებული მათი ნახატი. ვერცხლით შემკულია ყელი, სახელური და ქვედა ნაწილი.

მუცლის არეზე ზოლებად დაყოლებული ვერცხლის სამკაული აერთებს და კრავს კომპოზიციას. ყელზე, სადაც ერთმანეთს ენაცვლება გრეხილურითა და სევადით შესრულებული დიაგონალურად განლაგებული უბრალო გეომეტრიული ორნამენტი, მოძრაობის სრულშთაბეჭდილებას იძლევა. ცხოველხატული ელფერი შეაქვს ხის ფერსაც, რომელზეც ნათლად იკითხება სევადის შავი და ვერცხლის ფერები. სხვაგვარადაა დამუშავებული მეორე ჭინჭილა. სამაგიეროდ, მუცლის არეზე გაცილებით დიდი ზომის ცალკეულ მახვილებს იძლევა აპლიკაციების სახით. ასეთი განსხვავებული კომპოზიციური გადანწყვლა გვიჩვენებს, რომ თომა ჯიქია კარგად გრძნობს საგნის ფორმას, მის პროპორციებს.

ასეთივეა ძმების საერთო ნაშრომი — ხის კულა (ვერცხლის შემკულობით), ვერცხლის ხრიკა და აზარფემა. კულა სიგრძით 25 სმ-ია, სახელურის სიგრძე — 15 სმ, მუცლის დიამეტრიც — 9 სმ. ინახება მოსკოვის აღმოსავლეთის კულტურის მუზეუმში, ინვ. 1? 3930 III, 8162 კნ. აქაც განმეორებულია ძველი ტრადიციული ღვინის სასმისებისა და ჭურჭლის ფორმა. რომლებიც თავიანთი მხატვრული ღირებულებითა და შესრულებით არ ჩამოუვარდებიან გასული საუკუნის საუკეთესო ნიმუშებს.

კულა მოხდენილ სამ ფეხზე დგას, რომელიც გრეხილურითაა დამუშავებული. სევადი და გრეხილური ერთმანეთს ავსებენ და ერთიან ნახატს ქმნიან, რომელიც მაქმანის შთაბეჭდილებას იძლევა წინაპირზე. გვერდებზე ხაზებად განლაგებული რომბისა და სამყურა ფოთლის ფორმის, ერთმანეთზე გადაბმული სამკაულები აერთებენ ბოლოში მოთავსებულ მრავალყურა ყვავილს წინაპირთან. გრეხილური ისეა ჩართული სევადით შესრულებულ ცალკეულ ელემენტებთან, რომ არ იგრძნობა მათი ტექნიკური შესრულების სხვადასხვაობა. კულის ხის ზედაპირზე მოთავსებული მთელი შემკულობა, ერთ მთლიანობაში აღიქმება. ხის ფონი გარკვეულ როლს თამაშობს საერთო ფერთა გამაში.

1950 წელს თომა თავის მოწაფე ტ. ციხისელთან ერთად ასრულებს პატარა ვერცხლის დეკორატიულ სურას. ორნამენტის ნახატი კარგად ესადაგება ჭურჭლის ფორმას.

ორნამენტი მიჰყვება მას და ხაზს უსვამს ფორმის სილამაზეს. მთელი სურა ვერცხლის მავთულით შესრულებული მაქმანის შთაბეჭდილებას ქმნის. მუცლის არეზე დაყოლებულია მედალიონები. აქ არის მონაცვლეობა გრეხილურით შესრულებული გრაფიკული ნახატისა და სევადით გამოცემული ოთხყურა ყვავილების, რომლებიც ხან შავ ფონზეა მოცემული, ხან თეთრ ფონზეა შავი კონტურებით მოხაზული. ამ

მედალიონებს ცხოველხატული ელფერი შეაქვს სურას მხატვრულ გაფორმებაში. ყელზე დიაგონალურად განლაგებული გრეხილურის ორნამენტი მოძრავი სპირალის შთაბეჭდილებას ქმნის და დინამიურს ხდის მთელ კომპოზიციას. ყოველი ცალკეული სეგმენტით ხაზგასმულია სურას ფორმა.

მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ მათ ნამუშევარს ფორმის მხრივ აკლია დახვეწილობა. ასეთია მაგიდაზე დასადგმელი შოთა რუსთაველის სევადით შესრულებული პორტრეტის დეკორატიული ვერცხლის ჩარჩო. ჩარჩო ოსტატს ჩაფიქრებული აქვს, როგორც ჩანგის ფორმა. მაგრამ პროპორციები არ არის დაცული. ქვედა ნაწილი ზედმეტადაა გაგანიერებული და დამძიმებული.

მაგრამ იმაზე, რომ შესამკობ ფორმას კარგად გრძნობს ოსტატი, მეტყველებს გრეხილური ორნამენტის განლაგება ზედაპირზე, თუ როგორ მიჰყვება ორნამენტის ნახატი ჩარჩოს ფორმას, განიერი ზოლი, ფორმის მიხედვით, თანდათან ვიწროვდება და ტალღისებურ გადასვლას იძლევა.

ამბროსი ჯიქიას ნამუშევრებს შორისაც ვხვდებით ისეთ ნივთებს, რომელთა მხატვრულ გადანყვეტაში იგრძნობა უცხო ხელოვნების გავლენა. ასეთებია: გრეხილურით შესრულებული ვერცხლის ლარნაკი, რომელსაც ბაროკოლური გადანყვეტა აქვს და ორნამენტის ნახატიც ევროპული ორნამენტის თავისებურ სტილიზაციას წარმოადგენს; ყანწის, რომლის სევადის შემკულობაში გამოყენებულია დაღესტნური ორნამენტის ელემენტები.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, გ. ხანდამაშვილისა და ძმები ჯიქიების ნამუშევრებში ზოგჯერ გარკვეული ხარვეზები აღინიშნება, ზოგჯერ ფორმას აკლია დახვეწილობა, ზოგჯერ უცხო მხატვრული გადანყვეტა და ორნამენტული მოტივები იჩენს თავს. მიუხედავად ამისა, მათში ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართულ მხატვრულ ტრადიციებს. ეს

ვლინდება უპირველესად ძველი ქართული ორნამენტის გამოყენებაში. იმაში, რომ ყოველთვის ერთ მასალას იყენებენ. ძირითადად ვერცხლს. ლითონს იძლევიან ერთ ტონალობაში. ნივთი ან მთლიანადაა მოოქრული ან ვერცხლისფრადაა დატოვებული.

მაშინაც კი, როდესაც ერთდროულად ოქრომჭედლობის სხვადასხვა ტექნიკით ამუშავებენ ნივთს, სიმჭიდროვისა და გადატვირთულობის შთაბეჭდილება მაინც არ იქმნება, რაც მიღწეულია სადა და დახვეწილი კომპოზიციური აღნაგობით. ყველგან იგრძნობა ფონი, ორნამენტი მასზე თავისუფლადაა გამლელი. ეს არის ყველა ის თვისება, რაც ქართულ ოქრომჭედლობას ახასიათებს. უფრო მეტიც, ისინი თბილისური ოქრომჭედლობის ტრადიციების გამგრძელებლადაც გვევლინებიან. თბილისელი ოსტატების გრეხილური მრავალფეროვანია ორნამენტული დეტალების გამოყენებით. ნივთებზე ცხოველხატული შთაბეჭდილება მიღწეულია გრეხილურ ორნამენტში სევადით დამუშავებული დეკორატიული ელემენტების ჩართვით. ზუგდიდელი ოსტატებისაგან განსხვავებით, თბილისელი ხელოსნები გრეხილურით შესრულებულ ნივთს თუ სამკაულს ოქროში არასოდეს არ ფერავდნენ, ხოლო ახალციხელი ხელოსნებისაგან განსხვავებით, გრეხილურს ყოველთვის სარჩულზე ასრულებდნენ.

ამრიგად, გ. ხანდამაშვილისა და ძმები ჯიქიების შემოქმედებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ უცხო გავლენები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში მეტ-ნაკლებად იჩენდნენ თავს და გავლენას ახდენდნენ ქართულ შემოქმედებასა და მის განვითარებაზე, ვერ ჩრდილავდნენ ქართული ხელოვნების სპეციფიკურ ეროვნულ თვისებებს.

გიორგი ხანდამაშვილმა, თომა და ამბროსი ჯიქიებმა თავიანთი შემოქმედებით მოგვცეს ნამდვილად ხალხური, ქართულ ნიადაგზე შექმნილი ნაწარმოებები.

რუსუდან ყენია

ყველაფერი შამპანურის შესახებ

შამპანური ცქრიალა ღვინოა, რომელიც იქმნება ბოთლში ღვინის მეორეული ფერმენტაციით კარბონაციის ეფექტის მისაღებად. ღვინოს საფრანგეთის პროვინცია შამპანის სახელი ჰქვია, მაგრამ, უკვე დიდი ხანია, შამპანურს, ზოგადად, შუშხუნა ღვინოს უწოდებენ. თუმცა ღვინის ენთუზიასტები დღემდე იბრძვიან, დაამკვიდრონ, რომ ეს მხოლოდ იმ ღვინის სახელია, რომელიც შამპანის რეგიონში მოყვანილი ყურძნისგან მზადდება. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შამპანის რეგიონს გარეთ წარმოებული ცქრიალა ღვინის მარკეტინგი, სახელწოდებით „შამპანური“, არალეგალურია.

საფრანგეთის პროვინცია შამპანში მდებარე ბენედიქტის მონასტრის ოტვილიერის სააბატოს ისტორიის მანძილზე იქ მხოლოდ ერთხელ არ აღსრულდა ცისკრის ლოცვა. ეს მოხდა ადრეული შემოდგომის დილას, 1668 წელს, როცა მონასტრის მევენახე პიერ პერინიონმა აბატს გასასინჯად მის მიერ მომზადებული სასმელი მიართვა.

მღვდელმა ჯერ ერთი ბოკალი სასმელი დალია, შემდეგ — მეორე, მესამე... იმ დღეს იგი თავისი სულიერი ძმების წინაშე არ წარმდგარა.

ბერი ამავე სააბატოში ხაზინადარად მუშაობდა. მის საქმიანობაში შედიოდა ღვინის წარმოებაზე თვალყურის დევნება. **სწორედ 1688 წელი ითვლება შამპანურის დაბადების წლად.** პიერ პერინიონი დახვეწილი გემოვნებითა და არაჩვეულებრივი მეხსიერებით გამოირჩეოდა. მას ყურძნის ერთი მარცვლითაც შეეძლო არა მხოლოდ მისი ჯიშის, არამედ ყურძნის მომწიფების ადგილის გამოცნობაც. ყურძნის გემოთი შეეძლო მისგან დამზადებული ღვინის ხარისხის წინასწარმეტყველებაც.

1729 წელს გაიხსნა შამპანურის მწარმოებელი პირველი ფირმა, რომელსაც „რუინარი“ ეწოდებოდა. შამპანის პროვინციაში მევენახეობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. XVII საუკუნემდე აქ, ჩვეულებრივ, ოდნავ გაზირებული წითელ ღვინოს ამზადებდ-

ნენ. მას ხილის გემო ჰქონდა და მსუბუქი, სასიამოვნო დასალევი იყო. მაგრამ ასეთ ღვინოს ერთი არასასიამოვნო თვისება ჰქონდა — იგი მეორედ დუღებოდა, რის გამოც კასრები ხშირად ფეთქებოდა. დანაკარგი ორმაგი იყო. ამ თვისების გამო შამპანის ღვინოს „ემმაკების სასმელს“ ეძახდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, ქაფიანმა ღვინომ პოპულარობა სწრაფად მოიხვეჭა. იმის გამო, რომ მისი საიდუმლო ამოცნობას დიდი ხნის მანძილზე ვერავინ ახერხებდა, თავიდან შამპანური, პროვინციის ცნობილ ღვინოებთან შედარებით, ძვირი ღირდა.

დროთა განმავლობაში პიერ პერინიონის საიდუმლო ამოიხსნა, ხოლო შამპანის დედაქალაქი რეიმსი ახალი, ყველასგან განსხვავებული ღვინის — შამპანურის წარმოების ცენტრად იქცა.

ყველაზე დიდი წარმატება ნილად **მადამ კლიკოს** (ქალიშვილობაში ნიკოლ ბარბი) ხვდა. ოცი წლის ასაკში ნიკოლი წარმატებულ ვაჭარსა და შამპანურის მწარმოებელს — ფრანსუა კლიკოს გაჰყვა ცოლად. 1805 წელს ფრანსუა დაავადდა და მალე ციებ-ცხელებით გარდაიცვალა. ქმრისგან მემკვიდრეობით ნიკოლმა საგვარეულო ციხესიმაგრე, ვენახი და ცარცის მთაზე 24 კილომეტრზე გადაჭიმული სარდაფები მიიღო.

ახალგაზრდა ქალბატონმა გადანყვიტა, გარდაცვლილი მეუღ-

ლის საქმე გაეგრძელებინა, მან დააარსა კომპანია „კლიკოს ქვრივი“ და კრისტალურად სუფთა ღვინის საწარმოებად მანვე გამოიგონა **რემუაჟის მეთოდი**. ბოთლებს თავდაყირა დგამდნენ და ასე აბრუნებდნენ, რათა ნარჩენები თავსახურთან დაგროვილიყო. შემდეგ სასმელს ყინავდნენ და თავსახურს ხდიდნენ, მასთან ერთად სითხე ნარჩენებისგანაც თავისუფლდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენდნენ მის ხელმეორედ შეფუთვას.

კლიკოს ქვრივის მიერ ამ მეთოდის მოფიქრებამდე, ღვინოს ერთი ბოთლიდან მეორეში გადასხმით ასუფთავებდნენ, შედეგად შუშხუნა თავის საუცხოო ძალას კარგავდა. ამასთან, 1850 წლამდე ყველა შამპანური ღვინო საკმაოდ ტკბილი იყო, რადგან მასში ლიქიორს ამატებდნენ. 1860 წლიდან ზოგიერთმა ფირმამ ამ სასმელის მშრალი შამპანურის მარკით წარმოება დაიწყო.

ჩვენს დროში შამპანურის რეპუტაციას იცავს დიდებული მარკების სინდიკატი, რომელშიც ისტორიულად 28 საუკეთესო სახლი — შამპანურის მსოფლიო მწარმოებელი შედის. შამპანურის მწარმოებლები რამდენიმე წესის დაცვას გვირჩევენ: მხოლოდ კრისტალურ, მაღალი კლასიფიკაციის ღვინოს და აუცილებლად შამპანში წარმოებულს შეიძლება ეწოდოს შამპანური, სხვა დანარჩენი კი, უბრალოდ, კრისტალური ან შუშხუნა ღვინოა. ქაფიან ღვინოს ბნელ ადგილას +5 +15 გრადუს ტემპერატურაზე ინახავენ.

საქვეყნოდ ცნობილ ფრანგულ ღვინოთა შორის შამპანური ყველაზე ახალგაზრდაა. მისი წარმოების ტექნოლოგია სრულყოფას თვით შამპანშიც კი განაგრძობს.

მართალია, ამ სასმელის დიდებას პერინიონის სახლს მიანერენ, მაგრამ ფაქტია, რომ შამპანურის



ნარმოების მრავალ ტექნოლოგიურ სტადიათაგან თითოეულის სრულყოფაზე მეღვინეთა არაერთი თაობა იღვწოდა.

ბურგუნდიელები საკუთარ ღვინოთა „ექსკლუზივად“ არაჩვეულებრივ თაიგულს მიიჩნევენ, ბორდოელები — გემოს და სტრუქტურას, შამპანელები კი უპირატესობად სასმელის შემდგომ გემოს ასახელებენ.

წნეხის ქვეშ მთელი მტევნების მოთავსების პრაქტიკას შამპანში ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. მკაცრი შეზღუდვა ტონა ყურძნისგან მიღებული წვენი რაოდენობაზე, ტრადიციული წნეხის ფორმა, ზომა და მისი რბილი, სათუთი გამოყენება ჯერ კიდევ პირველი სამეცნიერო ანალიზების ჩატარებამდე დადგინდა.

თემა „მუხა თუ ფოლადი“ კვლავაც ინარჩუნებს სიმწვავეს, თუმცა ბოლო დროს მუხის კასრების თაყვანისმცემელთა რიგები საგრძნობლად შეთხელდა. მეღვინეთა უმეტესობა კასრში მიმდინარე ფერმენტაციას ექვით უყურებს. კასრში მიმდინარე ფერმენტაცია ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია, რომელიც ასევე ითვალისწინებს ვაშლმწვავა-რძემწვაული ფერმენტაციის დაწყების შესაძლებლობასაც. გამოყენებული კასრები ძალიან ძველია, ამიტომ ღვინო არ იღებს მუხის არომატს და არც უფრო ძლიერად მჟავიანდება. ყველაზე არსებითი განსხვავება მუხისა და ფოლადის ჭურჭელში მიმდინარე ფერმენტაციას შორის არის



ის, რომ კასრში გაცილებით რთული ტემპერატურული კონტროლის განხორციელება, ამიტომ ყოველთვის რჩება ოპტიმალური ნიშნულის — 18-20 გრადუსის გადაჭარბების საშიშროება.

რემუაჟი (ბოთლის თანდათანობით გადმობრუნება მღვრიე ნაწილაკების დასალექად) შამპანურის შექმნის პროცესში ტრადიციულად ყველაზე რთული ეტაპი იყო. ჯერ კიდევ 30 წლის წინათ შამპანურის ერთ-ერთ მსხვილ სახლ Lanson-ში რემუაჟისტებს დღეში

არანაკლებ 10 ათასი ბოთლი უნდა გადმოებრუნებინათ. ალბათ, გასაკვირი არც არის, რომ ამ დახვეწილი და უგემრიელესი, ოქროსფერი შუშხუნა სითხის მიღება ძალიან რთული, ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია.

შამპანურისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყურძნის შაქრიანობას, მჟავიანობას, თანაც სხვადასხვა ჯიშის სხვადასხვა დროს მნიშვნელობა, უფრო მეტიც — ერთი იმავე ჯიშის ყურძენიც კი ვენახის სხვადასხვა ნაკვეთში განსხვავებულ დროსაა მოსაკრეფად მზად. მსხვილ ნარმოებებში სპეციალურ შაქრიანობის საზომ აპარატებს იყენებენ, მცირე და საოჯახო ვენახებში ყველაფერი მევე-


ნახის ოსტატობაზეა დამოკიდებული, მისი შეცდომა მთელი წლის მოსავალს გააფუჭებს.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ამინდს. თუ ახალი ნაწვიმარია, წვენი მარცვლებში განზავებული იქნება. თუ ზედმეტად მზიან ამინდში გვიან დაიწყებენ კრეფას, მზე მოასწრებს მარცვლების გათბობას და წვენი დუღილი მათი გაჭყლეტისთანავე დაიწყება.

როდესაც, ბოლოსდაბოლოს, ყურძნის კრეფა გადაწყდება, რთველში ყველა ერთგება — ყურძენი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიკრიფოს. მტევნები იქვე ირჩევა, დაუმეველია დაზიანებულ-დაჭყლეტილი მტევნების შერევა. **შამპანურისთვის ყურძენი მხოლოდ ხელით იკრიფება.** მტევნებს ფრთხილად აწყობენ ტირიფის კალათებში. გზა, რომელზეც შემდეგ ამ კალათებს ურმით წაიღებენ, მაქსიმალურად სწორი უნდა იყოს.

ღვინის სახარში მიტანილ ყურძენს აპირქვავებენ სპეციალურ დიდ ავზში და დამარცვლის გარეშე ჭყლეტენ. ავზი, პრესი და ყველაფერი, რაც ყურძენს ეხება, მუხისგანაა დამზადებული.

თავდაპირველად წნეხს მცირე ძალით ამუშავებენ, რათა მხოლოდ ძალიან მწიფე მარცვლები დასკდეს, დანარჩენი კი ხელუხლებლად დარჩეს. ამ პირველ წვენს ცალკე აგროვებენ და მისგან ამზადებენ „კიუვეს“. საკმაოდ რთულია ისეთი ბოთლის ყიდვა,





რომელსაც ეტიკეტზე „კიუვე“ ექნება მითითებული, რადგან მისი წარმოება ძალიან შეზღუდულია.

შემდეგ წნეხის დაწოლა იზრდება რამდენჯერმე, ეტაპობრივად. პირველად გამოწურული სითხე ყველაზე ხარისხიანია, ყოველ შემდეგ ეტაპზე ხარისხი იკლებს.

ავზებში მოკავებულ წველებს დასალებად ერთი დღე-ღამე აჩერებენ. მაგრამ ამ დროში სითხემ შეიძლება უკვე დაიწყოს დუღილი და ეს დალექილი ნაწილაკები ისევ აამღვრიოს. ამ ფორიასის თავიდან ასაცილებლად ავზს წინასწარ ხრჩოლავენ გოგირდით, რომელიც ანეიტრალებს დუღილის გამომწვევ ველური ღვინის საფუარას და ხელს უშლის მათ გამრავლებას.

დანდომისა და ფილტრაციის შემდეგ სითხე უკვე გადააქვთ სახარშავებში, რომელიც მოთავსებულია სპეციალურ, კონდიციონერებად გამოქვაბულებსა და გვირაბებში. ავზებს მხოლოდ 50-70%-ით ავსებენ.

შემდეგ ავზებში თანდათან უმატებენ ნატურალური ყურძნის სხვადასხვა საფუარებს, რომელთა გამოყვანა და დოზირება უკვე კონკრეტული ბრენდის საიდუმლოებაა. სწორედ ისინი ანიჭებენ

შამპანურს უნიკალურ თვისებებს. რაც უფრო დაბალ ტემპერატურაზე დულს დამატებული საფუარები, მით უფრო ხარისხიანი გამოვა შამპანური.

როდესაც ღვინოში ალკოჰოლის რაოდენობა 10% მიაღწევს, აქტიური დუღილი წყდება. შემდეგ ავზებს ბოლომდე ავსებენ იმავე ღვინით და გრძელდება ჩუმი დუღილი მანამ, სანამ საფუარები შაქარს „შეჭამენ“ 1 გრ/ლ-მდე. მთელი პროცესი 3-4 თვეს გრძელდება.

ამის შემდეგ ღვინოს საფუარიდან „ხსნიან“ და ურევენ ყურძნის სხვადასხვა ჯიშისა და დაძველების ღვინოს. ამ პროცესს ასამბლიაჟს ეძახიან და ისიც, რასაკვირველია, ფირმის საიდუმლოებაა.

ყოველი წარმოება თვითონ წყვეტს, როგორ შეურიოს ახალგაზრდა და დაძველებული ღვინოები. ფრანგი მეღვინეები თვლიან, რომ ძველი ღვინოს შემცველობა 60% მაინც უნდა იყოს. რუსი მეღვინეები კი ფიქრობენ, რომ შამპანური ახალგაზრდა და მსუბუქი უნდა იყოს, ამიტომ დაძველებული ღვინის რაოდენობა მასში 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

სპეციალურ პიუპიტრებზე მოთავსებულ ბოთლებს ათავსებენ

სარდაფებში 10-14 გრადუსზე. იქ უკვე მიმდინარეობს მეორადი დუღილი. 6 თვის განმავლობაში ბოთლებს ყოველ დღე ატრიალებენ და უცვლიან დახრის კუთხეს. წნევა ბოთლებში აღწევს 5-6 ატმოსფეროს.

ისევ დგება მნიშვნელოვანი მომენტი – საცობზე დაგროვილი ობის (საფუარის) ნალექის მოშორება. ამისათვის ბოთლებს აციებენ -30 გრადუსამდე. ნალექი გადაიქცევა ყინულად, მცირე ბიძგით საცობი ძვრება და ყინულის ნატეხი ამოვარდება. ბოთლს ისევ ავსებენ შამპანურით, საცობს ახურავენ და 5-7 წლით „ასვენებენ“.

მირთმევის წინ შამპანური უნდა გავაგრილოთ 9-12 გრადუსამდე. ზედმეტი გადაციება მას არომატსა და გემოს უკარგავს.

შამპანურის ბოკლებიც წინასწარ უნდა შევაგრილოთ და დასხმისას ოდნავ დავხაროთ.

შამპანური, თუმცა დაბალალკოჰოლური სასმელია, სიმაგრით ბევრ სხვა სპირტიან და მაღალალკოჰოლურ სასმელს უსწრებს, შესაბამისად, ბახუსიც და ნაბახუსევიც საკმაოდ მძიმედ გადასატანი აქვს. ამის მიზეზი შამპანურის შუშხუნებია – საშუალოდ ერთ ბოთლში ნახშირორჟანგის 250 მილიონი ბუშტულაა. რაც უფრო მეტი ბუშტულებია შამპანურში, მით უფრო ხარისხიანად ითვლება ის.

ყველაზე ძვირადღირებული Perrier jouet Belle Epoque Blanc de Blanc მზადდება ყურძნის განსაკუთრებული ჯიშისგან, რომელიც მოჰყავთ პროვინცია des Blancs-ის მხოლოდ ორ ვენახში. ამ შამპანურის ერთი ბოთლი 1000 ევრო ღირს.

კარგი შამპანური ფუფუნების საგანია. ასე რომ, ეცადეთ, არ შეცდეთ, მით უმეტეს, როდესაც ამ სასმელში სოლიდურ თანხას იხდით.

შამპანური სასმელია, რომელიც მხიარულ, სადღესასწაულო ატმოსფეროს ქმნის. მხოლოდ ახალი წლის ღამეს მსოფლიოში 435 მილიონი ბოთლი შამპანური ისმევა.

ქართველთა დედამთავრების სახეები



ბაგრატ III (875-904)



ტიმურ I (1014-1027)



ბაგრატ IV (1027-1072)



ბაგრატ II (1072-1089)



ბაგრატ ბაგაკაბაკი (1089-1123)



ბაგრატ I (1125-1156)



დემეტრე V (1155-1169 & 1193)



დემეტრე III (1156-1184)



თამარი (1184-1213)



დემეტრე IV (1207-1222)



დემეტრე VI (1225-1253)



დემეტრე VII (1247-1270)



დემეტრე ბაგაკაბაკი (1271-1289)



დემეტრე II (1289-1326)



დემეტრე VIII (1329-1310)



რუხსანა (1222-1245)

